ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი,

სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამა

სალომე მაცაბერიძე

ნინო მჭედლიშვილი

2008 წლის ომის შედეგად კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური საჭიროებების და სოციალური მუშაკის როლის კვლევა 2008 წლის ომიდან დღემდე

ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თეონა მატარაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2018 წელი

სარჩევი

სარჩევი 2

დიაგრამების ცხრილი 3

ანოტაცია 4

Annotation 5

შესავალი 6

კვლევის მეთოდოლოგია 9

ლიტერატურისმიმოხილვა 14

კონფლიქტისისტორია 14

ომისშედეგები 16

იძულებითგადაადგილებულიპირებიდასოციალურიმუშაობა, მსოფლიოპრაქტიკა 17

იძულებითგადაადგილებულიპირებიდასოციალურიმუშაობასაქართველოში 29

რაოდენობრივიკვლევისანალიზი 36

2008წლისომიდაომამდელისაცხოვრებლისდატოვება 37

საცხოვრებლისდატოვებიდანპირველიკრიზისულითვე 39

საცხოვრებლისმიღება 47

პროფესიონალთამიერდევნილთაინტერესებისადაუფლებებისდაცვა 48

უკანასკნელი6 თვეკომპაქტურდასახლებაში 51

ინტეგრაციაახალსაცხოვრებელგარემოსთან 56

2008 წლისომიდანდღემდე,ზოგადიმიმოხილვა 60

სოციალურიმუშაობა 63

პიროვნულითავისებურებებისცვლილებები 66

მოლოდინები 67

თვისებრივიკვლევისანალიზი 67

დასკვნადარეკომენდაციები 78

ბიბლიოგრაფია: 83

დანართები 89

დანართი „ა „ სიღრმისეულიინტერვიუსგზამკვლევი 89

დანართი „ბ“ - ნახევრადსტრუქტურირებულიკითხვარი 91

დანართი „გ“ - დემოგრაფიული მონაცემები 102

დანართი “დ“ 106

დანართი „ე“ 107

დანართი „ვ“ 108
დანართი „ზ“.....109

დიაგრამების ცხრილი

დიაგრამა 1: იძულებით გადაადგილებულ პირთა შემოსავალი კრიზისულ პერიოდში (N=240) (%).....39
დიაგრამა 2: რამდენად სრულყოფილად იკმაყოფილებდნენ რესპონდენტები სხვადასხვა ბაზისურ საჭიროებებს დევნილობის პირველი 1 თვის განმავლობაში (საშუალო მაჩვენებლები, სადაც„1“ შეესაბამებოდ ასაჭიროების საერთოდ ვერ დაკმაყოფილებას, „4“-სრულყოფილად დაკმაყოფილებას).....41
დიაგრამა 3: ვინ წარმოადგენდა თქვენ მხარდამჭერ ქსელს/ გვერდში მდგომ ადამიანებს? (N=477) (შემთხვევების %).....45
დიაგრამა 4: პირველი ერთი თვის განმავლობაში რა სიხშირის ურთიერთობები გქონდათ ნაცნობებსა და მეზობლებთან თქვენი ომამდელი საცხოვრებელი ადგილიდან პირადად? (N=240) (%) 46
დიაგრამა 5: პირველი ერთი თვის განმავლობაში რა სიხშირის ურთიერთობები გქონდათ ნაცნობებსა და მეზობლებთან თქვენი ომამდელი საცხოვრებელი ადგილიდან ტელეფონის საშუალებით? (N=240) (%) 46
დიაგრამა 6: კვებითისაჭიროებებისდაკმაყოფილება 2008 წელსდადღეს (N=240) (%).....53
დიაგრამა 7: რამდენადსრულყოფილადიკმაყოფილებდნენრესპონდენტებიბაზისურსაჭიროებებსდევნილობისპირველითვისგანმავლობაშიდაამჟამად (საშუალომაჩვენებლები, სადაც„1“ შეესაბამებოდასაჭიროებისსაერთოდვერდაკმაყოფილებას, „4“-სრულყოფილადდაკმაყოფილება 54
დიაგრამა 8: რამდენადხშირადმიმართავთთქვენ/თქვენიოჯახისწევრებიმეზობლებსდახმარებისათვის? (N=240) (%) 56
დიაგრამა 9: გთხოვთდაასრულეთწინადადება - ჩემიდასახლებამომავალშიიქნება (N=240) (%) ...58
დიაგრამა 10: ძველმეზობლებთანსატელეფონოურთიერთობისსიხშირეომიდანპირველითვისადაუკანასკნელ იექვსითვისგანმავლობაში (N=240) (%) 60
დიაგრამა 11: რაარისთქვენთვისყველაზემტკივნეულისაკითხიჩამოთვლილთაგან (N=642) (%) ..63
დიაგრამა 12: დღესმე, 2008 წლისომისწინანდელპერიოდთანშედარებით, გავხდიუფროძლიერითუსუსტი (N-240) (%) 66

ანოტაცია

იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა დღეს საქართველოში 273,411ადამიანს წარმოადგენს. საცხოვრებლის დატოვების შემდგომ, მათ უწევთ სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება. მათ შორისაა ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური პრობლემები, უმუშევრობა, ინტეგრაცია ახალ გარემოსთან, სტიგმა და ა.შ. კვლევის მიზანი იყო 2008 წლის ომის შედეგად კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური საჭიროებების და სოციალური მუშაკის როლის კვლევა 2008 წლის ომიდან დღემდე. რაოდენობრივი კვლევის მეთოდით გამოიკითხა კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები 240 ი.გ.პ. ამასთანავე, ჩატარდა ექსპერტული კვლევა და სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით მოხდა საკითხში გათვითცნობიერებული 5 პროფესიონალის გამოკითხვა.კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ 2008 წლის ომის შემდგომ სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი აქტიურად ცდილობდა დახმარებოდა ი.გ.პ-ებს და სთავაზობდა მათ სხვადასხვა პროგრამებსა და სერვისებს, როგორც მატერიალური, ასევე ფსიქო-სოციალური მიმართულებებით. თუმცა, ი.გ.პ-თა უმრავლესობა, ძირითადად, მხოლოდ მატერიალური სერვისებით სარგებლობდა. მიუხედავად ამისა, მათ უჭირდათ და დღემდე უჭირთ ბაზისური საჭიროებების სრულყოფილად დაკმაყოფილება. კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ საჭიროა დევნილთათვის შექმნილი პროგრამები იყოს უფრო მეტად მიზანმიმართული და გრძელვადიანი. რაც შეეხება სოციალურ მუშაობას, დაბალია დევნილთა შორის ამ პროფესიით ინფორმირებულობისა და თანამშრომლობის დონე. სოციალური მუშაობა ამ თემთან ხორციელდებოდა კრიზისულ პერიოდში, თუმცა გამოკითხულთა უმრავლესობას არ მიუღია ეს სერვისი. რაც შეეხება დღევანდელობას, დღეს დევნილი მოსახლეობა სოციალური მუშაობისათვის აღარაა მიზნობრივი ჯგუფი, და მათთან თანამშრომლობა იმავე პროგრამების ფარგლებში ხორციელდება, რომლის ფარგლებშიც სოციალური მუშაკები თანამშრომლობენ დევნილის სტატუსის არმქონე მოსახლეობასთანაც.

კვლევა ჩატარებულია ორი ავტორის მიერ. ხელმძღვანელის მხარდაჭერით ავტორებმა შექმნეს კვლევის დიზაინი, კითხვარი, სადისკუსიო გეგმა და ჩაატარეს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა იძულებით გადაადგილებულ პირებთან და ექსპერტებთან.

Annotation

Today in Georgia live 273,411 internally displaced person. After leaving the place of residence, they have to deal with various challenges. Including psychological, social, economic problems, unemployment, integration with new environment, stigma and etc.The aim of the research was to study the social needs of IDPs living in compact settlements and the role of social work from 2008 war till now. With the method of quantitative research, there were interviewed 240 IGPs living in compact settlements. Also, there was conducted expert Survey and were interviewed 5 professionals, who have knowledge in the research area. The survey revealed that after the 2008 war, the government and NGOs actively tried to help IDPs and offered them various programs and services, both in material and psycho-social directions. However, the majority of the IGP were mainly using only material services. Despite this, it has been difficult for them to satisfy basic needs and still is. As a result of the research, it was revealed that programs created for IDPs have to be more targeted and long-term.As for social work, the level of awareness with this profession and cooperation among IDPs and social workers are low. Social work was implemented in this community during the crisis period, but most of the respondents did not receive this service. As for today, IDPs are no longer targeted group for social work, and cooperation with them is implemented within the same programs, in which social workers with the general population without IDP status.

The survey was conducted by two authors. With the support of the supervisor, they created research design, questionnaire, guideline and interviewed IDPs and experts.

შესავალი

იძულებით საცხოვრებლის დატოვება ბევრი ქვეყნისთვის ნაცნობი პრაქტიკაა და მისი ფესვები ღრმა ისტორიაშია. თუმცა, ეს საკითხი დღეს უფრო მწვავეა, ვიდრე ოდესმე ყოფილა. იძულებით გადაადგილებულთა მონიტორინგის ცენტრისანგარიშის მიხედვით, 2017 წელი ძალადობისა და იძულებით გადაადგილების მხრივ ერთ-ერთი ყველაზე რთული წელი იყო. მთლიანობაში, ამ წელს 30,6 მილიონი ადამიანი გადაადგილდა იძულებით. მათგან კონფლიქტისა და ძალადობის გამო საცხოვრებელი ადგილის ცვლილება მოუწია 11.8 მილიონ ადამიანს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატება 2016 წლის მონაცემებს, როცა იძულებით გადაადგილდა 6.9 მილიონი ადამიანი. რაც შეეხება არა წლიურ, არამედ შეჯამებულ სტატისტიკას, მთლიანობაში, 2017 წლის მონაცემებით მსოფლიოში კონფლიქტებისა და ძალადობრივი ქმედებების გამო იძულებით გადაადგილდა და დევნილად იქცა 40 მილიონი ადამიანი(Internal Displacement Monitoring Centre &Norwegian Refugee Council, 2018).ეს იმდენად დიდი რიცხვია, რომ მთლიანობაში ბევრად აღემატება როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობის მოსახლეობის რაოდენობას. თუნდაც მხოლოდ დევნილთა ასეთი დიდი რაოდენობით ესმევა ხაზი იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და აქტუალურია იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული თითოეული საკითხის კვლევა დღევანდელ რეალობაში.

საქართველო დევნილთა საკითხებთან დაკავშირებით მსოფლიოში არსებულ საგანგაშო მდგომარეობას იზიარებს. დევნილთა სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, დღეს საქართველოში 273,411 დევნილი ადამიანი ცხოვრობს. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი მოსახლეობის სიმცირეს, ეს რიცხვი არცთუ ისე პატარა მაჩვენებელია. შესაბამისად,ეს საკითხი საქართველოში ისევე მწვავედ დგას, როგორც მსოფლიო მასშტაბით. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში ეს მონაცემი არაა მყარიდა არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იძულებით გადაადგილება იყოერთჯერადი მოვლენა და აღარ ვდგავართ იმავე პროცესების განმეორების წინაშე. მიზეზი კი ისაა, რომ საქართველოს მდებარეობა მსოფლიო რუკაზე და მისი გეო-პოლიტიკური სიტუაცია არ იძლევა ქვეყანაში მშვიდი განვითარების გარანტიას. ისტორიის მანძილზე საქართველო ჩართული იყო ომებში და ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიიდან მოსახლეობას ხშირად

უწევდა საკუთარი კუთხის, საცხოვრებლის დატოვება და თავშესაფრის სხვა ტერიტორიაზე ძიება. უკანასკნელი შემთხვევა, როცა ადამიანთა დიდ ჯგუფს მოუწია საცხოვრებლის დატოვება და იძულებით გადაადგილება 2008 წელს იყო. ამ წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შედეგად უამრავი ადამიანი დევნილის სტატუსის მატარებელი გახდა. დევნილის სტატუსის მქონე დიდი რაოდენობის ადამიანების არსებობა და ასევე არამდგრადი სიტუაცია და კონფლიქტების განმეორების შესაძლებლობა ამ სამიზნე ჯგუფთან მუშაობასა და კვლევების ჩატარებას უდიდეს მნიშვნელობას სძენს. ამ თემში ჩატარებული კვლევები მათთან მომუშავე სპეციალისტებს დაეხმარება დევნილთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში. ჩვენკი, როგორც სოციალური მუშაკები, მნიშვნელოვნად ვთვლით, ვიკვლიოთ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური საჭიროებები და სოციალური მუშაკის როლი.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში დევნილთა საკითხებთან ერთად პრობლემურია ლტოლვილთა საკითხებიც. რათქმაუნდა ორივე ჯგუფს ერთნაირად რთული გამოცდილებები და გამოწვევები აქვთ. თუმცა, სხვადასხვა აკადემიური წყაროების დამუშავებისასაღმოჩნდა, რომ ლტოლვილ მოსახლეობაში დიდი რაოდენობით სოციოლოგიური კვლევებია ჩატარებული, რომელთა მიზანი მათი პრობლემების გამოვლენადა შემდგომ ამ პრობლემების მოგვარების გზების ძიებაა. ასევე, რთული გამოწვევების წინაშე დგანან დევნილებიც, თუმცა, საერთაშორისო ლიტერატურის გაცნობის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მეტი აქცენტი ამ ორ მოწყვლად ჯგუფს შორის სწორედ ლტოლვილებზე კეთდება. ერთ-ერთი მიზეზი თუ რატომ გადაწყდა, რომ მოცემული კვლევა სწორედ დევნილთა სამიზნე ჯგუფთან ჩატარებულიყო სწორედ ესაა.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საკითხს აქტუალობას სძენს ასევე დევნილთა გამოწვევების სიმრავლე. დევნილი პირები არ დგანან მხოლოდ რაიმე განცალკევებული, ერთი პრობლემის წინაშე. მათი მდგომარეობა კომპლექსურად მძიმეა. მათთვის მნიშვნელოვანი გამოწვევებია ფიზიკური უსაფრთხოება, გადაადგილების თავისუფალი ნება, ეკომონიკური და სოციალური მდგომარეობა(Internal Displacement Monitoring Centre &Norwegian Refugee Council, 2015, P.6). გარდა ამისა, ისინი უდიდესი სტრესის ქვეშ არიან და განიცდიან სხვადასხვა

ფსიქოლოგიურ პრობლემებს. მაგალითად, მწვავე დეპრესიას, შიშს, სასოწარკვეთას, უძილობასა და იზოლაციას (Masau&Wasanga, 2011).მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა გამოწვევები იძულებით გადაადგილებულ პირებს საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფად აქცევს. სოციალური მუშაობას, რომელიც თავისი შინაარსით სოციალურ სამართლიანობაზე ზრუნავს და მოწყვლად ჯგუფებს გაძლიერებაში ეხმარება, იძულებით გადაადგილებული პირების მდგომარეობის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა შეუძლია. განვითარებულ მსოფლიოში სოციალური მუშაობის დანერგვა და გატარება ი.გ.პ-ებთან ნაცადი და მიღებული პრაქტიკაა. მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ეს პრაქტიკა დადებითი შედეგების მომტანია, პრობლემების წინაშე დასავლეთიც დგას. დოულინგის და სექსტონის ნაშრომში „ლტოლვილები და თავშესაფრის მაძიებლები: სოციალური მუშაობის როლი“ გამოკვეთილია რამდენიმე პრობლემა, რომელსაც სოციალური მუშაკები ამ სამიზნე ჯგუფებთან მუშაობისას აწყდებიან. მაშინ, როცა სოციალურ მუშაკთა ნაწილი დევნილებს ინფორმირებულობის გამო კარგ სერვისს აწვდის, მეორე ნაწილი, ამ სფეროს ლეგალურ საკითხებში საკმარისი ცოდნის არ არსებობის გამო, წუხს, და უჭირს სერვისების ბენეფიციარებისთვის მიწოდება (Dowling &Sextone, 2010,P.119). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ რამდენად რთულია სოციალური მუშაობის პრაქტიკის იძულებით გადაადგილებულ პირებთან დანერგვა. ამ კვლევის ჩატარების ერთ-ერთი მიზეზი სწორეს ისაა, რომ ამ პრაქტიკის როლის მნიშვნელოვნება გამოიკვეთოს იძულებით გადაადგილებულ პირებთან და ამასთანავე, მოხდეს იმის იდენტიფიცირება, თუ რა სოციალური პრობლემების წინაშე დგანან და რა კუთხით სჭირდებათ დევნილებს სოციალურ მუშაკებთან თანამშრომლობა. მიღებული შედეგები ხელს შეუწყობს ი.გ.პ-ებთან მომუშავე სოციალურ მუშაკებს თავისი პრაქტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

გარდა ამისა, გვინდა ავღნიშნოთ, ჩვენი პირადი გამოცდილება. 2016 წლის დეკემბერში ჩვენ განვახორციალეთ სოციალური პროექტი წეროვნის დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში. სოციალური პროექტის მიზანი იყო სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სოციალური მუშაობის შესახებ დევნილებში

ინფორმირებულობის დონის ამაღლება. პროექტის განხორციელებისას, გამოიკვეთა, რომ დევნილთა უმრავლესობა არ ფლობს ცოდნას იმის შესახებ, თუ ვინაა სოციალური მუშაკი და რას აკეთებს ის. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი თუ მათი უმრავლესობა იგრძნობს სოციალური მუშაკის საჭიროებას, ვერ მოახერხებს მათთან დაკავშირებას, ინფორმაციის არ ქონის გამო. ამ კვლევის საჭიროება ჩვენთვის სწორედ ამ პერიოდში გამოიკვეთა, რათა შემოდგომ ამ კვლევის შედეგებმა უკვე დასაბუთებულად დაგვანახოს სოციალური მუშაკის პრაქტიკის რეალური საჭიროება ამ სამიზნე ჯგუფთან.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანი:

მოცემული კვლევის ფარგლებში, კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს 2008 წლის ომის შედეგად კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური საჭიროებების და სოციალური მუშაკის როლის კვლევა 2008 წლის ომიდან დღემდე.

კვლევისამოცანები:

კვლევის მთავარი მიზნის მისაღწევად გამოვყავით რამდენიმე ამოცანა. ეს ამოცანები, რომლებიც დაგვეხმარება ნაბიჯ-ნაბიჯ და სრულყოფილად მივაღწიოთ ზემოთ დასახულ მიზანს, მდგომარეობს შემდეგში:

1. 2008 წლის ომის შემდგომ უახლოეს პერიოდში (საცხოვრებლის მიღებამდე) იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური საჭიროებების შესწავლა;
2. გამოვკვეთოთ სახელმწიფოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული დახმარებების როლი იძულებით გადაადგილებილ პირთა ყოველდღიურობაში 2008 წლის ომიდან დღემდე;
3. ვიკვლიოთ სოციალური მუშაობის პრაქტიკისსაჭიროება იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრებაში;

4. შევისწავლოთ იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების ხარისხის ცვლილება 2008 წლის ომიდან დღემდე;
5. კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებ ადამიანთა გამოწვევებისა და ამ სამიზნე ჯგუფთან სოციალური მუშაობის როლის შესახებ გამოვავლინოთ სხვადასხვა დარგის პროფესიონალების პოზიციები.

კვლევის კითხვები:

კვლევის დაწყებით ეტაპზე, ამოცანების ჩამოყალიბებისას, ჩვენ გვქონდა კვლევის კითხვები, რომელთა ჩამოყალიბების მთავარი გამომწვევი ფაქტორები უკვე არსებული კვლევები და საერთაშორისო თუ ქართულ აკადემიურ ლიტერატურაში ასახული მასალა იყო. ჩვენი კვლევის კითხვები ეხმაურებოდა კვლევის ამოცანებს და მდგომარეობდა შემდეგში:

- ხდებოდა თუ არა 2008 წლის ომის შემდგომ უახლოეს პერიოდში (საცხოვრებლის მიღებამდე) იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის არსებული სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილება?
- რა როლს ასრულებდა სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები ი.გ.პ-თა პრობლემების დაძლევაში?
- სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული სერვისები იყო მიმართული მხოლოდ ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, თუ ასევე მოიცავდა ფსიქოლოგიურ ან სოციალურ სერვისებსაც?
- ვლინდება სოციალური მუშაობის ძლიერი საჭიროება ი.გ.პ-ებთან მათი სოციალური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის?
- გაუმჯობესდა თუ არა იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების ხარისხი 2008 წლის ომიდან დღემდე?

კვლევის სახე:

კვლევის მიზნის, ამოცანების და კვლევის კითხვების საპასუხოდ, წარმოდგენილი ნაშრომისფარგლებში, გამოვიყენეთ როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მეთოდები.

კვლევის საწყის ეტაპზე იმისათვის, რომ უკეთ გავრკვეულიყავით საკვლევ საკითხში განვახორციელეთ ლიტერატურის ანალიზი. სამეცნიერო ლიტერატურა მოძიებულიიქნა, როგორც ქართულ,ასევე ინგლისურენოვან წყაროებში. ასევე მოვიძიეთდა გავაანალიზეთ მსოფლიო მაშტაბით მსგავს საკითხებზე ჩატარებული კვლევები.

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა პირისპირი ინტერვიუს მეთოდით. კვლევის საწყის ეტაპზე შემუშავდა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი.

რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა 2018 წლის აპრილიდან ივნისის ჩათვლით.ჩატარდა ინტერვიუები კომპაქტურ დასახლებებში იძულებით გადაადგილებულ პირებთან. კვლევის რაოდენობრივი ნაწილის შედეგები დამუშავდა spss პროგრამის დახმარებით.

ექსპერტული კვლევა ჩატარდა რაოდენობრივი კვლევის ჩატარების შემდგომ, რათა დაგვხმარებოდა რაოდენობრივი შედეგების გაანალიზებაშიდა აღმოჩენილი გამოწვევების დაძლევის გზების ძიებაში. კვლევაში მიზნობრივად შეირჩა სხვადასხვა დარგში გათვითცნობიერებული პროფესიონალები. შემდეგ მოხდა ინტერვიუების ტრანსკრიპტების კოდირება და კვლევის თვისებრივი მონაცემების ანალიზი. კვლევის დასასრულს კი მოხდა თვისებრივი და რაოდენობრივიკვლევის ერთიანი გაანალიზება.

შერჩევა

კვლევის ფარგლებში გამოყოფილი იყო ორი სხვადასხვაგვარი შერჩევა. ექსპერტული გამოკითხვისათვის გამოვიყენეთ მიზნობრივი შერჩევა, მათი კომპეტენციებისა და ჩვენი კვლევითი ინტერესების გათვალისწინებით. მთლიანობაში გამოკითხულია დარგში გათვითცნობიერებული ხუთი სპეციალისტი, რომელთა შორისაც არიან: მცხეთის სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მუშაობს მცხეთის რაიონში არსებული სამი კომპაქტური დასახლების ტერიტორიაზე; კავკასიური სახლის პროექტის „შაბათ-კვირის მრავალეროვანი სკოლა, დევნილი და სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის“ დირექტორი, რომელიც მუშაობდა და მუშაობს დევნილ ბავშვებთან, როგორც

კრიზისულ პერიოდში ასევეამჟამად; ორგანიზაცია Terre des Hommes საგანგებო პროექტის ფარგლებში დასაქმებული სოციალურიმუშაკი, რომელიც 2008-2009 წლებში მუშაობდა დევნილ მოსახლეობასთან; დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ დირექტორი, რომელიც აქტიურად მუშაობს 2008 წლის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებთან და ორგანიზაცია „უკეთესი მომავლისათვის“ დამფუძნებელი, რომელიც ასევე მუშაობს იძულებით გადაადგილებულ პირებთან.

რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევას, ჩვენი კვლევის სამიზნე ჯგუფი იყო კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები.საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მონაცემებით მცხეთის ტერიტორიაზე ფიქსირდება 11,196 ი.გ.პ (3522 ოჯახი), რაც შეეხება შიდა ქართლს, ამ რეგიონში 17512 დევნილი(5286 ოჯახი) ცხოვრობს. კვლევის დროითი და ფინანსური შეზღუდვებიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით არსებული 13 დევნილთა კომპაქტური დასახლებიდან (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2010), შემთხვევითად შეირჩა წეროვნისა და გორის კომპაქტური დასახლებები (ადგილობრივი გამგეობების ცხელი ხაზის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, წეროვნის დასახლებაში 1700, ხოლო გორის წმინდაწყლის დასახლებაში 480 კოტეჯია). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ორი დასახლება ჩვენს კვლევაში არ წარმოადგენს ორ განსხვავებულ შერჩევას და გამოკითხულია როგორც ერთი მთლიანი ობიექტი.აღნიშნული შინამეურნეობების რაოდენობებიდან კი ალბათური შერჩევის დიზაინისათვის, განვსაზღვრეთ შერჩევის ზომა 90%-იანი ნდობის დონისა და 5 %-იანი ცდომილებისთვის, რამაც 240 შინამეურნეობა შეადგინა. დასახლებებში შინამეურნეობების გამოყენებულ იქნა შემთხვევითი ხეტიალის მეთოდი. დასახლებაში შემთხვევითად შერჩეულ იყო პირველი ოჯახი, ხოლო ყოველი შემდეგი ოჯახის შერჩევა ხდებოდა ხეტიალის მეთოდით, ყოველი მე–5 ოჯახი. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის მიზანი იყო შინამეურნეობის კვლევა, ოჯახის შიგნით ვახორციელებდით ინფორმირებული ოჯახის წევრის გამოკითხვას. შესაბამისად, მიღებული შედეგები რეპრეზენტატულია წეროვნისა და წმინდაწყლის

დასახლებებისათვის, ხოლო ზოგადად დევნილთა კომპაქტური დასახლებების შესახებ შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ ტენდენციებზე.

კვლევის ინსტრუმენტი:

კვლევისათვის შემუშავდა ორი სხვადასხვაგვარი საკვლევი ინსტრუმენტი. ექსპერტებთან ინტერვიუებისათვის გამოვიყენეთ არასტრუქტურირებული სადისკუსიო გეგმა (იხ. დანართი „ა“). ის მოიცავდა ფართო საკითხებს, რომელთა შესახებაც გამოკითხულებს ვუსვამდით ღია კითხვებს. რაც შეეხება კვლევის რაოდენობრივ ნაწილს და პირისპირ ინტერვიუებს, ინფორმაციის მოსაპოვებლად გამოვიყენეთ ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი (იხ.დანართი „ბ“). კითხვარი ძირითადად მოიცავდა დახურულ კითხვებს, თუმცა ასევე გამოვიყენეთ რამდენიმე ნახევრად დახურული და ღია კითხვაც.

კვლევის შეზღუდვები:

კვლევა წარმოადგენს მცდელობას, გამოევლინა 2008 წლის ომის შედეგად კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური საჭიროებები 2008 წლის ომიდან დღემდე და ასევე ხაზი გაესვა სოციალური მუშაკის როლის საჭიროებას მოცემულ სამიზნე ჯგუფთან.

კვლევის ერთ-ერთი შეზღუდვა მდგომარეობს იმაში, რომ გამოკითხულია მხოლოდ წეროვნისა და გორის წმინდაწყლის კოტეჯების დასახლებებები. კვლევა უფრო სრულყოფილი იქნებოდა, თუ ყველა სხვა წვრილ კომპაქტურ დასახლებასაც ვიკვლევდით, თუმცა ეს ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ საჭირო გახდებოდა რაოდენობრივად ბევრი პირისპირი ინტერვიუს ჩატარება, რისი დროითი თუ ფინანსური საშუალებაც არ გაგვაჩნდა, ადამიანური რესურსის სიმცირესთან ერთად.

კვლევის შეზღუდვა იყო ასევე ტერიტორიული მდებარეობები. ეს დასახლებები გაფანტულია სხვადასხვა რეგიონებში და რთულია კვლევისას ყოველდღიურად მკვლევართა ამ დასახლებებში ჩასვლა და ყოველი დღის ბოლოს საცხოვრებელ ადგილას დაბრუნება. ეს ფაქტი იწვევს, როგორც ფინანსური ასევე დროით რესურის

საჭიროების გაზრდას. რამაც, რათქმაუნდა ხელი შეუშალა კვლევის უფრო მეტად ფართომასშტაბიანობას.

კვლევის შეზღუდვაა ასევე რეტროპერსპექტიული მიდგომის გამოყენება. დევნილების მიერ აღწერილი ომის შემდგომი საჭიროებები ვერ იქნება ობიექტური, რადგან დღეს მოწოდებული ინფორმაცია წარსულ მდგომარეობებსა თუ საჭიროებებზე დღევანდელი მდგომარეობის გავლენას განიცდის.

მთლიანობაში, კვლევა არ არის სრულყოფილი. რაც გამოწეულია დროითი, ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობით.თუმცა ეს კვლევა წარმოადგენს მცდელობას გამოავლინოს ზოგადი ტენდენციები, რომლებიც შემდგომში დაინტერესებულ პირებს კვლევის გაღრმავების საშუალებას მისცემს მათთვის საინტერესო მიმართულებით.

ლიტერატურის მიმოხილვა

კონფლიქტის ისტორია

სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ იძულებით გადაადგილებულ პირთა და სხვა რელევანტურ ცნებათა დეფინიციაზე, მათი სხვადასხვა ტიპების ტიპოლოგიაზე და სოციალური მუშაობის ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცდილებაზე, მოკლედ შევეხებით საქართველოში უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს, რომელთა უშუალო შედეგია ქვეყანაში ასეული ათასობით იძულებით გადაადგილებული პირის არსებობა.

ეთნიკური კონფლიქტები და ქვეყნის ტერიტორიებზე შიდა არეულობები მხოლოდ საქართველოსათვის არ არისდამახასიათებელი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქვეყნებს შორის არსებულმა ეთნიკური და ნაციონალური ჯგუფების პოლიტიკურ საზღვრებთან არათავსებადობამ სხვადასხვა შიდა თუ სახელმწიფოთა შორის კონფლიქტები წარმოშვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ლიდერებმა მოითხოვეს მყისიერი ავტონომია. მათი მოთხოვნები იზრდებოდა და სცდებოდა იმ ლიმიტების ფარგლებს, რომელთა დარღვევაც საქართველოს მთავრობას სურდა. შემდეგ, დაიწყო ძალადობრივი ეთნიკური

სეპარატიზმი ცენტრსა და ზემოთ აღნიშნულ რეგიონებს შორის. რუსეთი კი მხარს უჭერდა ეთნიკურ უმცირესობებს და მათ სხვადასხვა ტიპის დახმარებებს აღმოუჩენდა. მან ასევე დატოვა ორივე რეგიონში სამხედრო ბაზები, რის შემდეგაც ამ რეგიონებში მუდმივი დაძაბულობაა(Armed Forces Communications and Electronical Association International, 2012, P.7-8)

ზოგადად, შეგვიძლია სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში ორი ეტაპი გამოვყოთ. რომელთაც იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოდინება მოყვა. პირველი კონფლიქტი 1989 წელს მოყვა ფაქტს, რომ ქართველმაძალაუფლების მქონე პირებმა დააპირეს ქართული ენის მთელს საქართველოში ოფიციალურ ენად დამკიცება.სამხრეთ ოსებს სჯეროდათ, რომ ეს მათზე ნეგატიურად აისახებოდა. მათ მოითხოვეს რეგიონის ნაცვლად გამხდარიყვნენ ავტონომიური რესპუბლიკა. ქართული მხარის აზრით, ეს მოთხოვნა ემუქრებოდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამ ყველაფრის ფონზე კი დაძაბულობა ამ ორ მხარეს შორის იზრდებოდა. 1990 წელს ოსურმა მხარემ სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტი გამოაცხადა. ამ ყველაფერს კი 1991 წელს შეიარაღბული კონფლიქტი მოყვა ქართულ მხარესა და ოს სეპარატისტებს შორის, რომელთაც მხარს რუსული ძალები უმაგრებდნენ. მას შემდეგ ორივე მხარე ერთმანეთს შეხვდა, სცადა კონფლიქტის გადაჭრა. თუმცა შედეგი ის იყო, რომ,საერთაშორისო ამნისტიის რეპორტის თანახმად, 10.000 ადამიანი დაიჭრა, ასობით ათას ადამიანს კი საცხოვრებლის იძულებით დატოვება მოუწია. საქართველოს მთავრობამ სამხრეთ ოსეთზე გავლენა დაკარგა. (Mchedlishvili, 2014, P.12)

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის კომფლიქტის მეორე ფაზას, მისი ისტორია, მოკლედ, ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ. 2005 წლის ზამთრიდან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ არ-აღიარებულ რესპუბლიკებში რუსეთის და რუსი გადაწყვეტილების მიმღები პირების გავლენა გაიზარდა. 2006 წლის გაზაფხულზე კი რუსეთმა ცხინვალის ჩრდილოეთით ჯავის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის აგება დაიწყო, ამის შემდეგ მოხდა სარაკეტო თვითმფრინავის ჩამოვარდნა სამხრეთ ოსეთის მახლობლად, წითლუბანში. ამ ფაქტში ორივე მხარე ხელს ერთმანეთს ადებდა, და ერთმანეთს აგრესიის გამოწვევას აბრალებდა. 2008 წლის თებერვალში კი, კოსოვომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. რაც რუსული მხარის აზრით, იყო

პრეცენდენტი,რომლის შედეგი შეიძლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ყოფილიყო. ამავე პერიოდში არ ცხრებოდა დაძაბულობა და შეტაკებები სამხრეთ ოსეთში. იღუპებოდნენ ადამიანები. რუსეთმა ასევე დაიწყო საქართველოს საზღვართან ახლოს სამხედრო წვრთნები, რომლის დასრულების შემდეგ, შეიარაღებული ძალები, გაყვანის ნაცვლად,საზღვართან დატოვა. რუსეთი, თბილისს კონფლიქტის ზონაში სიტუაციის გამწვავებაში ადანაშაულებდა. საქართველო კი პირიქით,რუსეთს ადანაშაულებდა ომის ილუზიის შექმნაში, რათა სამშვიდობო პროცესი ჩაეხშო. დაძაბულობამ მოიმატადა მას ცეცხლის გახსნაც მოჰყვა ქართული სოფლების ტერიტორიაზე. 2008 წლის 7 აგვისტოს, დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთმა განაცხადა, რომ ღამით თავდასხმებისას მათი 18 ადამაიანი დაშავდა. აღმოჩნდა, რომ ქართულ ძალებთან საბრძოლველად, ჩრდილო ოსეთიდან მათ დასახმარებლად სეპარატისტული არმია მოემართებოდა. საქართველომ ცეცხლი ცალმრივად შეწყვიტა, სიტუაციის განსამუხტად, თუმცა მოწინააღმდეგის ჯარები ამ დროს როკის გვირაბისკენ მოემართებოდნენ, და ქართული ძალები მათ შესაკავებლად, ასევე ამ მიმართულებით დაიძრნენ. ამ ყველაფერს, შემოდგომ უკვე ორმხრივი დაბომბვებიც მოყვა (Cornell, Popjanevski & Nilsson, 2008, P.5-16).

2008 წელს 8 აგვისტოს დაიწყო რუსეთსა და საქართველოს შორის შეიარაღებული კომფლიქტი, რომელიც 5 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მხარეებმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება 12 აგვისტოს მიიღეს. ცეცხლის შეწყვეტაში შუამავლობდა ევროკავშირი. ამ შეთანხმების შემდეგ რუსეთმა დატოვა საქართველოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი, თუმცა დააწესა ბუფერული ზონები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. 2008 წლის 26 აგვისტოს კი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა (Cohen&Hamilton, 2011).

ომის შედეგები

ამ ომის შედეგად საცხოვრებელი ადგილის დატოვება მოუწიათ, როგორც ეთნიკურად ოსებს, ასევე ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას. ეთნიკურად ოსი მოსახლეობა გადაადგილდა ძირითადად ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე,

რომელიც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედის. ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა კი, ძირითადად, დედაქალაქ თბილისში. საერთაშორისო ამნესტიის ანგარიშის „მოსაცდელ ოთახში, იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოშის“ მიხედვით, 2008 წლის აგვისტოსომს მოყვა ასობით მოქალაქის სიკვდილი, ათასობით დაჭრილი და 192,000 იძულებით გადაადგილებული პირი. მათ შორის 26,000 ადამიანმა, რომელთა უმრავლესობაც ეთნიკურად ქართველია, ვეღარ შეძლო დაბრუნებულიყო თავის საცხოვრებელ ადგილას (Amnesty International, P.10). კომპაქტურ დასახლებაში საცხოვრებლის მიღებამდე, ძირითადად, ეს ადამიანები თავს ახლობლებსა და ნათესავებს აფარებდნენ. თავშესაფრის არაოფიციალური სახეები იმ დროს რთულს ხდიდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ზუსტი რაოდენობის დადგენას. იძულებით გადაადგილებულთა მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, ათობით ათეულმა ადამიანმა თავშესაფრები თბილისის, ქუთაისისა და სხვა პატარა ქალაქების ბაღებს, სკოლებსა, და სხვა საჯარო და სამთავრობო შენობებში დაიდო.

იძულებით გადაადგილებული პირები და სოციალური მუშაობა, მსოფლიო პრაქტიკა

იძულებით გადაადგილებულ პირებთან სოციალური მუშაობის მსოფლიო პრაქტიკის განხილვამდე, მცირე დრო დავუთმოთ თავად ამ ჯგუფის რაობისა და მსოფლიოში მიმდინარე მოძრაობების განხილვას. იძულებით საცხოვრებლის დატოვება და გადაადგილება კაცობრიობისათვის უძველესი დროიდან ნაცნობი საკითხია. მაგალითად, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილია ჰადრიანის კედელი, რომელიც ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით მესამე საუკუნეში აიგო და არსებობს ვარაუდი, რომ რომაელების ლტოლვილთა ბანაკს წარმოადგენდა(Wainwright, 2011).

იძულებით გადაადგილების ისტორიის მიმოხილვისას შესაძლოა გავიხსენოთ ასევე ნანტის ედიქტი. 1685 წელს ლუი მეთოთხმეტემ ეს ედიქტი, რომელიც პროტესტანტ-ჰუგენოტებს რწმენის თავისუფლების უფლებას აძლევდა გააუქმა და ჰუგენოტების სიტუაცია ქვეყანაში ძალიან დამძიმდა. მათი უფლებები ირღვეოდა და შედეგად 200,000 ჰუგენოტმა საფრანგეთი იძულებით დატოვა და უმრავლესობამ

ინგლისს მიაშურა. სწორედ, ამ ფაქტის შედეგად გაჩნდა ინგლისურ ენაში სიტყვა ლტოლვილიც -"refugee"(Gwynn, 2008, P.16-17).

უფრო ახალ პერიოდს თუ გადავხედავთ, ევროპაში ყველაზე დიდი ლტოლვილთა კრიზისი პირველ მსოფლიო ომსა და 1917 წლის რუსეთის რევოლუციას მოყვა. ამ პერიოდში დაახლოებით 5-მა მილიონმა ადამიანმა დატოვა საცხოვრებელი და გახდა ლტოლვილი. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი, ევროპაში 40 მილიონი ლტოლვილი უსახლკაროდ და გამოძევებული დარჩა. უკანასკნელი დიდი ლტოლვილთა კრიზისი კი ევროპაში 2011-2015 წლებში განვითარდა. ამ პერიოდში დიდი რაოდენობით ლტოლვილი ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან ევროპაში შევიდა (Bundy, 2016, P.5-6).

ადამიანთა შორის, რომელთაც, ნების საწინააღმდეგოდ, მოუხდათ საცხოვ-რებლის დატოვება, შესაძლოა გამოვარჩიოთ ლტოლვილები და დევნილები(იგივე იძულებით გადაადგილებულ პირები). ორივე მათგანს მოუწია დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი ადგილი, ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად. მათ გამოცდილებებს შორის უამრავი მსგავსების პოვნა შეიძლება, თუმცა ძირეული განსხვავება, ჯუდი ბუშრასა და კელი ფიშის განმარტებით, შემდეგში მდგომარეობს: ლტოლვილი კვეთს საერთაშორისო საზღვარს, ითხოვს დახმარებასა და მფარველობას ქვეყნისგან, რომელშიც წავიდა საცხოვრებლად. რაც შეეხება დევნილებს, იგივე იძულებით გადაადგილებულ პირებს, ისინი გადაადგილდებიან საკუთარი ქვეყნის ფარგლებში(El-Bushra & Fish, P.1).

ისევე როგორც დევნილებს, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის ქვე-კატეგორიზაცია სხვადასხვა სახით შეიძლება. მილან მესიჩის ნაშრომში „ლტოლვილ პირთა ტიპები - ხორვატიული და ბოსნია ჰერცოგინული გამოცდილება", ჩვენ ლტოლვილთა 6 კატეგორიას ვხვდებით:

1) <u>გადაადგილების მოლოდინში მყოფი ლტოლვილი პირები (anticipating refugees/displacees):</u> ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც პირადული შესაძლო საფრთხის ან ოჯახის დაცვის მიზნით გამოიყენა „აუცილებელი გაქცევა". ისინი

ხშირად მაღალ სოციალურ კლასს ეკუთვნიან და აქვთ სხვა საცხოვრებელი ქვეყანაში სხვა ტერიტორიაზე ან თუნდაც საზღვარს გარეთ.

2) ნახევრად ლტოლვილები/გამოდევნილები (Semi-refugees/displacees): ეს ადამიანები ტოვებენ საცხოვრებელს, მიუხედავად იმისა,რომ არარსებობს რეალური საფრთხეები. მათი წამოსვლა გამოწვეულია მათივე შიშის გამო.პირველი ჯგუფისაგან განსხვავებით, ეს ადამიანები საცხოვრებელს ტოვებენ ჯგუფურად და მათთან შედარებით პასიური აქტორები არიან, სტატისტიკურად ყველაზე ხშირად ისინი, დაბალკლასსწარმოადგენენ.

3) წაქეზებული ლტოლვილი პირები (Impelled refugees/displacees): ეს ტიპი აერთიანებს ადამიანებს, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს სხვადასხვა ტიპის ზეწოლის ფორმები, მუქარა, დაშინება, რომელთაგან თითოეულის მიზანი იყო დაეტოვებინათ საცხოვრებელი. ეს არის ტიპიური შემთხვევა პოლიტიკურ ლტოლვილთა შემთხვევაში.

4) ომის ლტოლვილები- პირები, გადაადგილებულნი ომის გამო (War refugees - persons displaced by war) : ადამიანებს, რომლებიც იძულებით გადაადგილდნენ ტერიტორიებიდან, სადაც მიმდინარეობს საომარი მოქმედებები, აგრესია და სამოქალაქო კონფლიქტები, ომის ლტოლვილებად მოიხსენიებენ. ეს ნიშნავს ადამიანთა დიდი რაოდენობის მიგრაციას არა-მოხალისეობრივად.

5) გაძევებული პირები (Expellees): ესაა კატეგორია, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით გაძევებულია საცხოვრებლიდან. ამ ადამიანებს რეალურად აღარ აქვთ საშუალება დარჩნენ ჩვეულ საცხოვრებელ გარემოში, რადგან ემუქრებათ მყისიერი საშიშროება. გაძევებამდე ისინი არიან დამცირებისა და ცუდი მოპყრობის მსხვერპლნი. ხშირად რთულია გაარჩიო ადამიანი წაქეზებული ლტოლვილია თუ გაძევებული პირი. განსხვავება ძირითადად ისაა, რომ პირველ კატეგორიას აქვს არჩევანი, წავიდეს თუ დარჩეს. მეორე კატეგორია კი იძულებულნი არიან წავიდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას მათ იძულების წესით გააკეთებინებენ.

6) ბანაკის ყოფილი მაცხოვრებელი ლტოლვილები (Ex.camp.inmates refugees/displacees):ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც წარსულში დაკავებული

ჰყავდათ ბანაკებში, ციხეებში, საროსკიპოებში, ან თუნდაც საკუთარივე სახლსა და საცხოვრებელ ადგილას. მათ თავისუფლება ჰქონდათ აღკვეთილი და უწევდათ იძულებითი შრომა და დამცირების გადატანა. მათ ყველაზე მძიმე პრე-იძულებით გადაადგილების გამოცდილება აქვთ(Mesic, 1995, P. 661).

ლტოლვილთა ასეთი ტიპოლოგიზაცია, ყველაზე მეტად შეესაბამებახორვატიისა და ბოსნია ჰერცოგოვინაში ლტოლვილ პირთა კატეგორიზაციას. თუმცა,შესაძლოამოერგოს სხვაქვეყნების მაგალითს. განსხვავებული ტიპოლოგიზაცია აქვს ასევე იძულებით გადაადგილებულ პირებს. იძულებით გადაადგილების მიზეზების მიხედვით,იძულებით გადაადგილებულთა მონიტორიგის ცენტრი გამოყოფს შემდეგ ტიპებს:

1) შეიარაღებული კონფლიქტები - ბრძოლა სულ მცირე ორ შეიარაღებულ მხარეს შორის;
2) ძალადობრივი სიტუაციები - ესაა მდგომარეობა როცა შეიარაღებული კონფლიქტი დაძლეულია, შემცირებულია. თუმცა მაინც სახეზეა „შიდა დაძაბულობა და არეულობა“;
3) ადამიანის უფლებათა დარღვევები - ამ შემთხვევაში იგულისხმება საერთაშორისო, რეგიონალური თუ ეროვნული კანონმდებლობით გაწერილი უფლებათა დარღვევა. ხშირ შემთხვევაში ადამიანის უფლებების დარღვევა გამოიხატება სიცოცხლესა თუ თავისუფლებისთვის საფრთხეებს შექმნით, რასის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური აზრის, თუ რომელიმე სოციალური ჯგუფის წევრობის ნიშნით;
4) კატასტროფები-იქნება ეს ბუნებრივი თუ ადამიანისგან გამოწვეული. მაგალითად: გვალვა, წყალდიდობა, მიწისძვრა, ბირთვული კატასტროფა თუ შიმშილობა;
5) „სხვა კატეგორია“ - ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები არაა ამოწურული. შესაძლებელია იძულებით გადაადგილება კიდევ სხვა მიზეზების გამო მოხდეს. მაგალითად, ისეთი ფართომაშტაბიანი პროექტი, როგორიცაა კაშხლების მშენებლობა და სხვა(Internal Displacement Monitoring Centre, P.2).

როგორც ზემოთ ჩამოვლილი კლასიფიკაციებიდან ჩანს, დევნილობასა და ლტოლვილებობას შესაძლოა ბევრი საერთო მიზეზი ჰქონდეს. მაგალითად,შეიარაღებული კონფლიქტები ან რეგიონში დაძაბულობა. ისიც შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ბუნებრივი კატასტროფები უფრო მეტად დევნილობას გამოიწვევს და არა ლტოლვილობას. ამის საპირისპიროდ კი, დაშვება გავაკეთოთ, რომ გაძევებული პირები არჩევენ ქვეყნის ტერიტორიის დატოვებას, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყნის შიგნით მათ მყისიერი საშიშროება ელით.

საქართველოს მაგალითზეც იძულებით გადაადგილების მიზეზები მრავალფეროვანია. მათგან დევნილები ეწოდებათ ადამიანებს, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტებისა ან ძალადობრივი სიტუაციების გამო გახდნენ იძულებულები დაეტოვებინათ საცხოვრებელი. დევნილის ნაცვლად შეგვიძლია ვიხმაროთ ასევე ტერმინი „იძულებით გადაადგილებული პირი“. იგივე ტერმინი ინგლისურ ენაში იხმარება კონფლიქტით, ძალადობრივი მდგომარეობით, ბუნებრივი კატასროფებითა თუ დისკრიმინაციის გამო საცხოვრებლის დატოვების შემთხვევებშიც. ქართულ ენაში კი ი.გ.პ-ებს მხოლოდ დევნილებთან მიმართებაში ვხმარობთ. განსხვავებულ ტერმინებს ვიყენებთ ადამიანის უფლებათა დარღვევითა და კატასტროფებით გამოწვეული იძულებით გადაადგილებისას. ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში ჩვენს ქვეყანაში ძირითადად ითხოვენ ლტოლვილის სტატუსს, რათა დატოვონ საქართველო. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიაც ეყრდნობა გაერთიანებული ერების 1951 წლის კონვენციას „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ და ლტოლვილის სტატუსს ანიჭებს პირს, რომელიც რაიმე ნიშნით დისკრიმინაციას განიცდის ქვეყნის ტერიტორიაზე, არის, ან აქვს შიში, რომ გახდება დევნის მსხვერპლი. ხოლო, ადამიანთა უფლებების დარღვევის გამო იძულებით გადაადგილებულის სტატუსის მინიჭების შემთხვევების შესახებ, ამ კვლევის ფარგლებში ვერ მოხერხდა არსებულ საკითხზე ცნობების მოძიება. რაც შეეხება, ბუნებრივი კატასტროფების გამო იძულებითსაცხოვრებლის დატოვებას,რისი ყველაზე ფართო მაგალითი საქართველოში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები არიან,მათ მიმართებაში ხშირად იხმარება ტერმინი ეკომიგრანტი. თუმცა, დემოკრატიის ინსტიტუტის ანგარიშის მიხედვით, ამ ცნების ბუნდოვანება და ერთიანი სამართლებრივი ბაზის არ

ქონა, დიდ პრობლემებს ქმნის და ართულებს სტატისტიკის წარმოებას(დემოკრატიის ინსტიტუტი, 2016, გვ 13).

დევნილთა და ლტოლვილთა შორის განსხვავებების ძიებისას, ასევე შეგვიძლია დავეყრდნოთ, ოდიამბო აბუის მოსაზრებას. მისი აზრით,იძულებით გადაადგილებულ პირების მომავალი, შესაძლოა დევნილთა მომავალთან შედარებით, უფრო მეტად დაუცველი იყოს, რადგან ისინი შიდა კონფლიქტის მახეში არიან გაბმულები და ხშირად არ აქვთ ის ადგილი, სადაც წავლენ და უსაფრთხოებას იპოვიან. მთავრობამ კი, რომელთა ხელშიც ამ ადამიანთა ბედია, შესაძლოა ეს ჭერის არ მქონე ხალხი მტრებადაც კი ჩათვალოს. იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ საყოველთაო შეთანხმებები კი ძალიან ცოტაადა მათი გამოყენება ხშირად რთულია, რადგან დონორებს დღემდე არ შეუძლიათ შიდა სახელმწიფოებრივ კონფლიქტებში ბოლომდე ჩარევა და ამ ჯგუფების დახმარება(Odhiambo-Abuya, 2003, P.237).

დღემდე აქცენტი უფრო მეტად ლტოლვილებთან დაკავშირებულ კვლევებზე კეთდებოდა და ამ სამიზნე ჯგუფთან მიმართებით, ბევრად მეტი სამეცნიერო ნაშრომის თუ საკანმდებლო აქტებისა და შეთანხმებების პოვნა შეიძლება, ვიდრე დევნილებთან დაკავშირებით. თუმცა, მსოფლიო მასშტაბით ჩატარებულია სოციოლოგიური კვლევები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში დევნილთა მდგომარეობასა თუ გამოწვევებს იკვლევს. მაგალითად, ნიგერიაში ჰაბუ ჰარუნამა დამისმა კოლეგებმა იკვლიეს და დაწერეს ნაშრომი „ამბოხების ფსიქო-სოციალური ეფექტის შეფასება იძულებით გადაადგილებულ პირებზე, ვულარის ბანაკში, მაიდუგარში“. ამ ნაშრომში შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რა საფრთხეების წინაშე დგებიან იძულებით გადაადგილებული პირები ბანაკის ტიპის საცხოვრებლებში. ეს გამოწვევებია: ოჯახის რღვევა, დაუცველობა,მეგობრებთან კონტაქტის, სამსახურებისა დატერიტორიული და პოლიტიკური უფლებების დაკარგვა. იმ მოვლენების გამო, რომლებმაც აიძულეს საცხოვრებლის დატოვება და ეშინიათ უკან დაბრუნება, უმრავლესობა ტრამვირებულია. ნაწილის საცხოვრებელი კი დაზიანებული და დანგრეულია და მათ წასასვლელი არსად აქვთ. ამ კვლევის შედეგად კი ავტორებმა შეიმუშავესრეკომენდაციები, რომ იძულებით გადაადგილებულ პირების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე საჭიროა იზრუნონ სახელმწიფომ,

არასამთავრობოადგილობრივმადასაერთაშორისო ორგანიზაციებმა. ასევე, საჭიროა უსაფრთო გახდეს მათ ყოფილ საცხოვრებელში არსებული მდგომარეობა, რათა ამ ადამიანებმა შეძლონ თავის ახლობელ ადგილებში სრული გამოჯანმრთელება-აღდენა. მნიშვნელოვანია მათთვის კონსულტირების გაწევაც(Haruna,H. et al.,2017, P.20). ამ პუნქტის დასაკმაყოფილებლად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აუცილებელია სოციალური მუშაკების ჩართვაც. ეს ი.გ.პ-თა ცხოვრებაში პერსონალური თუ ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევაში წინ გადადგმული და კვლევის შედეგად რეკომენდირებული ნაბიჯი იქნება.

ი.გ.პ-თა რთულ ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და კონსულტირებისა და პროფესიონალური დახმარების აუცილებობაში, ასევე დაგვარწმუნაე.მიტონგას, კ.პაპადოპულოსისა და ჰ.ევანსის ნაშრომმა „ფსიქიკური ჯანმრთელობა, ცხოვრების ხარისხი და ცხოვრებით კმაყოფილება იძულებით გადაადგილებულ პირებში, ნაკურუ-ქანთრი, კენიაში.“ ამ კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 31% ი.გ.პ-ად თავის მდგომარეობას უბედურ ცხოვრებასთან აიგივებდა. ისინი ცხოვრებით უკმაყოფილონი,სევდიანებიიყვნენ.მათსჯეროდათ, რომ ცხოვრება ასევე მძიმედ გაგრძელდებოდა მანამდე, სანამ ბანაკებში მოუწევდათდარჩენა. აღსანიშნავია, რომ ამ სამიზნე ჯგუფში სუიციდური ფიქრებიც ჩნდებოდა. ეს ადამიანები მხოლოდ ტრამვაზე აღარ მიმართავენ თავის ნეგატიურ ფიქრებს, ისინი ნანობენ რომ დაიბადნენ, რადგან ამის შედეგად უწევთხანგძლივი ტანჯვის გადატანა (Getanda,E.M. et al.,2015).

ეს კვლევა ამტკიცებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პროფესიონალთა ჯგუფისა და მათ შორის სოციალურ მუშაკთა მუშაობა ი.გ.პ-ებთან მათი ჯანსაღი ფუნქციონირებისათვის.

ასევე, მნიშვნელოვანია, გამოვყოთ დევნილთა საჭიროებები საცხოვრებლის დატოვების პერიოდში და დატოვებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ნაშრომში “იძულებით გადაადგილება-შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლნი კოლუმბიაში: იძულებითი მიგრაციის ტრაექტორია და ტრამვის ხელწერა“, შეგვიძლია გავეცნოთ ფაზებს, რომლებსაც იძულებით გადაადგილებული ადამიანები ფსიქოლოგიურად თუ ფიზიკურად გადიან (Shultz, J.M. et al., 2014).

1. წარმოშობის ადგილას პრე-გამოძევების მუქარისა და მოწყვლადობის პერიოდი;
2. პერიოდი, როდესაც ვითარდება სხვადასხვა გარემოებები, რომლებიც აჩქარებს გამოძევებას, გამოძევების მომენტის ჩათვლით;
3. მიგრაცია უსაფრთხო საცხოვრებლის ძიების მიზნით;
4. გადასვლა და ადაპტაცია თავდაპირველ ლოკაციაზე;
5. გრძელვადიანი დასახლება;
6. წარმოშობის ადგილას დაბრუნება.

ჩამოთვლილთაგან,ჩვენი კვლევისათვის ყველაზე მნიშვნელოვანიამეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ფაზები. ეს კვლევა კონცენტრირებულია გააკეთოს სოციალური საჭიროებების ანალიზი გამოძევების პერიოდსა, უსაფრთხო საცხოვრებლის ძიებისა და თავდაპირველ ლოკაციაზე ადაპტაციისას რეტროპერსპექტიული კვლევის მეშვეობით. რაც შეეხება გრძელვადიან დასახლებას, ეს ის ფაზაა, სადაც ჩვენ მიერ გამოკითხული რესპონდენტები ამჟამად იმყოფებიან და, შესაბამისად, მათ სოციალური გამოწვევებისა და სოციალური მუშაობის საჭიროების კვლევა ამ ფაზისათვის უკვე ახლანდელი დროის ანალიზის საშუალებით ხდება.

ასევე, უნდა აღვნიშნოთ და ხაზი გავუსვათთავშესაფრის, საცხოვრებლის აუცილებლობას ი.გ.პ-თათვის. ხშირად მათთვის მიწოდებულ საცხოვრებელს ბაზისური „თავშესაფრის“ სახე აქვს. დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით, ბერნის უნივერსიტეტის გზამკვლევი იძულებით დაგაადგილებულ პირთა დასაცავად, ხაზს უსვამს,რომ საჭიროა ი.გ.პ-ებს მიეწოდოთ ადეკვატური თავშესაფარი. განსაკუთრებით კი დასახლებებისა და თავშესაფრის ტიპის ადგილებში, სადაც მოსახლეობა თემად ცხოვრობს. პირობები და გარემოებები, კომპეტენტური პირების მიერ უნდა იყოს შეფასებული, რათქმაუნდა სახელმწიფოსა თუ ჰუმანიტარული სერვისის მომწოდებლის შესაძლებლობების გათვალისწინებით. ი.გ.პ-თა ძირითადი პრობლემა ახალ საცხოვრისებთან მიმართებით ისაა, რომ ამ საცხოვრისიდან მათ არ აქვთ წვდომა სამსახურზე, საარსებო საშუალებებზე, სოციალურ სერვისებსა და სხვა ტიპიურ რესურსებზე, რომლებთანაცწვდომა ყოფილ საცხოვრებელში ჰქონდათ(University of Bern,2008, P.129-130).

გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომიისიის მიერ შემუშავებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის სახელმძღვანელოში გადმოცემულია, თუ რა სახის ვარიანტები არსებობს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საცხოვრებლად. ესენია, გაფანტული და ჯგუფური საცხოვრისები. გაფანტული საცხოვრისი შეიძლება იყოს, მასპინძელი ოჯახი (მეგობრები, ნათესავები, სხვა ოჯახები ან ქირით აღებული საცხოვრებელი); სასოფლო ტიპის თვით-დასახლება (ცხოვრობდეს სასოფლო მიწაზე არაფორმალურად, ან მიწაზე, რომელიც კოლექტიულ მფლობელობაშია); და ურბანული თვით-დასახლება (ცხოვრობდეს ურბანულ მიწაზე არაფორმალურად, ან მიწაზე, რომელიც კოლექტიურ მფლობელობაშია). რაც შეეხება ჯგუფურ საცხოვრისს, ის შეიძლება მოიაზრებდეს შემდეგს: კოლექტიური ცენტრები (ძირითადად, ყოფილი სასტუმროების, სკოლებისა თუ სახელმწიფო სტრუქტურების შენობები); თვით-დასახლებული ბანაკები (ადგილი, სადაც იგპ-ები სახელმწიფოსა თუ ჰუმანიტარული დახმარებების გარეშე სახლდებიან) და დაგეგმილი ბანაკები (განზრახ მათთვის აშენებელი საცხოვრებელი, რომლის შენებაც მანამდე ან შესახლების პერიოდში დამთავრდა). რადგან, ჩვენ კვლევაში აქცენტს კომპაქტურად დასახლებულ საცხოვრისზე ვაკეთებთ, საინტერესოა, რომ იმავე იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის სახელმძღვანელოში ამ ტიპის საცხოვრისთან დაკავშირებული რისკები და უარყოფითი მხარეები შემდეგნაირად ყალიბდება.პრობლემები მასპინძელ თემთან, მასპინძელთა რესურსები შემცირება (მაგალითად, ტყის მარაგის ამოწურვა), ასევე შეიძლება კონფლიქტები წარმოიშვას ეთნიკურ, კულტურულ, რელიგიურ თუ ლინგვისტურად განსხვავებულ ჯგუფებს შორის. ამასთანავე, ეს დასახლებები ადვილი სამიზნეა იძულებით რეკრუტირების, თავდასხმების, საჰაერო დაბომბვისათვის და ა.შ (The UN Refugee Agency,P.269-270).

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ი.გ.პ-ებთან სოციალური მუშაობა აუცილებელი პრაქტიკაა. იგივე დასკვნის გამოტანა შეგვიძლია ტატიანა სემეგინას სტატიიდან „ მნიშვნელოვანია მივცეთ ხალხს საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობა: სოციალური მუშაობა და იძულებით გადაადგილებული პირები უკრაინაში“. ამ სტატიის თანახმად, საჭიროა ი.გ.პ-ებს მიეწოდოთ სოციალური სერვისები უფრო მეტად კოლექტიურად და ავტონომიურად, ვიდრე ინდივიდუალურად და ფრაგმენტულად.

თუმცა იგპ-ებთან უკრაინაში, ისევე როგორც ყველგან, ძირითადად, მუშაობენ სამთავრობო ორგანოები, არასამთავრობოები და მოხალისეები. თითოეულ მათგანს მუშაობის და დახმარების საკუთარი ხედვა აქვს, თუმცა ყველა მათგანი უფრო მეტად ინდივიდუალისტური და ფრაგმენტულია, ვიდრე კოლექტიური. ეს სტატია დაფუძვნებული იყო კვლევაზე, რომელიც ჩატარდა ი.გ.პ-ებთან მომუშავე სოციალურ მუშაკებთან. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ ადამიანებს უპირველეს ყოვლისა ბასიზური საჭიროებების დაკმაყოფილება სჭირდებათ. იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთაც დახმარება „აქ და ახლა“ სჭირდებათ ძალიან დიდია. ეს საჭიროებები იმდენად დიდია, რომ გადაწონის რესურსებს. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია, რომდაიგეგმოს სწორი სტრატეგია, რათა ეს მოწყვლადი ჯგუფი არ დარჩეს დახმარების გაწევის გარეშე. ამავე სტატიაში საუბარია უდიდეს ეთიკური დილემაზე. ხშირად სოციალურ მუშაკს უწევს იმუშაოს ბენეფიციართან, რომელიც კონფლიქტის მეორე მხარეს ეკუთვნის და მისი შეხედულებები არ ემთხვევა სოციალური მუშაკისას. ეს დილემა მართლაცძნელად გადასაჭრელია და მიუთითებს იმ ფაქტზე, თუ რამდენად რთულია ი.გ.პ-ებთან ველზე მუშაობა. და ბოლოს, ამ სტატიამ გამოავლინა, რომ საჭიროებები რომელთა დაკმაყოფილებაზეც სოციალურმა მუშაკებმა ი.გ.პ-ებთან უნდა იმუშაონ, განსხვავდება სხვა მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობისაგან. შესაბამისად, როგორც უკრაინაში, ასევე საქართველოშიც სოციალურ მუშაობას ამ კუთხით განვითარება და საკუთარი გზის პოვნა სჭირდება (Semegina, 2015, P.28-29).

კიდევ ერთი ნაშრომი, რომელიც ი.გ.პ-თა სამიზნე ჯგუფთან სოციალურ მუშაობაზე საუბრობს, არის მ.დიკონუს, ლ.რაკოვიტა-სზილაგის და ბ.ბრაიანისნაშრომი „სოციალური მუშაობის როლი იძულებით მიგრაციის კონტექსტში: გლობალური პერსპექტივა.“ ავტორები გამოყოფენ სამ ძირითად მიმართულებას, რომელშიც ძირითადად სოციალური მუშაკების ჩართულობაა საჭირო. ეს მიმართულებებია: ფსიქიკური ჯანმრთლობა, სოციო-ეკონომიკური და ლეგალური მხარეები. ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს ტრამვა და დანაკარგი. ტრამვის გადატანა ყველა ი.გ.პ-ს უწევს, თუმცა შესაძლოა განსხვავებული სახით იყოს წარმოდგენილი. რაც შეეხება დანაკარგს, ის შეიძლება იყოს მატერიალური, კულტურული თუ ემოციური. დანაკარგი შეიძლება ი.გ.პ-თა მხოლოდ ნაწილს

გააჩნდეს. ამ ჯგუფში შესაძლოა სხვადასხვა სახის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს შევხვდეთ. შესაბამისად, მიდგომებიც განსხვავებული და მრავალმხრივი უნდა იყოს. სოციალურმა მუშაკებმა კი სხვადასხვაროლი მოირგონ პრობლემის მრავალმხრივი და ეფექტიანი მოგვარებისათვის.

მენტალურ პრობლემებს, ასევე თან ერთვის სოციო-ეკონომიკური პრობლემები. მათ ხელი არ მიუწვდებათ სხვადასხვა აუცილებელ სერვისზე და, ძირითადად, დამოკიდებულები არიან სამთავრობო თუ საქველმოქმედო ორგანიზაციებზე. ამ მხრივ, სოციალურმა მუშაკებმა უნდა დაგეგმონ შესაბამისი პროგრამები ი.გ.პ-თა დასახმარებლად. ასევე აამაღლონ საზოგადოების ცნობიერება, გაუწიონ ი.გ.პ-ებს ადვოკატობა საჭიროების შემთხვევაში, მიაწოდონ მათ ყველა საჭირო ინფორმაცია და დაეხმარონ კუთვნილი ბენეფიტების მიღებაში.

და ბოლოს, ზემოთ აღნიშნული ნაშრომის მიხედვით, სოციალურმა მუშაკმა თავისი პროფესია უნდა გამოიყენოს ასევე ლეგალური საკითხების მიმართულებითაც. იძულებით გადაადგილებილ პირთა უმრავლესობას, შესაძლოა, საცხოვრებლის მყისიერი დატოვების შემდეგ დაკარგული ჰქონდეს მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია. პრობლემის ეს მხარე, ძირითადად, საზღვრის დატოვებისას ქმნის პრობლემას,შესაბამისად მსგავსი პრობლემები უფრო მეტად ლტოლვილებს აწუხებთ. თუმცა რათქმაუნდა ბევრი პრობლემის გამოწვევა შეუძლია დევნილებისთვისაც.აქედან გამომდინარე, სოციალური მუშაკის გვერდში დგომა, ამ მხრივ, როგორც ლტოლვილებისათვის, ასევე დევნილებისათვის აუცილებელია (Diaconu, Racovita-Szilagyi& Bryan, 2016, P.6-8).როგორც დავინახეთ, ეს ნაშრომი აქცენტს სამ ძალიან ფართო საკითხზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე აკეთებს. თუმცა შესაძლოა პრაქტიკაში კიდევ ბევრი სხვა პრობლემა თუ პრობლემათა ჯგუფი გამოიკვეთოს, როგორიცაა, მაგალითად, ზემოთ აღნიშნული დილემური პრობლემა სოც.მუშაკისა და ბენეფიციარის კონფლიქტის სხვადასხვა მხარეზე დგომასთან დაკავშირებით. ამ პრობლემებზე მუშაობას კი, სოციალური მუშაკისა და ბენეფიციარის ერთობლივი, გრძელვადიანი თანამშრომლობა სჭირდება.

რატომ უნდა მუშაობდნენ სოციალური მუშაკები იძულებით გადაადგილებულ პირებთან, ამას სოციალურ მუშაკთა საერთაშორისო ფედერაცია ასევე უსვამს ხაზს:

„ გადაადგილებული ადამიანები არიან ძლიერ მოწყვლადები. ისინი იტანჯებიან დისკრიმინაციისაგან. განიცდიან მნიშვნელად დეპრივაციას და ხშირად არიან სიღარიბის ზღვარს მიღმა. საკუთარ სოციუმში მარგინალიზებულნი, ცხოვრების ამომაყირავებელი გამოცდილებით მიღებული ემოციური ტრამვის წინაშე დგანან. ისინი ექსკლუზიური ადამიანები ხდებიან, რომელთაც დაკარგეს ეკონომიკური შესაძლებლობები, დაერღვათ კულტურული იდენტობა, დაკარგეს სოციალური და ოჯახური სტრუქტურა და ხელი შეეშალათ განათლებაში, გაეზარდათ სიღარიბის დონე. დამწუხრებულნი არიან სიკვდილის ან ოჯახის წევრის დაკარგვის გამო და უკიდურეს შემთხვევაში უწევთ დელიქვენტური ქცევის ჩადენა გადარჩენის მიზნით“ (International Federation of Social Workers,2012).

თუ ამ ციტატას ერთხელ მაინც გადავიკითხავთ, არაპროფესიონალის თვალითაც მივხვდებით, თუ რამდენად დიდი საჭიროებაა იმის, რომ თითოეულ ადამიანთან, თითოეულ ოჯახთან მოხდეს პროფესიონალთა ჯგუფის, და მათ შორის, აუცილებლად სოციალურ მუშაკთა ჩართულობა, რათა იძულებით გადაადგილებულმა პირებმა ტრამვული გამოცდილება დაძლიონ და შეძლონ ჯანსაღი ფუნქციონირება.

და ბოლოს, გვინდა გაგაცნოთ ფრედ ბესთორნისა და ერიკა ელიზაბეთ მეიერის აზრით, იძულებით გადაადგილებულ პირებთან მომუშავე სოციალური მუშაკის ძირითადი ღირებულებები, რომლებიც მდგომარეობს შემდეგში: ”ინდივიდებისა და ჯგუფების ადეკვატური და სამართლიანი მოპყრობის ვალდებულება, განსაკუთრებით მათთან, ვისზეც ყველაზე მეტი გავლენამოახდინა არსებულმა სოციალურმასტრუქტურებმა და სისტემებმა.“ გარდა ამისა, სოციალური მუშაკი უნდა იაზრებდეს როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისა და გარემოს ურთიერთქმედებას და რა შედეგი მოყვება გარემოს ცვლილებებს. რაც მთავარია, სოციალურმა მუშაკმა თავისი პროფესია უნდა მიუძღვნას სოციალურ და პოლიტიკურ რეფორმებს. ისინი უნდა დაეხმარონ ადამიანებს არა მხოლოდ საჭიროების

შემთხვევაში, არამედ იზრუნონ პოლიტიკაში ცვლილებების შეტანაზე, რაც ადამიანთა ცხოვრების ხარისხს კოლექტიურად გააუმჯობესებს (Besthorn&Meyer,2010).

იძულებით გადაადგილებული პირები და სოციალური მუშაობა საქართველოში

საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ორი დიდი ნაკადი გამოიყოფა. პირველი აფხაზეთიდან და მეორე ცხინვალიდან დევნილები. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადადილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, დღესდღეობით საქართველოში სულ დევნილთა 88,704 ოჯახი ცხოვრობს. ინდივიდუალურად მათი რიცხვი კი 273,411 ადამიანს უტოლდება (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებილ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო).

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღვნიშნეთ მსოფლიო პრაქტიკაში, დევნილთა საკითხებისადმი მცირე რაოდენობის სამართლებრივი აქტების არსებობა, ლტოლვილთა საკითხებისადმი არსებულ აქტებთან შედარებით, საქართველოს მაგალითზე, მაინც შეგვიძლია რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტის მოძიება. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტია „საქართველოს კანონი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა- დევნილთა შესახებ“. ამ კანონის მიზანია, უზრუნველყოს დევნილის უფლებების დაცვა დევნილობის პერიოდში, ხელი შეუწყოს მის ინტეგრაციას რეგისტრაციის ადგილზე და დაეხმაროს პრობლემების გადაჭრაში“. მიუხედავად იმისა, რომ ამკანონში ვერ აღმოვაჩენთ სპეციალურ მუხლს სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებით, სოციალურ სფეროსთან დაკავშირებული საკითხები შეგვიძლია ამოვიკითხოთ მე-16 მუხლში, რომელიც სოციალურ დაცვას ეხება. ეს მუხლი ამბობს, რომ „სამინისტროდასხვასახელმწიფოდაწესებულებებისაქართველოსკანონმდებლობითმათ თვისმინიჭებულიკომპეტენციისფარგლებშიეხმარებიანდევნილსმისიუფლებებისგანხო რციელებაში“ (საქართველოს კანონი, 2014).ამ ციტატაში მოაზრება დასაქმებაში დახმარება, დევნილთა შემწეობის გაცემა, ზოგადი განათლების დაფინანსება, სოციალური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში დახმარება, იძულებით გადაადგილებისას პირველადი დახმარების გაწევა. აღსანიშნავია, რომ ამ მუხლის

მიხედვით,განსაზღვრულ ქმედებების განხორციელებაში შესაძლებელია სოციალური მუშაკის ჩართულობის აუცილებლობის დანახვა. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიება საჭიროებს ამ პროფესიის ჩართულობას.

ასევე აღსანიშნავია, რომ შექმნილია დევნილთა მიმართ 2017-2018 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა. ამ გეგმის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია „დევნილი მოსახლეობისთვის ღირსეული ცხოვრების პირობების მხარდაჭერა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩაბმა“. ეს გეგმა ძირითადად დევნილთა ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაზეა ორიენტირებული. მაგალითად, ხაზი ესმევა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ღონისძიებებს. მათ სოციო-ეკონომიკური პირობებების გაუმჯობესებას, ანუ დევნილთა შემწეობის გაცემის საჭიროებას და საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობას. აქვე შეგვიძლია ამოვიკითხოთ, რომ გეგმის მიზანია შექმნას შესაბამისი შესაძლებლობები დევნილთათვის, რათა „ისინი გახდნენ ფინანსურად დამოუკიდებელნი სახელმწიფოსაგან და შესაბამისად, განვითარდნენ ეკონომიკურად, სოციალურად და ფსიქოლოგიურად და სრულფასოვანი როლი შეასრულონ საქართველოს შემდგომ განვითარებაში“ (საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2017). ამ ციტატის მიხედვით, ეკონომიკური განვითარება წარმოშობს სოციალურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას, თუმცა, როგორც საერთაშორისო სამეცნიეროლიტერატურის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, დევნილთა ფსიქიკური ჯანმრთელობა არამდგრადია და მასზე ინტენსიური მუშაობაა საჭირო. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური პრობლემების მოგვარება აუცილებელი პირობაა და მათი კრიზისულ პერიოდში დაკმაყოფილება შესაძლოა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს, ეს თავისთავად არ გულისხმობს სოციალურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას. ამ კეთილდღეობის მიღწევაში კი იკვეთება სოციალური მუშაკის ჩართულობის აუცილებლობა. ამ გეგმაში არის სხვა რამდენიმე საკითხიც, რომელშიც ასევე შეიძლება სოციალური მუშაკის როლების ამოცნობა. მაგალითად, პუნქტი 2.3. დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა, რომელიც სოციალური მუშაკის განმანათლებლის როლს შეგვიძლია დავუკავშიროთ. და ბოლოს, ამ გეგმაში სოციალურ მუშაკთა როლის ძიება, შეიძლება ასევე საერთო კოორდინაციის სამეთვალყურეო საბჭოშიც, რომლის ერთ-

ერთი წევრია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სახელმწიფო სოციალური მუშაკების,ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელი. ამ მიმართულებით არის შესაძლებლობა, რომ სოციალური მუშაკები ჩაერნონ უკვე მაკრო დონეზე. იმუშაონ დევნილთა საკითხებთან დაკავშირებულ სამოქმედო გეგმაზე, სასარგებლო საკანონმდებლო ცვლილებებზე და ითანამშრომლონ მთავრობასა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ასევე, იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2017-2018 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის თანახმად, აღნიშნულ წლებში შესრულებული იქნება სამი ძირითადი ამოცანა:

1. დევნილთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის გზით;
2. დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება;
3. დევნილთა ინფორმირებულობის გაზრდა (საქართველოს მთავრობის განკარგულება, 2017).

თითოეული ამ ამოცანის უკეთ განსახორციელებლად და დასაკმაყოფილებლად სოციალური მუშაკის ჩართვა რეკომენდირებული ნაბიჯი იქნება.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებობს მიზნობრივი შეღავათები, რომლებიც დევნილთათვის იწევა. მათ შეგვიძლია მივაკვლიოთ განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში. პირველ რიგში უნდა გავამახვილოთ ყურადღება დევნილის შემწეობაზე, რაც გულისხმობს „დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, დევნილისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყოველთვიურ გასაცემელს“ (საქართველოს კანონი, 2014) და შეადგენს 45 ლარს. თუმცა იყო დევნილი, თავისთავად არ უზრუნველყოფს ამ შემწეობის მუდმივობას. საქართველოს კანონში „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საუბარია, რამდენიმე შემთხვევაზე როცა ეს შემწეობა შეწყდება, მაგალითად თუ პირი გავა ქვეყნიდან 2 თვეზე მეტი ხნით ან აქვს დაუბეგრავი შემოსავალი 1250 ლარი ან მეტი, ან იღებს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის განკუთვნილ სოციალურ დახმარებას. შემწეობა შეწყდება ასევე თუ პირი თავად გამოთქვამს ამის

სურვილს (საქართველოს კანონი, 2014). გარდა ამისა, შეღავეთები აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. სამინისტროს სოციალური პროგრამით დაფინანსება შეიძლება მოიპოვონსტუდენტებმა, რომლებიც ზოგადი განათლების ბოლო საფეხურებზე სწავლობდნენ და "სრულიზოგადიგანათლებისდამადასტურებელიდოკუმენტიმიიღესსაქართველოსოკუპ ირებულტერიტორიებთანგამყოფიხაზისმიმდებარესოფლებშიარსებულზოგადსაგანმანა თლებლოდაწესებულებებში" (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2017). ასევე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, მიზნობრივი ჯანდაცვის პაკეტებით სარგებლობენ იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველ, პენსიონერ, 0-6 წლამდე ბავშვებთან, პედაგოგებთან, შშმ პირებთან და სტუდენტებთან ერთად (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, 2017). 2013 წლიდან ასევე ფუნქციონირებს ერთჯერადი ფულადი დახმარებების გაცემის პროგრამა. ეს პროგრამა დახმარებას უწევს მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფ დევნილ ოჯახებს. 2013-2014 წელს ამ პროგრამით 2589 დევნილმა ისარგებლა (საქართველოსოკუპირებულიტერიტორიებიდანიძულებითგადაადგილებულპირთა, განსახლებისადალტოლვილთასამინისტრო). რაც შეეხება კომუნალურ შეღავათებს, სახელმწიფო დევნილ მოსახლეობას კომუნალურების დაფარვაში გარკვეულ დახმარებას უწევდა. კერძოდ კი, სახელმწიფომ დაფარა 2013 წლის 1 მარტამდე არსებული ბუნებრივი აირის დავალიანება, რომელიც დევნილებს უფიქსირდებოდათ (საქართველოს მთავრობა, 2013). ასევე სახელმწიფოს მიერ მოხდა დევნილთათვის ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის დავალიანების დაფარვა, რომელიც მათ უფიქსირდებოდათ 2013 წლის ნოემბრამდე (საქართველოს მთავრობა, 2013).

თუმცა, ამ შეღავათების მიმოხილვისას აუცილებლად უნდა შევეხოთ ინფორმირობილობის საკითხსაც. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრის მონიკა ქირიას აზრით, ხშირ შემთხვევაში დევნილებმა არ იციან იმ სოციალური სერვისების შესახებ, რომლებიც მათ ეკუთვნით და შესაბამისად ვერ სარგებლობენ.შესაბამისად, მისი რეკომენდაციაა სახელმწიფოსა და დევნილებს შორის

მუდმივი კომუნიკაცია და მწვავე საკითხების დიალოგის რეჟიმში გადაწყვეტა(ქირია. მ).

საქართველოს მაშტაბით ჩატარებულია რამდენიმე კვლევა, რომელთა სამიზნე ჯგუფიც დევნილები იყვნენ. თითოეულ მათგანს სხვადასხვა მიზანი და ამოცანები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ მოვიძიეთ კვლევა, რომელიც საკუთრივ სოციალური მუშაობისა და დევნილთა საკითხების შესახებ იქნებოდა ჩატარებული,ზოფიერთი მათგანი ყურადღებას ამახვილებს სოციალურ საკითხებზე და დევნილთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა „ექსპერტული კვლევა და საჭიროების მონაწილეობითი ანალიზი სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობის შესახებ“, აკეთებს რამდენიმე მიგნებას,დევნილებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. პირველი მიგნებაა ისაა, რომ დევნილის სტატუსის მიღება შეუძლია არასრულწლოვანს, რომლის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს დევნილის სტატუსი აქვს. ეს კი დევნილთა რიცხვის ხელოვნულ ზრდას იწვევს. მეორე მიგნება ისაა, რომ განსხვავებულიმიდგომა არსებობს, ცხინვალიდან პირველი კონფლიქტისა და 2008 წლის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ. მეტი პროგრამა და მომსახურება მიეწოდება მეორე ტალღის დევნილებს. რეკომენდაციად კი კვლევა იძლევა, რომ აუცილებელია ახალი სისტემური მიდგომა, რომელიც სოციალური უზრუნველყოფის გარანტიებს შექმნის ქვეყანაში (სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, 2016, გვ 16). სოციალური მუშაკის როლი ამ რეკომენდაციაშიც იკვეთება, როგორც სოციალური ადვოკატის როლში, და მაკრო დონეზე, სისტემური ცვლილებების განხორციელებისას.

დევნილთა საკითხების შესახებ ჩატარდა ასევე კვლევა 2014 წელს სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ. კვლევამ გამოკვეთა, რომ დევნილები ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგანან, მაღალია უმუშევრობის დონე და შეადგენს გამოკითხულთა 40,3%-ს (სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2015, გვ 39). უმუშევრობის გარდა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების რიცხვს მიეკუთვნება: მედიკამენტებზეხელმიუწვდომლობა, მძიმე საბინაო პირობები, მათთვის მაღალი კომუნალური გადასახადების გადახდა და ზოგადად, ჯანდაცვის სერვისის ხელმიუწვდომლობა და ა.შ (გვ 44).

კვლევის შედეგად, ასევე, ყურადღება გამახვილდა საცხოვრებელთან ინტეგრირებულობის დონეებზე. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 57,3% ინტეგრირებულია ახალ საცხოვრებელ ადგილას, 33,3% ნაწილობრივ ინტეგრირებული, ხოლო 8,3% არ არის ინტეგრირებული. ასევე გამოიკვეთა სრული ინტეგრაციისთვის საჭირო პირობები. 43,3%-სთვის ესაა შემოსავლის წყარო. 20,4%-სთვის კარგი სახლი/ბინა, 10,7 %-სთვის კი სამედიცინო მომსახურება (გვ 47).როგორც დევნილთა შესახებ კანონში შეგვიძლია ამოვიკითხოთ, სახელმწიფო ვალდებულებას იღებს ხელი შეუწყოს დევნილებს დასაქმებასა და საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფაში. შესაბამისად, სოციალურ მუშაკს შეუძლია იშუამდგომლოს მათ შორის და დაეხმაროს ბენეფიციარებს ზემოთ ჩამოთვლილი პირობების, როგორც კუთვნილი ბენეფიტების მიღებაში.

საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა სამიზნე ჯგუფთან კვლევა ჩატარებულია ასევე მსოფლიო ბანკის მიერ. კვლევაში „საქართველო - სტატუსიდან საჭიროებებამდე გარდამავალი დახმარება იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, სიღარიბისა და სოციალური გავლენის ანალიზი“, საუბარია კვლევის შედეგად გამოვლენილ სხვადასხვა პრობლემებზე. პირველ რიგში, კვლევის შედეგად ხაზი ესმევა საქართველოში დევნილთა საკითხებისათვის ამომწურავი პოლიტიკის ჩარჩოს არსებობას, თუმცა ამავე დროს ეს ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს, არსებული სერვისების იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიტანას (World Bank, 2016, P14). შემდეგი მიგნება სიღარიბეს ეხება. აღმოჩნდა, რომ სიღარიბის დონე არაა მკვეთრად განსხვავებული იძულებით გადაადგილებულ პირებსა და დანარჩენ მოსახლეობას შორის. თუმცა განსხვავებები სახეზეა დასაქმებისა და სტაბილური შემოსავლების კუთხით (P.20). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა, ზოგიერთი ქვე-ჯგუფი ძლიერ მოწყვლადია და ეს გათვალისწინებული უნდა იყოს ნებისმიერი პროგრამის დაგეგმვისას, რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებისთვისაა შექმნილი (P.27). და ბოლოს, იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსს საქართველოსთვის პოლიტიკური და სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ სტატუსით ხაზი ესმევა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხებს (P.32).

ზემოთ მოყვანილ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ჩანს თუ რამდენად მნიშვნელოვანია ი.გ.პ-ებთან სოციალური მუშაობის პრაქტიკის გატარება. საქართველოში ეს პრაქტიკა არც თუ ისე განვითარებულია. სახელმწიფო დონეზე ქვეყანაში არ გვყავს სოციალური მუშაკები, რომლებიც საკუთრივ დევნილებთან მუშაობაზე სპეციალიზირდებიან. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში არ არიან დასაქმებულები სოციალური მუშაკები. რაც შეეხება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მათი სოციალური მუშაკები დევნილ მოსახლეობას აწვდიან ზუსტად იმავე პროგრამებს, რასაც ნებისმიერ ამ სტატუსის არ მქონე პირს. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ეს სექტორიგარკვეულწილად მუშაობს დევნილებთან და ახორციელებს ან ახორციელებდა სოციალურ მუშაობას. მაგალითისათვის, წეროვანში 2016 წელს გაიხსნა „ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“, რომელშიც მუშაობდა პროფესიონალთა მულტიდისციპლინური გუნდი: ფსიქოლოგები, ფსიქოტრავმატოლოგები, ფსიქოსომატოლოგები და სოციალური მუშაკები. ცენტრი ეწეოდა კონსულტირებას სხვადსხვა სოციალური პრობლემის არსებობისას, ზრდიდა ინფორმირებულობის დონეს სხვადასხვა სერვისების შესახებ და ეხმარებოდა დევნილებს მათ ხელმისაწვდომობაში(საქართველოსპარლამენტისსაზოგადოებასთანურთიერთობისადა ინფორმაციისდეპარტამენტი,2016).

ასევე არსებობს ორგანიზაციები, მაგალითად, „კავკასიური სახლი“, დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობა,“ ორგანიზაცია „კეთილი მომავლისთვის“ და ა.შ, რომლებიც თანამშრომლობენ დევნილებთან და მათ სხვადასხვა სოციალური სერვისს სთავაზობენ, ზოგიერთ მათგანში კი ასევე დასაქმებულები არიან სოციალური მუშაკები, რომლებიც მათთან სოციალური მუშაობის პრაქტიკას ატარებენ. რაც შეეხება კრიზისულ პერიოდს, ამ დროს დევნილთათვის შექმნილი იყო სპეციალური პროგრამები, რომლების ფარგლებშიც ორგანიზაციები ი.გ.პ-ებს სოციალური მუშაკის მომსახურებასა და სხვა სოციალურ სერვისებს აწვდიდნენ (მაგალითად, Every Chind, Save the Children, Terre des Hommes). ინფორმაცია ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების შესახებ მოპოვებულია ექსპერტული ინტერვიუების საშუალებით.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ინფორმაციისა, მაინც უნდა ითქვას, რომ ი.გ.პ-ებთან სოციალური მუშაობის პრაქტიკა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა და განვითარებას საჭიროებს.ზოგადად, სოციალური მუშაობა საქართველოშიახალგაზრდა პროფესიაა. მან განვითარება 1990-იანი წლებიდანდაიწყო(ნამიჭეიშვილი & მგელიაშვილი, 2010, გვ13). შესაბამისად, ყველა მიმართულებით ღრმად ფესვების გადგმა და ყველა პრობლემური საკითხის შესახებ მიკრო, მეზო და მაკრო დონეზე შესაბამისი პრაქტიკისგატარება, რთულად მისაღწევი ამოცანაა. იძულებით გადაადგილებული პირები სწორედ ერთ-ერთი ის მოწყვლადი ჯგუფია, რომელთანაც, სოციალური მუშაობა არაა საჭიროებისამებს განვითარებული და ამ მიმართულებით, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისგან წინ გადადგმულ ნაბიჯებს ელოდება.

რაოდენობრივი კვლევის ანალიზი

კვლევის რაოდენობრივი ნაწილი ჩატარდა წეროვნისა და გორის წმინდაწყლის დევნილთა დასახლებებში. გამოკითხულთა შორის იყო 59% ქალი და 41% კაცი. გამოკითხულთა უმრავლესობის ასაკი (18%) მერყეობდა 42–47 ასაკობრივ კატეგორიაში. გამოკითხულთა შორის ნაკლებად არის წარმოდგენილი ყველაზე ახალგაზრდა და ხანდაზმული ჯგუფები. 18-23 წლამდე და 72 წელს ზემოთ ასაკობრივი ჯგუფები კვლევაში წარმოდგენილნი 4-4%-ით იყვნენ. გამოკითხულთა დანარჩენი რაოდენობა კი სხვა ასაკობრივ ჯგუფებზე დაახლოებით თანაბრად ნაწილდება. გამოკითხულთა შორის უმრავლესობაში იყვნენ ეთნიკურად ქართველი (97%), დაოჯახებული (75%), მართლმადიდებელი (94%) მოსახლეობა. გამოკითხულთა 57% აქვს სტაბილური ანაზღაურებადი სამსახური. იქიდან გამომდინარე, რომ კვლევა იყო შინამეურნეობების, ეს დემოგრაფიული მახასიათებლები სასარგებლოა რესპონდენტთა ვინაობის წარმოსადგენად და არ ასახავს გენერალური ერთობლიობის დემოგრაფიულ მახასიათებლებს (იხ.დანართი „გ“).

კვლევის პროცესში გართულდა საკუთრებაში არსებული მიწის განსაზღვრა, რადგან რესპონდენტები არ ფლობდნენ ზუსტ ინფორმაციას მიწების ფართობის შესახებ. გარდა ამისა, ინფორმაციის ფლობის შემთხვევაშიც, ისინი ერთმანეთისაგან

განსხვავებულ საზომ ერთეულებს იყენებდნენ. თუმცა, მიუხედავად ამისა, მოხდა განსაზღვრა, რომ უმრავლესობა მხოლოდ საცხოვლებელი სახლის გარშემო პატარა მიწას ფლობს. ეს მიწა სამიზნე ჯგუფის აღწერით 80 კვ.მ-ს არ აღემატება. მიწის ამ ოდენობას ფლობს გამოკითხულთა 55 პროცენტი. 44%-ს გააჩნია 200-დან და 600-მდე კვ.მდე მიწა. უფრო დიდი რაოდენობით მიწა კი მხოლოდ 1,3%-ს აქვს. ეს მონაცემები ბევრად განსხვავდება იმ მონაცემებისაგან, რომლებიც ასახავს საკუთრებაში არსებული მიწების რაოდენობას 2008 წლის ომამდე. ამ შემთხვევაშიც ხშირი იყო პასუხის არ ცოდნა, ან მიწის გაზომვა რიგ შემთხვევებში ჰექტრებში, მეასედებსა თუ კვადრატულ მეტრებში. შესაბამისად, კოდირებისას გადაწყდა, რომ შექმნილიყო ცვლადი „დღევანდელზე ბევრად მეტი“ და მის ქვეშ გაერთიანებულიყო შემთხვევები,როცაგამოკითხულთა მიწა იმდენად დიდი იყო, რომ ამ მიწის დამუშავება იყო მათი შემოსავლის ძირითადი წყარო. დღევანდელზე გაცილებით მეტ მიწას ფლობდა გამოკითხულთა 84%, ხოლო ისეთი, ვინც წარსულში საერთოდ არ ფლობდა მიწას მხოლოდ 2%-მდე იყვნენ. შესაბამისად, უმრავლესობის შემოსავლის ძირითადი წყარო იძულებით გადაადგილებამდე სწორედ სოფლის მეურნეობა იყო (66,6%). სოფლის მეურნეობას მოყვება სტაბილური ანაზღაურებადი სამსახური (47,9%). მცირედი პროცენტული მაჩვენებლები ნაწილდება მიგრანტთა გზავნილებზე, პენსიასა და თვითდასაქმებაზე. დღევანდელი შემოსავლის წყაროების ანალიზისას, სოფლის მეურნეობა მხოლოს 8,3%-ის შემთხვევაში ფიგურირებს. დომინანტური პასუხი კი სტაბილური ანაზღაურებადი სამსახურია - 63,3%-ით (ამ შემთხვევაში იგულისხმება არა მხოლოდ უშუალოდ რესპონდენტთა, არამედ მთელი ოჯახის შემოსავალი. შესაბამისად, სტაბილური ანაზღაურებადი სამსახური შეიძლება იყოს თავად მისი ან მისი ოჯახის რომელიმე წევრის). ჩნდება ახალი ცვლადებიც, როგორიცაა სახელმწიფო დახმარება(14,6%) და დევნილთა შემწეობა (მთლიანობაში 17,1%).

2008 წლის ომი და ომამდელი საცხოვრებლის დატოვება

რესპონდენტთა უმრავლესობამ 62,1 პროცენტმა ომამდელი საცხოვრებელი ომის მიმდინარეობისას 8-დან 12 აგვისტოს შორის შუალედში დატოვა. 20 პროცენტმა ომი საცხოვრებელ გარემოში გაატარა და მხოლოდ ამის შემდგომ დატოვა იქაურობა. 16,7%-ს კი საცხოვრებელი სხვადასხვა მიზეზების გამო 8 აგვისტომდე უკვე დატოვებული

ჰქონდა. ალბათ, არ სჭირდება მიზეზებს ძიება, თუ რატომ შეიძლება ადამიანმა დატოვოს ომის პერიოდში საცხოვრებელი, მაგრამ კვლევის ფარგლებში შევეცადეთმაინც გამოგვეყო ის საბოლოო, გადამწყვეტი მიზეზი, რამაც რესპონდენტებს საცხოვრებლის დატოვება დაუყონებლივ აიძულა. 22,1 პროცენტისთვის მიზეზი ტერიტორიაზე განხორიელებული დაბომბვები იყო, 20,8%-სთვის მტრის ჯარის შემოსვლა საცხოვრებელ ტერიტორიაზე. 21,3%-მა მტრის ჯარის მიმდებარე დასახლებულ ტერიტორიაზე შესვლა აღიქვა იმის ნიშნად, რომ საცხოვრებელი უნდა დაეტოვებინა. დარჩენილ მიზეზებს შორისაა აფეთქებებით გამოწვეული სახლების ნგრევა (12,5%), სოფლის დაცლა (9,6%), ქართული სამხედრო ძალების მიერ გაფრთხილება ტერიტორიის დატოვების შესახებ (4,6 %) და სხვა. 7,5%-ს კი უჭირს ერთი რომელიმე გადამწყვეტი მიზეზის გამოყოფა.

ძირითადად, გამოკითხულთა უმრავლესობამსაცხოვრებელი ოჯახის წევრებთან ერთად დატოვა (86,7%). 4,2%-მა ნათესავებთან ერთად გადაინაცვლა სხვა, შედარებით უსაფრთხო ტერიტორიულ ერთეულზე. 2%-სა და 3%-ს შორის მერყეობს იმ რესპონდენტებთა ხვედრითი წილი, რომლებმაც საცხოვრებელი მარტომ, მეგობრებთან ან სულაც მთელ სოფელთან ერთად დატოვეს.

საცხოვრებლის დატოვების შემდგომ უმრავლესობა თბილისში განთავსდა. პროცენტულად ეს მაჩვენებელი 77,1%-ია. მცხეთა-მთიანეთში 9,6%-მა მოიძია დროებითი საცხოვრისი. დანარჩენი მოსახლეობა კი მცირე ოდენობებით გადანაწილდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. მათგან 30 პროცენტი ახლობელთან თუ ნათესავთან ცხოვრობდა დევნილთა დასახლებაში სახლის მიღებამდე. ასევე 30% ამბობს, რომ შეჭრილი იყო სხვადასხვა ტიპის შენობებში (ძირითადად, სკოლები, საბავშვო ბაღები და ა.შ). 29,6 % ცხოვრობდა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ფართში (ხშირ შემთხვევაში ეს ფართი ასევე წარმოადენდა სკოლებისა თუ საბავშვო ბაღებისა და ა.შ ტიპის შენობებს). ხშირ შემთხვევაში ეს ორი ცვლადი ერთმანეთს ემთხვევოდა, თუმცა რესპონდენტები სხვადასხვაგვარად აღწერდნენ და განსხვავებულად ახასიათებდნენ საცხოვრებლის ტიპებს. სხვა ვარიანტებს შორის, 4,2 %-სთვის არჩევანი იყო ფართის ქირაობა, ხოლო 3,3% კი მათივე საკუთრებაში ცხოვრობდა, კონფლიქტის ზონის მიღმა.

საცხოვრებლის დატოვებიდან პირველი კრიზისული თვე

2008 წლის ომის შემდგომი პირველი თვის კრიზისულ პერიოდში, როდესაც ადამიანები საცხოვრებლის გარეშე, ძველ ცხოვრებას მოწყვეტილნი, ახალი რეალობის წინაშე დგებიან, საგულისხმოა, ყურადღების გამახვილება ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილების აუცილებლობაზე. მსგავს შემთხვევაში, ძირითადად, იკარგება წყარო, რომლიდანაც ადამიანები შემოსავალს იღებდნენ და, შესაბამისად, იკმაყოფილებდნენ როგორც ბაზისურ, ასევე დამატებით საჭიროებებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, თუ რა იყო კრიზისულ პერიოდში დევნილთა საარსებო წყარო. გამოკითხულთა 60,5%-სთვის ასეთი ჰუმანიტარული დახმარება იყო, 40%-ს ასევე ეხმარებოდნენ ახლობლები და ნათესავები. დაახლოებით40% -ს ჰქონდა დანაზოგი, რომელსაც ამ პერიოდში საჭიროებების დაკმაყოფილებას ახმარდნენ. მცირე რაოდენობით რესპონდენტებს დაეხმარა სახელმწიფოს ან კერძო პირის გადაცემული თანხა. ზოგი მათგანი კი ამ პერიოდშიც თავადვე გამოიმუშავებდა შემოსავალს (იხ.დიაგრამა N1).

დიაგრამა1: იძულებით გადაადგილებულ პირთა შემოსავალი კრიზისულ პერიოდში (N=240) (%)



კვლევის პროცესში გადავწყვიტეთ გამოგვეყო რამდენიმე საჭიროება და დაგვედგინა, თუ რამდენად სრულყოფილად იკმაყოფილებდნენ მათ რესპონდენტები. გამოვყავით კვება, ჰიგიენა, სამედიცინო საჭიროებები, ტანსაცმლითა და თავშესაფრით უზრუნველყოფა. რესპონდენტები პასუხს იძლეოდნენ 4 ბალიანი სკალის შესაბამისად, სადაც „1“ შეესაბამებოდა საჭიროების საერთოდ ვერ დაკმაყოფილებას, „2“- საშუალოზე ცუდად, „3“-საშუალოზე კარგად, ხოლო „4“-სრულყოფილად დაკმაყოფილებას. აღმოჩნდა, რომ საკუთარი სახსრების გარდა, ასევე მიღებული დახმარებების მიუხედავად, სრულყოფილად კვებით საჭიროებებს, მხოლოდ 9,2% იკმაყოფილებდა. 50,8% იმავეს საშუალოზე კარგად, ხოლო 40% საშუალოზე ცუდად ახერხებდა. ჰიგიენის შემთხვევაში სრულყოფილად საჭიროების დაკმაყოფილება 14,2%-მა, საშუალოზე კარგად 42,9%-მა, ხოლო საშუალოზე ცუდად ასევე 42,9 პროცენტმა შეაფასა. სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილების შემთხვევაში დაფიქსირებულ პასუხებს შორის გამოჩნდა ასევე საერთოდ ვერ დაკმაყოფილების შემთხვევები. 9,6% სწორედ ასე აღწერს ამ მხრივ თავის გამოცდილებას. სრულყოფილად კი იგივეს მხოლოდ 6,3% ახორციელებდა. საშუალოზე ცუდად 46,3%, ხოლო საშუალოზე კარგად კი 37,9%. ტანსაცმლის შემთხვევაში საჭიროების დაკმაყოფილების უკეთესი ტენდენცია იგრძნობოდა. სრულყოფილად და საშუალოზე კარგად სამოსით თავის უზრუნველყოფას 71,7% ახერხებდა, მაშინ როცა საერთოდ ან საშუალოზე ცუდად ამას მხოლოდ 28,4% ახორციელებდა. რაც შეეხება თავშესაფრით უზრუნველყოფას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოკითხული ი.გ.პ-ები სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელში ცხოვრობენ, ზოგი ნათესავთან ან ახლობელთან, ზოგი შეჭრილი ან სახელმწიფოს მიერ შესახლებული იყო. შესაბამისად თითოეულ მათგანს გააჩნდა თავშესაფარი. შემდეგი კითხვა კი ზომავს რამდენად თვლიდნენ ამ თავშესაფარს ისინი მათი საჭიროების დამაკმაყოფილებლად. მხოლოდ 0,4% თვლის, რომ მათი თავშესაფრის საჭიროება სრულყოფილად კმაყოფილდებოდა, 6,7% კი ამ პერიოდს თავშესაფრის საჭიროების საერთოდ დაუკმაყოფილებლობასთან აიგივებს. დანარჩენი პასუხები ნაწილდება საშუალოზე ცუდად (27,9%) და საშუალოზე კარგად (40,8%) თავშესაფრით უზრუნველყოფის კმაყოფილებაზე(იხ.დანართი „დ“).აღნიშნული საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალო მაჩვენებლების შედარება აჩვენებს, რომ იძულებით

გადაადგილებული პირები ყველაზე მეტად უზრუნველყოფილი ტანსაცმლით და თავშესაფრით იყვნენ, საშუალოდ აფასებენ ჰიგიენისა და კვებით საჭიროებების დაკმაყოფილებას, ხოლო სამედიცინო მომსახურება ყველაზე ნაკლებხელმისაწვდომი იყო მათთვის (იხ. დიაგრამა N2).

დიაგრამა2: რამდენად სრულყოფილად იკმაყოფილებდნენ რესპონდენტები სხვადასხვა ბაზისურ საჭიროებებს დევნილობის პირველი 1 თვის განმავლობაში (საშუალო მაჩვენებლები, სადაც„1“ შეესაბამებოდ ასაჭიროების საერთოდ ვერ დაკმაყოფილებას, „4“-სრულყოფილად დაკმაყოფილებას)



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმით, თუ როგორ იკმაყოფილებდნენ კვებით საჭიროებებს, ყველაზე კმაყოფილნი ის რესპონდენტები იყვნენ, ვინც პირველი ერთი თვის განმავლობაში თავის კუთვნილ ფართში ცხოვრობდა კონფლიქტის ზონის გარეთ. მათი 75% საშუალოზე კარგად იკმაყოფილებდა კვებით საჭიროებებს. იმავეს თქმა შეიძლება ჰიგიენის შემთხვევაშიც, მაჩვენებელიც ზუსტად იგივე 75%-ია. ასევე აღსანიშნავია, რომ დაფიქსირდა მაღალი კორელაციის კოეფიციენტი სხვადასხვა საჭიროების დაკმაყოფილებას შორის, ანუ ვინც იკმაყოფილებდა ერთ საჭიროებას, ასევე იკმაყოფილებდა სხვა საჭიროებასაც. მთლიანობაში, ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კრიზისულ პირველ პერიოდში ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილება საშუალო დონეზე ხორციელდებადა სახელმწიფო პოლიტიკის და პროგრამების დახმარებით, თითქმის უმნიშვნელოა იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომელთაც საერთოდ არ შეეძლოთ ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილება.

უკვე ვახსენეთ, თუ რამდენად ბევრი საჭიროება გააჩნდათ ამ დროს დევნილებს, რომელთა დაკმაყოფილებას ზოგი სრულყოფილად, ნაწილობრივ ან საერთოდ ვერ ახერხებდა. ამიტომ მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ ვინ და რა ეფექტიანობით უწევდა ამ დროს მოწყვლად ი.გ.პ-ებს დახმარებას და რა როლს ასრულებდნენ ამ პროცესში სახელმწიფო ან არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რა სახის პროგრამებს გასცემდნენ ისინი, ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია გავაკეთოთ იმის ანალიზი, თუ რა სახის დახმარება მიდიოდა დევნილებამდე. თუ განვიხილავთ სახელმწიფოს, აღმოჩნდება, რომ მისი მხრიდან 91,3 პროცენტმა, ერთხელ მაინც, მიიღო დახმარება საკვების სახით. მონეტარული დახმარება გაეწია მთლიან გამოკითხულთა 13,7%-ს, ტანსაცმლით უზრუნველყოფა მოხდა 13,3 %-ის, ფსიქოლოგიური დახმარება გაეწია 5,0 %-ს, სამედიცინო დახმარება 0,8%-ს. ხოლო 6,3 % აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მათ არანაირი დახმარება არ მიუღიათ.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, რესპონდენტებისთვის არასამთავრობოებისაგან მიღებული დახმარება სახელმწიფოსაგან მიღებულზე მცირეა. 63,8% ამბობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან არანაირი დახმარება არ მიუღია. გაწეულ დახმარებას შორის კი საკვები ყველაზე ხშირად დაფიქსირებული პასუხია (27.5%). რასაც ტანსაცმლით უზრუნველყოფა (10,4%) და სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილება მოყვება (7,5%).

როგორც ამ მონაცემებიდაც ჩანს, სერვისები რომლებიც შეთავაზებული იყო დევნილებისათვის, ძირითადად მატერიალური სახის იყო დანაკლები ყურადღებაა გამახვილებული სოციალური თუ ფსიქოლოგიური საკითხებისადმი. ასეთი მიდგომები არაა დამახასიათებელი მხოლოდ საქართველოსათვის. ნიგერიაში ე.ენვერეჯის განხორციელებული კვლევის შედეგების მიხედვითაც ჩანს, რომ დევნილებთან მომუშავე ორგანიზაციების 68% სამიზნე ჯგუფს აწვდის მხოლოდ საკვებს, ტანისამოსს და ფულს. როგორც ნიგერიული კვლევა ახასიათებს ორგანიზაციათა მხოლოდ 12% აწვდის ხალხს „სულიერ კონსულტაციას“, რომელშიც ფსიქოლოგიური მხარდაჭერა იგულისხმება (Enwereji, 2009).

სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარების უფრო მნიშვნელოვნად აღქმას, ვიდრე არასამთავრობო სექტორის მიერ გაწეულისა, ადასტურებს ისიც, რომ კითხვაზე, თუ ვინ აღმოუჩინა დევნილებს ყველაზე ეფექტიანი დახმარება, ბევრად გავრცელებული პასუხი არის სახელმწიფო, ვიდრე არასამთავრობო სექტორი. შეთავაზებულ ვარიანტებიდან, რომელთა შორისაც იყო: სახელმწიფო, არასამთავრობოები, ნათესავები, მეზობლები პირვანდელი საცხოვრებელი ადგილიდან, მეზობლები ახალი საცხოვრებელი ადგილიდან, უცნობი ადამიანები, კერძო სექტორი და მეგობრები, ყველაზე ხშირად დაფიქსირებული პასუხი, როგორც ეფექტიანი დახმარება, სწორედ სახელმწიფოა. პრიორიტეტი ამ არჩევანს მიანიჭა 57,9%-მა. მეორე ყველაზე ხშირი პასუხი კი იყო ნათესავები 38,3%-ით. მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო სექტორი, როგორც ყველაზე ეფექტიანი დამხმარე მხოლოდ 0,4%-ის მიერაა დასახელებული, მთლიანობაში 18,8 % განიხილავს მას, როგორც ეფექტიანი დახმარების წყაროს, მათგან 9,6%-სთვის კი ის მეორე ყველაზე ეფექტური წყაროა. რათქმაუნდა, სახელმწიფოს როლი ამ შემთხვევაშიც ბევრად აჭარბებს არასამთავრობოების როლს და მთლიანობაში თუ არ დავაკვირდებით პრიორიტეტებს და გამოვყოფთ თუ რა ნაწილისთვისაა სახელმწიფო ზოგადად დახმარების წყარო მივიღებთ 91,7%-ს. კომენტარის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხულთა პირისპირი ინტერვიუების საფუძველზე, ამ მაჩვენებლის ასეთი სიდიდე გამოიწვია იმან, რომ სახელმწიფომ დევნილებს გადასცა სახლები დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში. თუ გამოვრიცხავთ სახლის უსასყიდლოდ გადაცემას, მაშინ მაჩვენებლები შესაძლოა შედეგები განსხვავებული ყოფილიყო.ასევე საგულისხმოა, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველაზე ეფექტიანი დახმარება სახელმწიფოს შემდეგდევნილებს ნათესავებმა აღმოუჩინეს(38,3%). ეს ცვლადი ასევე მეორე ადგილს იკავებს, როგორც ზოგადად სხვადასხვა პრიორიტეტულ ადგილას დაყენებული არჩევანი. მთლიანობაში 80,9 %-ს მიაჩნია, რომ პირველი იქნება, მეორე, მესამე თუ მეოთხე პრიორიტეტი, სხვა ჩამოთვლილ ვარიანტებს შორის ნათესავები მათთვის მაინც ეფექტიან დახმარებას სწევდნენ. რაც შეეხება ყველაზე იშვიათად დასახელებულ პასუხებს ეს იყო კერძო სექტორი (1,7%) და უცნობი ადამიანები (3,3%). გამოკითხულთა 2,9%-ის აზრით კი, ჩამოთვლილთაგან არცერთს მათთვის არ გაუწევია ეფექტიანი დახმარება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ უფრო მეტად ნათესავებიდამეგობრები, აღმოჩნდნენ დევნილთათვის კრიტიკულ მომენტში ეფექტიანი დახმარების გამწევ პირთა შორის. საინტერესოა, იქნებიან თუ არა ისინი დევნილთათვის ასევე მხარდამჭერის ქსელთან ასოცირებულნიდა კიდევ ვინ შეიძლება მოხვდეს მათთვის ამ კატეგორიაში. აღმოჩნდა, რომ დევნილთა 93,8 პროცენტს ჰყავდა მხარდამჭერი ქსელი, ხოლო 6,2% არ ჰყავდა ასეთი ქსელი (იგივე გვერდში მდგომი ადამიანები, როგორც ინტერვიუს პროცესისას ინტერვიუერები მხარდამჭერ ქსელს მოვიხსენიებდით). სავარაუდოა, რომ ამ 93,8%-ში უნდა დომონირებდეს არაფორმალური სოციალური ქსელი, რადგან ფორმალური მხარდამჭერი ქსელის არსებობას ეჭვქვეშ აყენებს კითხვაზე „მიგიღიათ თუ არა რომელიმე პროფესიონალის დახმარება პირველი ერთი თვის გამავლობაში?“ მიღებული პასუხები. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთაგან 94,2%-ს არცერთი პროფესიონალის დახმარება არ მიუღია. მხოლოდ 5,8 პროცენტმა მიიღო ფსიქოლოგის დახმარება. სოციალურ მუშაკთან, იურისტთან ან რომელიმე სხვა დარგის პროფესიონალთან შეხება კი პირველი 1 თვისგანმავლობაში საერთოდ არ ფიქსირდება გამოკითხულთა შორის. ეს შედეგები გამყარდა კითხვით, თუ ვინ წარმოადგენდა დევნილთათვის ამ პერიოდისათვის მხარდამჭერ ქსელს. აღმოჩნდა, რომ გარდა იმ 6,3%-ისა, რომელთაც მხარდამჭერი ქსელი არ ჰყავს, გამოკითხულთა93,8%-სთვის ამ ქსელს წარმოადგენენ ოჯახის წევრები, 61,3%-სთვის ნათესავები, 28,9%-სთვის მეგობრები, 15,1%-სთვის მეზობლები ძველი საცხორებელი ადგილიდან, ხოლო 12,9%-სთვის ახალი მეზობლები და ახალი ნაცნობები. პასუხებს შორის საერთოდ არ ფიგურირებენ პროფესიონალები, როგორც მხარდამჭერ ქსელად აღქმული ადამიანები(იხ. დიაგრამა N3).

დიაგრამა3: ვინ წარმოადგენდა თქვენ მხარდამჭერ ქსელს/ გვერდში მდგომ ადამიანებს? (N=477) (შემთხვევების %)



როგორც ზემოთ გამოიკვეთა ძველი მეზობლები, ყოფილი საცხოვრებელი ადგილიდან არ წამოადგენდნენ ბევრისათვის მხარდამჭერ ქსელს. ხშირ შემთხვევაში სოფლის ტიპის დასახლება ჩაკეტილი სივრცეა, სადაც ადამიანები ძირითადად ერთიდაიგივე სოციალურ ქსელში ტრიალებენ. ერთ დღეში ამ სოციალური გარემოს რღვევა და სრულებით ახალ რეალობაში მოხვედრა ფსიქოლოგიურად რთული გადასატანი მოვლენა. ამიტომ კვლევისათვის მნიშვნელოვანი იყო, იმის დადგენა, თუ რამდენად ინარჩუნებდნენ პირველი ერთი თვის განმავლობაში ადამიანები კავშირს ნაცნობებსა და მეზობლებთან ომამდელი საცხოვრებელი ადგილიდან. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 45 პროცენტი ყოველდღიურად ნახულობდა ძველ მეზობლებსა და ნაცნობებს (ამის მიზეზი შეიძლება ისაა, რომ ხშირ შემთხვევაში მეზობლები და ნაცნობები ერთი სოფლიდან შესახლებულები იყვნენ ერთიდაიმავე შენობაში). კვირაში 2-3 ჯერ ხვდებოდა პირადად მათ გამოკითხულთა 14,2%, კვირაში ერთხელ 21,7% , ხოლო თვეში ერთხელ 9,6% . საერთოდ არ ქონია კავშირი მათთან 9,6 %-ს. (იხ. დიაგრამა N4)

დიაგრამა4: პირველი ერთი თვის განმავლობაში რა სიხშირის ურთიერთობები გქონდათ ნაცნობებსა და მეზობლებთან თქვენი ომამდელი საცხოვრებელი ადგილიდან პირადად? (N=240) (%)



ამ მაჩვენებლებთან დაახლოებული და მხოლოდ 2-3%ით განსხვავებული შედეგები მივიღეთ სატელეფონი კონტაქტის შემთხვევაში. მაგალითად ყოველდღიურად კავშირი ჰქონდათ 54,6 %-ს, ხოლო საერთოდ სატელეფონი კავშირი არ ქონიათ ძველ მეზობელ-ნაცნობებთან 8,3%-ს (იხ. დიაგრამა N5).

დიაგრამა5: პირველი ერთი თვის განმავლობაში რა სიხშირის ურთიერთობები გქონდათ ნაცნობებსა და მეზობლებთან თქვენი ომამდელი საცხოვრებელი ადგილიდან ტელეფონის საშუალებით? (N=240) (%)



ყველა სხვა პრობლემას რომ ხაზი გადავუსვათ, მხოლოდ სოციალური ქსელის შლაც დევნილი მოსახლეობის ფსიქოლოგიური პრობლემების გამომწვევია. ა.კ.კარილიოს ნაშრომის „იძულებით გადაადგილება კოლუმბიაში: ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური შედეგები ურბანული პარამეტრებით და მიმდინარე გამოწვევები“, თანახმად მათი დეპრესიის, შიშის, აგრესიისა და სხვა მრავალი ფსიქოლოგიური მდგომარეობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ისაა, რომ ამ ადამიანებს „ახალ სიტუაციასთან შეგუება უწევთ იმ ადამიანთა შორის, ვინც არც კი იცის რომ მათ პრობლემა აქვთ“ (Carillo, 2009, P.540). ეს ნაშრომი ასევე ხაზს უსვამს, რომ იძულებით გადაადგილება საზოგადოებრივი ორგანიზაციების ობსტრუქციას იწვევს და არღვევს სოციალურ ქსელებსა და სოციალურ კაპიტალს, რომლებიც სოციალური განვითარებითვის აუცილებელი პირობაა. სწორედ ესაა მიზეზი იმის, თუ რატომ ცდილობდნენ და ინარჩუნებდნენ თუნდაც სატელეფონო ან პირად კავშირებს სამიზნე ჯგუფის წევრები ყოფილ სოციალურ ქსელთან, ეს მათ სოციალური ქსელის დაურღვევლობის შეგრძნებას უქმნიდა.

საცხოვრებლის მიღება

მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აღნიშნავს, რომ ინფორმაცია დასახლების მშენებლობის შესახებ მიიღო სახელმწიფოსგან (53.8%), 25.4% ამბობს, რომ ინფორმაცია მიიღო ყოფილი თანასოფლელებისგან ძველი საცხოვრებელი ადგილიდან. ასევე კვლევის ეტაპზე გამოვლინდა, რომ მოსახლეობამ ინფორმაცია დასახლების მშენებლობის შესახებ მიიღო ტელევიზიის (7.1%), ახალი ნაცნობების (0.8%), ოჯახის წევრების (6.3%), ნათესავების (0.4%) საშუალებით, ხოლო 5.4%-მა ვერ გაიხსენა აღნიშნული ინფორმაციის მიღების წყაროს შესახებ.

გამოკითხულთა 78.8% ინფორმაციით საცხოვრებლის მიღებისას არ შექმნია არანაირი შეფერხება. 17.1% აღნიშნავს, რომ მათთვის პრობლემას წარმოადგენდა საბუთების შეგროვება. ასევე ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომლებმაც გამოიწვია შეფერხება საცხოვრებლის მიღებისას, კერძოდ ინფორმაციის ნაკლებობა (7.1%), გადასაცემი სახლების რაოდენობის სიმცირე (2.5%) და

რესპონდენტების მიერ დასახელებული სხვა სახის შეფერხებები (0.8%). აქვე კომენტარის სახით გვინდა ავღნიშნოთ, რომ გადასაცემი სახლების რაოდენობის სიმცირეში მოიაზრება შემთხვევა, რომ რიგ შემთხვევებში რესპონდენტებს ეკუთვნოდათ ორი სახლი, რადგან ყოფილ საცხოვრებელ ტერიტორიაზე გააჩნდათ ორი სხვადასხვა საცხოვრებელი, მაგრამ ამ დასახლებაში ოჯახს მხოლოდ ერთი სახლი გადასცეს, მიუხედავად კონფლიქტის ზონაში დატოვილი უძრავი ქონების და ოჯახში წევრების რაოდენობის სიდიდისა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ უმრავლესობას სახლის მიღებაში პრობლემა არ შექმნია. მათ შორის ვისაც პრობლემა შეექმნა, მის მოგვარებაში სხვადასხვა მხარე დაეხმარა. ზოგ მათგანს დახმარება არავისთან უთხოვია. ისეთი, ვისაც პრობლემა არ შექმნია, იყო გამოკითხულთა 78,8%. დანარჩენ დევნილთა შორის კი 34,7%-ს დახმარებისთვის არავისთვის მიუმართავს. ასევე 34,7%-ს თავად სახელმწიფო სტრუქტურებმა გაუწიეს დახმარება, მაშინ როცა, 26,5%-ისთვის დამხმარე თავშესაფრის მაძიებელი სხვა ადამიანი, რომლებიც რესპონდენტთა მსგავსად ელოდნენ კომპაქტურ დასახლებაში სახლს, ხოლო 4%-ს დახმარებამეგობრებმააღმოუჩინეს. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩამოთვლილ პასუხებს შორის იყო ასევე შესაძლო ვარიანტად „პროფესიონალები“, რომელშიც სოციალური მუშაკი, ადვოკატი და ა.შ. იგულისხმებოდა. ამ პასუხის დაფიქსირების მაჩვენებელი 0%-ის ტოლია. ამ მონაცემებით იკვეთება, ერთ-ერთი ვიწრო მიმართულება, რომელი მიმართულებითაც სოციალურ მუშაკთა ჩართულობაარის საჭირო. სახლის, როგორც კუთვნილი ბენეფიტის, მიღებისას წარმოქმნილ პრობლემებთან გამკლავებაში, სოციალური მუშაკის ჩართულობა დევნილთათვის მნიშვნელოვანი ხელშეწყობა იქნებოდა.

პროფესიონალთა მიერ დევნილთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა

იქიდან გამომდინარე, რომ იძულებით გადაადგილებული პირები მიეკუთვნებიან ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფს, ისინი ხშირად ვერ ახერხებ საკუთარი უფლებების დაცვას, განსაკუთრებით კი ომიდან პირველ პერიოდში. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, დევნილთა თითქმის აბსოლიტური უმრავლესობამდააფიქსირა, რომ არ უთანამშრომლიათ პროფესიონალებთან. კვლევის პროცესში დავინტერესდით ისურვებდნენ თუ არა ეს ადამიანები, რომ მათი ინტერესები და უფლებები დაეცვა

რომელიმე პროფესიონალს.შედეგად უმეტესობა აღნიშნავდა, რომ ისურვებდა მათ დახმარებას (66.3%). 23.3% უფრო ისურვებდა, ვიდრე არ ისურვებდა რომ პროფესიონალებს მათი უფლებები და ინტერესები დაეცვათ. ხოლო 2,9% ამის საპირისპიროდ, უფრო არ ისურვებდა ვიდრე ისურვებდა. ასევე მოულოდნელად გამოიკვეთა, რომ 7,5 % საერთოდ არ ისურვებდა კრიზისულ პერიოდში მათ რომელიმე პროფესიონალისაგან დახმარება მიეღოთ. აქვე უნდა აღინიშნოს რომ სახეზეა მსუბუქი კორელაცია პროფესიონალების დახმარების სურვილსა და მხარდამჭერი ქსელის ყოლას შორის (კორელაციის კოეფიციენტია -0,153). მათ შორის ვისაც არ ჰყოლია გვერდში მდგომი ადამიანები, 100%-ვე აღნიშნავს, რომ ისურვებდა პროფესიონალთან მუშაობას, რომელიც მის ინტერესებს დაიცავდა. მათ შორის კი ვისაც მხარდამჭერი ქსელი ჰყავდა, პროფესიონალების გვერდში დგომის სურვილის ხარისხები სხვადასხვაგვარია. მათი 8 % კი საერთოდაც არ ისეურვებდა პროფესიონალთა მხარდაჭერას (იხ. დანართი „ე“)ასევე მსუბუქი კორელაცია (-0.136) აღინიშნება პროფესიონალთა დახმარების სურვილსა და იმ მაჩვენებელს შორის, თუ როგორ საცხოვრებლის ტიპში ცხოვრობდნენ რესპონდენტები. მათგან ვინც თვითნებურად იყო ფართში შესახლებული 37,7%-ს სურვილი აქვს პროფესიონალთა მხარდაჭერის, სახელმწიფოს მიერ გადაცემულ დროებით ფართში მცხოვრებთა შორის 28,3%, ხოლო ახლობელთან ან ნათესავთან მცხოვრებთა შორის 29,6%-ია. შედეგები საგრძნობლად ეცემა იმ შემთხვევებისათვის, როცა პირი თავისივე კუთვნილ ფართში ცხოვრობდა კონფლიქტის ზონის მიღმა (2,5%) ან ნაქირავები ჰქონდა ფართი (1,9%). ეს ორივე შემთხვევა მიუთითებს, რომ პირების ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით მდგრადია, ვიდრე დანარჩენ საცხოვრებლის ტიპში მცხოვრები რესპონდენტებისა. შესაბამისად კი, აღმოჩნდა, რომ ვისი ეკონომიკური მდგომარეობაც შედარებით უკეთესი იყო, ისინი ნაკლებად გამოთქვამდნენ პროფესიონალების მიერ მათ ინტერესების დაცვის სურვილს.

დევნილების შემთხვევაში მნიშვნელოვანია ასევე გვახსოვდეს, რომ სახლთან და მიწასთან ერთად ხშირ შემთხვევაში ძველ საცხოვრებელ ადგილას რჩება მათი სამსახური და კარიერაც, და ხშირ შემთხვევაში მათთვის ადვილი არაა, სამსახურის ახალ საცხოვრებელ ადგილას მოძიება. გამოკითხულთა 57%-ს დღეს აქვს სტაბილური ანაზღაურებადი სამსახური, რაც საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია. ინტერვიუების

ჩატარებისას ასევე გამოიკვეთა, რომ კომპაქტურ დასახლებაში მათ რიგ შემთხვევებში გადმოჰყვათ ძველი სამსახური. მაგალითად, თუ ძველ საცხოვრებელ ადგილას პირი მათემატიკის მასწავლებელი იყო სკოლაში, იგივე ადგილზე მუშაობს ის დღეს კომპაქტური დასახლების სკოლაშიც. მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, დაეხმარნენ თუ არა იძულებით გადააგდილებულ პირებს სამსახურის მოძიების პროცესში. კვლევის შედეგად გამოკითხულთა 79.2% ამბობს, რომ მას და მის ოჯახის წევრებს არავინ დახმარებია სამსახურის მოძიებაში. ამ შემთხვევაში არ იგულისხმება მხოლოდ სამსახურის დაწყება. თუ რესპონდენტთა შორის იყვნენ ისეთები, ვისაც შესთავაზეს ამ მხრივ დახმარება, თუმცა რიგი მიზეზების გამო სამსახურის დაწყება ვერ მოხერხდა, ამ შემთხვევაშიც „დიახ“ პასუხი ფიქსირდებოდა. მაგრამ ზემოთ ნახსენებ 79,2% -ისთვის სამსახურის მოძიებაში დახმარებაც კი არ შეუთავაზებიათ. რაც შეეხება იმ ადამიანთა პროცენტულ წილს, რომელსაც დაეხმარნენ შეადგენს 18.8%-ს. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც დახმარება გაუწიეს ჩვენს რესპონდენტებს სამსახურის მოძიების პროცესში. ამ 18,8% -დან 70.5%-ს დაეხმარა ახლობელი ან ნათესავი, 20.5%-ის ინფორმაციით მათ დაეხმარნენ კერძო პირები, ხოლო 9,1%-ის ინფორმაციით სამსახურის მოძიებაში დაეხმარა სახელმწიფო სტრუქტურები. თუ გვაინტერესებს როგორია სტატისტიკა არა ამ 18,8% -სათვის არამედ, ზოგადად გამოკითხულთა ერთობლიობისათვის, მაშინ გამოვა, რომ ახლობელი ან ნათესავთა დახმარება შეადგენს 12,9%-ს, კერძო პირთა დახმარება 3,8%-ს, ხოლო სახელმწიფოს დახმარება 1,7%-ს.ამ მონაცემებიდან ჩანს, თუ რამდენად დაბალია დევნილთა დასაქმებისადმი მიმართული სერვისები ან ამ სერვისების დევნილებამდე მიტანის ხარისხი. რაც შეეხება თვითდასაქმებას აქ იკვეთება კიდევ ერთი წინააღმდეგობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ,დევნილთა უმრავლესობას კომპაქტურ დასახლებაში არ აქვს იმდენი მოცულობის მიწა, რომ მისი დამუშავებით მიიღოს საჭირო შემოსავალი, შესაბამისად მათ უწევთ სხვა ტიპის სამუშაოს ძიება. აქ კი კვლავ ა.კ.კარილიოს ნაშრომის თანახმად, ისინი უპირატესობების არ მქონეთა მხარეს ხვდებიან, რადგან ურბანული ტიპის სამსახურის ძიება უწევთ, იმ ადგილობრივებთან კონკურენციაში, რომელთაც ამ საქმისთვის მეტი უნარები და განათლება აქვთ და ასევე დევნილთა მსგავსად არ ცხოვრებენ სტატუსის სტიგმის ქვეშ (Carrillo, 2009, P.538).

უკანასკნელი6 თვე კომპაქტურ დასახლებაში

კვლევის შემდგომი ნაწილი ეხება რესპონდენტთა ცხოვრების ბოლო 6 თვეს. საინტერესოა ის, თუ რა დახმარებებს იღებენ იძულებით გადაადგილებული პირები ბოლო პერიოდში, ამიტომ დავინტერესდით ამ მონაცემებით და რესპონდენტებს ვთხოვდით ეპასუხათ შემდეგ კითხვაზე, „რა სახის დახმარებები მიგიღიათ უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში“. შედეგად 92.5% იღებს დევნილთათვის განკუთვნილ დახმარებას, რომელიც შეადგენს ყოველთვიურად 45 ლარს თითოეული ოჯახის წევრზე, გამოკითხულთა 36,6% აღნიშნავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში იღებენ სახელმწიფოს მიერ გაცემულ სხვა სახის დახმარებას. მაგალითისათვის, ეს შეიძლება იყოს გამგეობისაგან მიღებული საკვები პროდუქტები ზეთის, ფქვილის და ა.შ სახით. გარდა ამისა, აქვე ერთიანდება სოციალურად დაუცველთათვის გაცემული სოციალური დახმარება. თუმცა ამ დახმარების მიღება შეუძლებელია დევნილთა შემწეობის მიღებასთან ერთად და სახელმწიფო ამ შემთხვევაში მოსახლეობას არჩევანის წინაშე აყენებს - მათ ან უარი უნდა თქვან იძულებით გადაადგილებულ პირთა ბენეფიტებზე, ან სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანთა სოციალურ უზრუნველყოფაზე. საინტერესოა, სხვა პროცენტული მაჩვენებლები, კერძოდ რესპონდენტთა 3.3% აღნიშნავს, რომ მიუღია შეღავათები ჯანდაცვაზე, სადაც იგულისხმება, როგორც სხვადასხვა სამედიცინო მომსახურეობა, ასევე შეიძლება მედიკამენტებზე შეღავათიც. კერძო პირების მიერ გაცემული დახმარება მიიღო 1.3%-მა, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაცემული მონეტარული და ჰუმანიტარული დახმარება 0.8%-მა, ხოლო სახელმწიფოს მიერ გაცემული შეღავათები განათლებაზე 0.4%-მა.

გავზომეთ ასევე თუ როგორ იკმაყოფილებდნენ ბაზისურ საჭირეობებს იძულებით გადაადგილებული პირები დღეს. იგივე ცხრილი გამოვიყენეთ იმისათვის, რომ გაგვეზომა ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილება ომიდან პირველი თვის განმავლობაში. დღევანდელი სიტუაციის შემთხვევაშიც გავზომეთ კვებითი, ჰიგიენის, სამედიცინო საჭიროებებისა და ტანსაცმლით უზრუნველყოფით დაკმაყოფილება. წარსული დროისათვის გამოყენებულ ცხრილში ჩვენ ასევე ვზომავდით თავშესაფრით უზრუნველყოფას, რასაც აღარ ვაკეთებთ აწმყო დროის შემთხვევაში, რადგან კვლევის

რესპონდენტები არიან სწორედ ის პირები, რომლებიც დაკმაყოფილებულნი არიან თავშესაფრით. რაც შეეხება შედეგებს, გამოკითხულთა 30.8% კვებით საშუალებებს იკმაყოფილებს სრულყოფილად, 63.3% საშუალოზე კარგად, ხოლო 5,8% კი საშუალოზე ცუდად. რაც შეეხება ჰიგიენას, გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 35,4% აღნიშნავს, რომ იკმაყოფილებს მის საჭიროებას სრულყოფილად, 60% საშუალოზე კარგად, 4.6% კი იმავეს ახერხებს საშუალოზე ცუდად. ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს სამედიცინო საჭიროებები და ის თუ რამდენად ახერხებს ადამიანი მათ დაკმაყოფილებას, გამოკითხულთა მხოლოდ 32,1 % იკმაყოფილებს თავის სამედიცინო საჭიროებებს სრულყოფილად. 50.8% ამ მოთხოვნილებას საშუალოზე კარგად იკმაყოფილებს, 15% საშუალოზე ცუდად, ხოლო 2.1% საერთოდ ვერ იკმაყოფილებს აღნიშნულ საჭიროებას. რაც შეეხება ტანსაცმელს საერთო გამკოთხულთა 57.9% იკმაყოფილებს სრულყოფილად, 38.3% საშუალოზე კარგად, ხოლო 3.8% საშუალოზე ცუდად.

საინტერესო იქნება გავაანალიზოთ, თუ რა ცვლილებები მოხდა ამ მხრივ ომის შემდგომ პირველ თვესა და დღევანდელ სიტუაციას შორის. მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიკვეთა საჭიროებების სრულყოფილად დაკმაყოფილების შემთხვევაში. ოთხივე ცვლადის, კვების, ჰიგიენის, სამედიცინო საჭიროებებისა და ტანსაცმლით უზრუნველყოფის შემთხვევაში, გაიზარდა მათი პროცენტული მაჩვენებლები, ვინც ამ საჭიროებებს სრულყოფილად იკმაყოფილებს. მაგალითად,თუ კვებით საჭიროებას 2008 წელს მხოლოდ 9,2% იკმაყოფილებდა სრულყოფილად, დღეს იმავეს 30,8% ახერხებს (იხ.დიაგრამა N6).

დიაგრამა6: კვებითი საჭიროებების დაკმაყოფილება 2008 წელს და დღეს (N=240) (%)



სამედიცინო საჭიროებების უზრუნველყოფის შემთხვევაშიც მაჩვენებელმა 6,3%-დან 32,1%-ზე აიწია. ასევე გაიზარდა საჭიროებების საშუალოზე კარგად დაკმაყოფილების შედეგებიც. გამონაკლისი მხოლოდ ტანსაცმლით უზრუნველყოფის შემთხვევაა. თუმცა ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს რომ ეს მოხდა იმის ხარჯზე, რომ საერთოდ აღარ არიან ადამიანები ვინც საერთოდ ვეღარ იკმაყოფილებენ ამ საჭიროებას, საშუალოზე ცუდად დღეს მხოლოდ 3,8 პროცენტი ახერხებს იმას, რასაც 2008 წელს 24,6% ახერხებდა. ხოლო სრულყოფილად დაკმაყოფილების მაჩვენებელმა კი 20,4%-დან 57,9% მდე აიწია, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. საჭიროება, რომელსაც დღეს გამოკითხულები საერთოდ ვერ იკმაყოფილებენ მხოლოდ სამედიცინო უზრუნველყოფაა. ამ შემთხვევის პროცენტული მაჩვენებელი კი 2,1%. 2008 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელიც დაწეულია 7,5%-ით. სხვა შემთხვევებში, საჭიროების საერთოდ ვერ დაკმაყოფილება არ ფიქსირდება.იმას, რომ დღეს საჭიროებების დაკმაყოფილება შედარებით უკეთ ხორციელდება, ვიდრე პირველ კრიზისულ თვეს თითოეული შემთვევის საშუალოების გაანალიზებაც დაგვეხმარება. გამოყენებულ ცხრილში რიცხვი „1“ მიუთითებდა საჭიროებების საერთოდ ვერ დაკმაყოფილებას, „4“ კი სრულყოფილად დაკმაყოფილებას. კვების შემთხვევაში საშუალო კმაყოფილების დონემ 2,69 დან 3,25 მდე აიწია, ჰიგიენის შემთხვევაში 2,71-დან 3,31-მდე, სამედიცინო საჭიროებების საშუალო დაკმაყოფილების მაჩვენებელმა 2,41 დან 3,13-მდე, ხოლო

ტანსაცმლით უზრუნველყოფის შემთხვევაში 2,88 დან 3,454 მდე აიწია (იხ. დიაგრამა N7).

დიაგრამა7: რამდენად სრულყოფილად იკმაყოფილებდნენ რესპონდენტები ბაზისურ საჭიროებებს დევნილობის პირველი თვის განმავლობაში და ამჟამად (საშუალო მაჩვენებლები, სადაც„1“ შეესაბამებოდა საჭიროების საერთოდ ვერ დაკმაყოფილებას, „4“-სრულყოფილად დაკმაყოფილებას)



მთლიანობაში შეგვიძლია დავუშვათ, რომ შედეგები დღეს გაცილებით უკეთესია ვიდრე 2008 წლის ომიდან პირველი თვის პერიოდში. თუმცა, თუ გავიხსენებთ რომ ის პერიოდი კრიზისული პერიოდი იყო, დღეს კი ომიდან უკვე 10 წელია, და თუ ამ მონაცემებს განვიხილავთ როგორც განცალკევებულ მაჩვენებლებს და არ შევადარებთ ზემოთ აღნიშნულ კრიზისულ პერიოდს, მაშინ ბაზისურ საჭიროებების დევნილების მიერ დაკმაყოფილება არაა მაღალი მაჩვენებელი (თითოეული საჭიროების დაკმაყოფილების ხარისხის შედარება 2008 წლის ომიდან პირველ პერიოდსა და დღევანდელობას შორის, იხ.დანართი „დ“-ში).

კვლევამ უკვე აჩვენა, რომ სახელმწიფო და სხვადასხვა ორგანიზაციები გასცემენ გარკვეულ დახმარებებს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, თუმცა როგორც ზემოთ განხილულ საჭიროებათა დაკმაყოფილების ცხრილმა აჩვენა, ეს დახმარებები ბოლომდე ვერ უზრუნველყოფენ მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ამიტომ, დავინტერესდით გაგვეგო, თუ რა დამატებითი დახმარებების გაწევა მიაჩნიათ

მნიშვნელოვნად იძულებით გადაადგილებულ პირებს. გამოკითხულთა 62.1%-ს სურს დამატებით მიიღოს ფულადი (მონეტარული) დახმარება, რადგან როგორც ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა ამ დახმარებას ისინი თავად გადაანაწილებენ სხვადასხვა საჭიროებებზე. საერთო გამოკითხულთა 58% აზრით ეფექტური იქნება თუ ექნებათ შეღავათები კომუნალურ გადასახადებზე, რადგან მათ ძალიან უჭირთ აღნიშნული მომსახურების საფასურის გადახდა, განსაკუთრებით კი ზამთრის პერიოდში. ასევე უნდა დავძინოთ, რომ წეროვნის დასახლებაში როგორც ბენეფიციარები აღნიშნავენ ბუნებრივი აირის მომწოდებელი კომპანია მათ პროდუქტს უფრო ძვირად აწვდის, ვიდრე სხვა კომპანიები აწვდიან ბუნებრივ აირს მიმდებარე ქალაქებსა თუ სოფლებს (ამ საკითხის შესახებ ვერ მოხერხდა ოფიციალური ინფორმაციის მოძიება, თუმცა ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, ეს ინფორმაცია შეესაბამება რეალობას და მიზეზი ისაა, რომ კომპანიებს ძვირი უჯდებათ ამ დასახლებულ პუნქტამდე ბუნებრივი აირის შეყვანა). სხვა პროცენტული მაჩვენებლები კი გადანაწილდა შემდეგნაირად, შეღავათები ჯანდაცვაზე 25.4%, შეღავათები განათლებაზე 16.2%, ფსიქოლოგიური დახმარება 3.7%, საკვებით უზრუნველყოფა 3.4%, ხოლო გამოკითხულთა 1.3%-ს არანაირი დახმარების მიღების სურვილი არა აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ გამოკითხულთა ნაწილმა მაინც აღნიშნა, რომ სურვლი აქვს ჯანდაცვასა და განათლებაზე არსებობდეს შეღავათები. ამის ქვეშ შეიძლება იგულისხმებოდეს, რომ მათ სურვილი აქვთ ამ მხრივ შეღავათები იყოს იმაზე დიდი, ვიდრე დღესაა. თუმცა ნაწილი შეიძლება არც ფლობდეს ინფორმაციას დღევანდელი შეღავათების შესახებ. სოციალური მუშაკის ერთ-ერთი საჭიროება სწორედ აქ ჩნდება, აამაღლოს ინფორმირებულობის დონე კუთვნილი რესურსების შესახებ. გარდა ამისა, შეგვიძლია გავწიოთ ადვოკატობაც. ამ საკითხის შესახებადვოკატობა შეგვიძლია გავწიოთ იმ შემთხვევაში, თუ ეს სერვისები არსებობს და ბენეფიციარი რაიმე მიზეზებით ვერ იღებს მას, ხოლო თუ ეს სერვისები არ არსებობს და დღის წესრიგში დგას მათი საჭიროება, ვიმოქმედოთ მაკრო დონეზე ამ სერვისების ჩამოყალიბება-განვითარების მიზნით.

ინტეგრაცია ახალ საცხოვრებელ გარემოსთან

კვლევისათვის ერთ-ერთი საინტერესო საკითხი იყო დაედგინა, თუ რამდენად დაფუძვნებულები არიან ი.გ.პ-ები ახალ საცხოვრებელ ადგილას, მიიჩნევენ თუ არა ამ დასახლებას თავისად და აღიქვავენ თუ არა თავის ცხოვრებას, როგორც "კალაპოტში ჩამდგარს." ამისათვის, გამოვყავით სოციალური ურთიერთობების ფენომენი ახალ საცხოვრებელ ადგილას და ის გავზომეთ მეზობლებთან ურთიერთობებით. როგორ დამოკიდებულებაში არიან იძულებით გადაადგილებული პირები მეზობლებთან და რამდენად ხშირად მიმართავენ ისინი დახმარებისთვის მათ. საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 60% -ს მეგობრული დამოკიდებულება აქვს მეზობლებთან და 34,2% ახლობლური. რაც შეეხება სხვა პროცენტულ მაჩვენებლებს ნათესაური ურთიერთობა აქვთ მეზობლებთან 2,9%-ს. ასევე 2,9% თავის ურთიერთობას ახასიათებს როგორც დისტანციურს. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად ხშირად მიმართავენ ჩვენი რესპონდენტები დახმარებისთვის მეზობლებს, კვლევამ ცხადყო, რომ გამოკითხულთა 19,6% თვეში ერთხელ მაინც მიმართავს დახმარებისთვის მათ, ყოველდღიურად ამას მხოლოდ 4,6% აკეთებს, ხოლო 18.3% მეზობლებს უფრო იშვიათად მიმართავს, ვიდრე წელიწადში ერთხელ. რაც შეეხება გამოკითხულთა 15.8%-ს, ისინი არასდროს მიმართავენ დახმარებისთვის მეზობლებს (იხ. დიაგრამა N8).

დიაგრამა8: რამდენად ხშირად მიმართავთ თქვენ/თქვენი ოჯახის წევრები მეზობლებს დახმარებისათვის? (N=240) (%)



ეს მაჩვენებლები მიუთითებს, რომ დევნილთა საზოგადოებაში ინტეგრაციის დონე კომპაქტურ დასახლებაში მაღალია და ურთიერთობები პოზიტიური. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება არც თუ ისე ხშირად, მაგრამ ისინი მაინც უწევენ ერთმენეთს დახმარებას. თუმცა პრობლემა, რაც ამ საკითხში შეიძლება გამოიკვეთოს ისაა, რომ ეს ადამიანები მეზობლობენ ასევე იძულებით გადაადგილებულ პირებთან და არა ადგილობრივ მოსახლეობასთან. ადგილობრივ მოსახლეობასა და დევნილთა შორის კი ინტეგრაციის დონე ძირითადად განსხვავებულია. ს.ჯ. რაჯპუტის აზრით, ეს შეიძლება იმ არასასურველი განსხვავებულობის ბრალი იყოს, რომელიც დევნილებს მიმღებ საზოგადოებაში შეაქვს, ასევე ადგილობრივები შესაძლოა უკმაყოფილო იყვნენ, რომ ისედაც შეზღუდული რესურსების შემზიარებლები გაუჩნდნენ (Rajput, 2013). შესაბამისად არის საშიშროება, რომ, როგორც ავღნიშნეთ, ერთმანეთთან კარგად მყოფი კომპაქტური დასახლების წევრები, სუბ-საზოგადოებად იქცნენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან დისტანციურიკავშირი ჩამოუყალიბდეთ.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებმა სუბიექტურად შეაფასეს ასევე ახალი საცხოვრებელი გარემო. ამ შემთხვევაში კითხვები იყო ღია, იმის დასადგენად თუ, როგორ გრძნობენ თავს და როგორ აფასებენ საკუთარ საცხოვრებელ ადგილს იძულებით გადაადგილებული პირები კომპაქტურ დასახლებაში, ვთხოვდით რესპონდენტებს დაესრულებინათ წინადადებები და დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია. შესაბამისად პასუხები იყო მრავალფეროვანი. მათი სიმრავლის გამო, მოხდა პასუხების კოდირება და მსგავსი პასუხების ერთ ცვლადად გაერთიანება. მაგალითად, გამოკითხულთა 23% აზრით მისი დასახლება არის დროებითი, 16.7% პროცენტის თქმით მშვიდი, ასევე 15.8% მიიჩნევს რომ მისი დასახლება არის სასიამოვნო, ხოლო 2.3% აღნიშნავს რომ დასახლება არის მჭიდრო. რაც შეეხება იმას თუ რას ნიშნავს ჩვენი რესპონდენტებისთვის დასახლება სადაც ცხოვრობენ, 48.2%-სთვის ნიშნავს სახლს, 17%-სთვის მხოლოდ თავშესაფარს, ასევე 13.8%-სთვის ეს დასახლება ნიშნავს დროებითს. ასევე მოხდა შედარება, თუ როგორ აფასებენ ი.გ.პ ამჟამინდელ დასახლებას ძველთან შედარებით. შედეგები შემდეგია: 35.9% ამბობს რომ ამჟამინდელ დასახლებას ვერ შეადარებს ძველ საცხოვრებელს რადგან ძველ საცხოვრებელ ადგილზე უკეთესად ცხოვრობდნენ, 20.6% მიიჩნევს რომ ამჟამინდელი დასახლება არის სხვანაირი ძველთან

შედარებით, ხოლო 15.2% თქმით არის ცუდი. გამოკითხულთა 28.2% ამჟამინდელ დასახლებაში თავს მშვიდად გრძნობს, 24.1% სტუმრად, უცხოდ გრძნობს, ასევე 17.3% თავისუფლად, ხოლო 14.5% კი კარგად. კითხვაზე „ჩემი დასახლება მომავალში იქნება“ 57.3% მიიჩნევს რომ უკეთესი, 19.8% იმედი აქვს რომ დაბრუნდება ძველ საცხოვრებელ ადგილას, ხოლო 11% აზრით დასახლება მომავალში იქნება იგივენაირი და არაფერი შეიცვლება (იხ. დიაგრამა N9)

დიაგრამა9: გთხოვთ დაასრულეთ წინადადება - ჩემი დასახლება მომავალში იქნება (N=240) (%)



ამ მონაცემებიდან გამომდინარე ჩანს, რომ რესპონდენტთა ნაწილისათვის ყოფილი საცხოვრებელი არის ის რადაც, სახლს აღიქვამენ და დღევანდელი გარემო მათთის იგივე ემოციებს არ ტოვებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს დასახლების ისეთი ეპითეტებით შემკობის სიმრავლეც, როგორიცაა „კარგი, მშვიდი, სასიამოვნო“. ეს მიუთითებს, რომ მიუხედავად ძველი საცხოვრებლისადმი სენტიმენტალური დამოკიდებულებებისა, ადამიანები ეგუებიან ახალ გარემოსაც, თუმცა იტოვებენ უკან დაბრუნების იმედსაც.

იმის გაზომვა, თუ როგორ გრძნობენ თავს ახალ გარემოში ი.გ.პ-ები გადავწვიტეთ იმასთან ერთად, თუ რამდენად აქვთ კვლავ ურთიერთობა ნაცნობებთან და მეგობრებთან ძველი საცხოვრებელი ადგილიდან. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო, რა სიხშირით ჰქონდათ ურთიერთობები იძულებით გადაადგილებულ პირებს უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში მეზობლებთან ძველი საცხოვრებელი ადგილიდან. გამოკითხულთა 49%-ის თქმით ყოველდღიურად ნახულობს ძველ მეზობლებს. ასევე, ხშირად კვირაში 2-3-ჯერ ნახულობს მეზობლებს ომამდელი საცხოვრებელი ადგილიდან გამოკითხუთა 16.7%. ეს შედეგები ჩვენთვის ოდნავ მოულოდნელი იყო, და უფრო დაბალ რიცხვებს მოველოდით, თუმცა აღმოჩნდა, რომ ხშირ შემთხვევაში ერთი სივრციდან გადაადგილებული ი.გ.პ-ები ერთმანეთის ახლოს ჩასახლებულნი იყვნენ კომპაქტურ დასახლებებში. თუმცა ამის მიუხედავად, გამოკითხულთა 2.9% არ აქვს პირადი ურთიერთობა ძველ მეზობლებთან. რაც შეეხება სატელეფონო კავშირს. გამოკითხულთა 25.1% -ის თქმით კვირაში ერთხელ მაინც აქვს სატელეფონო კავშირი მეზობელთან, ხოლო გამოკითხულთა 8.8% არ აქვს საერთოდ სატელეფონო კავშირი. დაახლოებით 19.6% აქვს ყოველდღიურად ინტერნეტის საშუალებით ურთიერთობა ძველ მეზობლებთან და 43% საერთოდ არ აქვს(იხ. დანართი „ვ“). ვინაიდან ყოფილი მეზობლები, კომპაქტურ დასახლებებში ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ, და შესაძლოა ხშირ შემთხვევაში მათი პირადი შეხვედრები დაუგეგმავი იყოს, გადავწყვიტეთ სატელეფონო კონტაქტის გაანალიზებით შეგვეფასებინა, როგორ შეიცვალა ურთიერთობების ინტენსიურობა 10 წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ. აღმოჩნდა რომ, სატელეფონო ურთიერთობა ომიდან პირველი თვისა და ულანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ურთიერთკავშირშია. მათ შორის კორელაციის კოეფიციენტი საშუალოდ გამოხატულია და 0,290-ს უდრის. რაც უფრო ხშირი ურიერთობა ჰქონდათ რესპონდენტებს ძველ ნაცნობებთან პირველი თვის განმავლობაში, მით ხშირად ურთიერთობენ ტელეფონით ისინი ყოფილ საცხოვრებლიდან ადამიანებთან დღესაც. მაგალითად მათგან ვისაც პირველი თვის განმავლობაში ყოველდღიური სატელეფონო ურთიერთობები ჰქონდა, 91,7% დღესაც ამავე სიხშირით აგრძელებს ურთიერთობებს (იხ. დიაგრამა N10).

დიაგრამა10: ძველ მეზობლებთან სატელეფონო ურთიერთობის სიხშირე ომიდან პირველი თვისა და უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში (N=240) (%)



და ბოლოს, რომ შევაჯამოთ, თუ როგორ გრძნობენ თავს დღეს ი.გ.პ-ები, გამოჩნდება, რომ გამოკითხულთა 49,6% თავს დაცულად, ხოლო 14,1% დაუცველად გრძნობს. რაც შეეხება კომფორტს, 27,5% თავს კომფორტულად, 7,5 კი არაკომფორტულად გრძნობს. დღეს თავს ჩამოუყალიბებლად გამოკითხულთა 5,8% მიიჩნევს. მათი რაოდენობა კი, ვისაც საზოგადოების ნაწილად მიაჩნია თავი (34,5%) აღემატება მათ, ვინც საზოგადოებისგან გარიყულად(1,6%) მიიჩნევს თავს. დაუცველად, არაკომფორტულად, ჩამოუყალიბებლად და გარიყულად თავის გრძნობის შემთხვევაში სოციალური მუშაკი ერთ-ერთი ის პროფესიონალია, რომელსაც პირის მდგომარეობის შესამსუბუქებლად და საზოგადოებაში კომფორტულად თავის გრძობისათვის მიმართული ნაბიჯების გადადგმა შეუძლია.

2008 წლის ომიდან დღემდე,ზოგადი მიმოხილვა

2008 წლის ომიდან 10 წელია გასული. ადამიანთა უმრავლესობას, ისევე როგორც ი.გ.პ-ებს, ამ წლების განმავლობაში ბევრ განსხვავებულ შემთხვევებს, მდგომარეობასა

თუ სიტუაციასთან გამკლავება მოუწევდათ. კვლევა დაინტერესებულია კონკრეტული შემთხვევებითა თუ მდგომარეობებით, რომელთა შორისაა დისკრიმინაცია, შიში და ა.შ. მიღებული შედეგები შემდეგნაირია, გამოკითხულთა 88.3%-ს ამ წლების განმავლობაში არ გამოუცდია, ხოლო 11.7%-ს გამოუცდია დისკრიმინაცია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ამ წლების განმავლობაში, როგორც კვლევამ გვიჩვენა, იყო ეკონომიკური პრობლემები (79.8%), ასევე 32.1% ამბობს, რომ განიცდიდა კულტურულ შეუთავსებობას ახალ საცხობრებელ გარემოსთან. კვლევის პროცესში გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორიცაა სოციალური ურთიერთობების ნაკლებობა (26.7%), მარტოსულობის განცდა (23.8%), შიში (17.9%) და ერთ-ერთი პოპულარული პასუხიმომავლის ხედვის ბუნდოვნება (41.7%). ზემოთ მოყვანილი პრობლემების მოგვარების მიზნით თუ რჩევისათვის, გამოკითხულთა 50.2% აღნიშნავს, რომ არავისთვის მიუმართავს და საკუთარი ძალებით ცდილობდა მდგომარეობის შემსუბუქებას. 27.7% -ის თქმით კი, მას ეხმარებოდნენ ოჯახის წევრები, ასევე ჩვენი რესპონდენტები მიმართავდნენმეგობრებს (14.1%), რელიგიურ პირსა (3.3%) და ნათესავს (2.3%).

იძულებით გადადგილებული პირები მოწყვლადი ჯგუფია. სხვა მოწყვლადი ჯგუფების შემთხვევაში ხშირია შემთხვევები, როცა ისინი ნეგატიური დამოკიდებულებების მსხვერპლნი ხდებიან. კვლევის ფარგლებში გამოვყავით კითხვა, რომელიც ძალიან ზოგადი იყოდა მდგომარეობდა შემდეგში „გახსენდებათ თუ არა შემთხვევა, როცა თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს ამ დასახლებაში ცხოვრებამ პრობლემა შეგიქმნათ“. გამოკითხულთა 92.5%-მა დააფიქსირა, რომ მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა, ხოლო გამოკითხულთა 7.5%-ის შემთხვევაში აღნიშნულ ფაქტს ჰქონია ადგილი. ვვარაუდობდით, რომ კითხვის ზოგადი ხასიათის გამოპასუხები მრავალფეროვანი იქნებოდა. თუმცა ამ 7,5%-ს შორის, 44.4% აღნიშნავს, რომ საზოგადოების მხრიდან უგვრძვნიათ ნეგატიური დამოკიდებულება, ასევე 44.4% ამბობს, რომ საზოგადოების მხრიდან ყოფილან სტიგმის მსხვერპლნი, ხოლო 11.1%-ს კი ამ დასახლებაში ცხოვრებამ ფსიქოლოგიური პრობლემები შეუქმნა. თითოეული ეს პასუხი კი ეპასუხება იმ ფაქტს, რომ მოწყვლადი ჯგუფების მიმართ ხშირია დისკრიმინაცია და გამონაკლისი არც ი.გ.პ-თა შემთხვევა გამოდგა.

აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ ყველა იმ გამოცდილების შედეგად, რომლებიც დევნილებმა ამ 10 წლის განმავლობაში გადაიტანეს, დღევანდელი დამოკიდებულებები განსხვავებულია იმისაგან, რაც შეიძლება ყოფილიყო არა დღეს, არამედ ომიდან პირველი თვის, საცხოვრებლის მიღების, თუ 5 წლის შემდგომ. მოცემული კვლევა რეტროპერსპექტიულია და შესაბამისად, განცდილმა 10 წელმა გავლენა მოახდინა ანალიზში განხილულ თითოეულ შედეგზე. რაც შეეხება მომდევნო საკითხს, ამ შემთხვევაში უკვე ინტერესი დღევანდელ დამოკიდებულებაზე კეთდება. მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ საუბარია იმ მოვლენებზე, რომელთა გადატანაც დევნილებს დიდი ხნის წინ მოუწიათ, ჩვენ ვკონცენტრირდით იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ამ მოვლენებს რესპონდენტები დღეს. საუბარია იმისგამოკვეთაზე, თუ რა არის ყველაზე მტკივეული საკითხი მათ შორის რისი გადატანაც პირველი ერთი თვის განმავლობაში დევნილებს მოუწიათ. რათქმაუნდა ჩამოთვლილთაგან ყველა საკითხი რთულად გადასატანი, მტკივნეულია და რესპონდენტებს გაუჭირდათ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუმცა მაინც გამოიკვეთა თუ რას მიენიჭა მათი მხრიდან პრიორიტეტები. აღმოჩნდა, რომ ახლობელი ადამიანის ომით გამოწვეულ დანაკარგთან შეგუება მხოლოდ გამოკითხულთა 5,4%-ს მოუწია. მათგან ეს შემთხვევა 92,8%-სთვის ეს სხვა საკითხებთან შედარებით ყველაზე მტკივნეული გამოცდილება იყო, ხოლო 7,2 პროცენტისთვის ეს პრიორიტეტულად მეორე ყველაზე რთულად გადასატანი მოვლენაა. გამოკითხულთა დანარჩენ ნაწილს ეს მოვლენა თავს არ გადახდენია. სხვა ცვლადებიდან მტკივნეული საკითხი იყო სახლის დაკარგვა 92,5%-სთვის, მიწის დაკარგვა 66,8%-სთვის, გარემოს ცვლილება 55,4%-სთვის, სტატუსის ცვლილება 27,5%-სთვის, ხოლო ახალ ადამიანებთან ურთიერთობა მტკივნეულ საკითხად იგივდება მხოლოდ 19,6 %-სთვის. რაც შეეხება პრიორიტეტებს, 55 პროცენტისთვის სახლის დაკარგვაა ყველაზე ტკივნეული შემთხვევა, ხოლო 21,7 %-ისთვის მიწის დაკარგვა ის, რაც ყველაზე რთულ, მტკივნეულ საკითხად ეჩვენებათ რესპონდენტებს (იხ. დიაგრამა N11).

დიაგრამა11: რა არის თქვენთვის ყველაზე მტკივნეული საკითხი ჩამოთვლილთაგან (N=642) (%)



სოციალური მუშაობა

იძულებით გადაადგილებულ პირებთან სოციალური მუშაობის პრაქტიკა და საჭიროება ამ კვლევის ფარგლებში ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. რათქმაუნდა, პირველ რიგში მოხდა იმის კვლევა, თუ რამდენად ინფორმირებულები არიან სამიზნე ჯგუფის წევრები ზოგადად სოციალური მუშაობის შესახებ. ამ შემთხვევაში საკმაოდ მაღალი დადებითი პასუხის მაჩვენებელი მივიღეთ. გამოკითხულთა 70.4% ამბობდა, რომ სმენია სოციალური მუშაკის შესახებ. ეს მაჩვენებელი წესით, სოციალური მუშაობის როგორც პროფესიის ცნობადობას უსვამს ხაზს, თუმცა რეალურად მიღებული 70,4% ცრუ მაჩვენებელია. ამ 70,4%-ს შორის უმრავლესობა შემდგომში სოციალური მუშაობის ცნებას ურევს სხვა პროფესიებში. ამ შედეგის გამოკვეთა მოხდა კითხვით, რომელიც ეხებოდა სოციალური მუშაკის ფუნქციებს. თუ რა ფუნქციებს უნდა ასრულებდეს სოციალური მუშაკი"სწორედ ამ 70,4%-ს შორის, რომელთაც სმენიათ სოციალური მუშაკის შესახებ, 31,4%-მა მისი ფუნქციები სოციალური აგენტის, ხოლო 7,1%-მა სოციოლოგის ფუნქციებთან გააიგივა. 8,8%-მა არ იცოდა რა იყო სოციალური

მუშაკის ფუნქციები. დანარჩენი მაჩვენებლები კი შემდეგნაირად ნაწილდება: ბენეფიციარის უფლებების დაცვა - 12,1%; ადამიანთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება - 8,0%; ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა - 7,1%; ბენეფიციარის უნარების გაუმჯობესება - 6,3 და საბუთებთან მუშაობა - 3,7%. ის რომ ხშირ შემთხვევაში სოციალური მუშაკი რიგ შემთხვევებში სხვა პროფესიად იგივდება, ჩანს მათთან თანამშრომლობასთან დასმული კითხვის შედეგებშიც. გამოკითხულთა 71%-ს არ უთანამშრომლია, ხოლო 28% -სთანამშრომლია სოციალურ მუშაკთან. რეალურად კი ამ 28%-ის მხოლოდ 15%-მა ითანამშრომლა სოციალურ მუშაკთან. დანარჩენ შემთხვევებში კი მათ ან ითანამშრომლეს სოციალურ აგენტებთან, ან ინტერვიურებთან, რომლებიც მათთან სოციოლოგიურ კვლევას ატარებდნენ.

იქიდან გამომდინარე, რომ გვაინტერესებდა თუ რამდენად არის საჭიროება სოციალური მუშაკები მუშაობდნენ ი.გ.პ-ებთან, კვლევაში გამოვიყენეთ ასოციაციური კითხვები. მათ ვთავაზობდით რაიმე სერვისს, რომლის შეთავაზებაც მათთვის სოციალურ მუშაკს შეუძლია და ვიკვლევდით თვლიდნენ თუ არა ამ სერვისს ეფექტურად მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, ერთ-ერთი ღონისძიებაითვალისწინებდა მსგავსი პრობლემის მქონე ადამიანებთან შეხვედრას და გადატანილი ტრამვის გაზიარებას პროფესიონალის თანდასწრებით. გამოკითხულთა 55%-ს მიაჩნია რომ კარგი იქნებოდა მსგავსი ღონისძიება საცხოვრებლის მიღებამდე, ხოლო დღეს აღნიშნულ ღონისძიებას 58.3% არაეფექტურად მიიჩნევს. რაც შეეხება სხვა ღონისძიებებს, დახმარებას ბიუროკრატული პროცესების გამარტივებაში საცხოვრებლის მიღებამდეც (72.5%) და დღესაც (64.6%) მიიჩნევენეფექტურ ღონისძიებად. ასევე, ეფექტურად მიიჩნევს რესპონდენტთა უმეტესობა დახმარებას პრობლემების გამკლავების დასწავლაში. ეს მათ 71,3%-ს საცხოვრებლის მიღებამდე, ხოლო 63.3%-ს დღესაც მდომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიელად მიაჩნია. რაც შეეხება კუთვნილი ბენეფიტების მიღებაში დახმარებას, 79,8%-ს წარსულში, ხოლო 70.4%-ს დღესაც ეფექტურ სერვისად მიაჩნია. ეს მაჩვენებლები აჩვენებს რომ სამიზნე ჯგუფს ყველა ჩამოთვლილი ღონისძიება უფრო მეტად ესაჭიროებდა წარსულში, როცა კრიზისულ სიტუაციაში იყვნენ და ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიღებული საცხოვრებელი. თუმცა, ასევე მაღალი პროცენტული მაჩვენებელია

ამ სერვისების დღევანდელ საჭიროებასთან დაკავშირებით, რაც მოწმობს, რომ სოციალური მუშაკის საჭიროება, თუნდაც ამ ვიწრო ფუნქციების საჭიროებებზე დაყრდნობით, ი.გ.პ-ებთან როგორც წარსულში, ასევე დღესაც საკმაოდ ფართოა.

თუმცა, გარდა ამ ჰიპოთეტური კითხვებისა, კვლევამ მათ ცხოვრებაში რეალურად აჩვენა სოციალური მუშაკის საჭირობა. პირველ რიგში ეს გამოიკვეთა პირველი ერთი თვის განმავლობაში მათი მიღებული სერვისების ანალიზით. აღმოჩნდა რომ გაწეული დახმარებიდან რომელიც მათ სახელმწიფოსა, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან მიიღეს, ყველაზე მეტად ფიგურირებდა საკვები. გამოკითხულ რესპონდენტებს სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარებით არ უსარგებლიათ. საგულისხმოა, რომ მათგან 6,2%-ს არ ჰყოლია მხარდამჭერთა ქსელი. ამ შემთხვევაში მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა არაფორმალური მხარდამჭერი ქსელის მოძიება მათთვის არც თუ ისე ადვილი და შეუძლებებლიც კი ყოფილიყო, სოციალური მუშაკი შეიძლება მათთვის ფორმალური მხარდამჭერი ქსელის ის წევრი გამხდარიყო, რომელიც რთულ, კრიზისულ პერიოდში მათი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის გადადგავდა ნაბიჯებს. სოციალურ მუშაკს შეეძლო ემუშავა დასაქმების პრობლემაზე. კვლევის შედეგად ჩანს, რომ დევნილების შემთხვევაში თუ ვინმე ზრუნავს ამ პირების დასაქმებაზე, ძირითადად მათი ახლობლები და ნათესავები არიან. ისევე როგორც, არ ფიგურირებს სოციალური მუშაკის ჩართულობა ბინების გადაცემის შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ კვლევამ აჩვენა უმრავლესობა შემთხვევაში ბინების გადაცემის არაპრობლემურობა, ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა რომ იყო შემთხვევები, როცა ოჯახს კუთვნილი ორი სახლის ნაცვლად, ერთი ეძლეოდა, ან სახლის ნაცვლად ხდებოდა თანხის გადაცემაზე შეთანხმება, რომელიც იყო შემთხვევები, რომ აღარ აღწევდა ადრესატამდე. ამ და სხვა საკითხებისადმი, სოციალურ სამუშაოს ყურადღების მიმართვის საჭიროება კვლევის ფარგლებში გამოხატულია და ამას ადასტურებს ასევე ის, რომ კვლევის რესპოინდენტთა უმრავლესობა ისურვებდა პროფესიონალს მისი ინტერესები და უფლებები დაეცვა 2008 წლის ომიდან სახლის მიღებამდე.მიუხედავად ამ საჭიროებისა კვლევა ცხადყოფს, რომ არათუ სოციალური მუშაკის, არამედ არცერთი სხვა პროფესიონალის დახმარება რესპონდენტების უმრავლესობას, როგორც უკვე ავღნიშნეთ არ მიუღია.

პიროვნული თავისებურებების ცვლილებები

2008 წლის შემდეგიძულებით გადაადგილებულებმა, რომლებმაც საკუთარ თავზე განიცადეს ომი, საცხოვრებლის დაკარგვა, თავშესაფრის ძიება, ახალ გარემოსთან შეგუება, სტატუსის ცვლილება, გამოიარეს მანამდე უცნობი ემოციები და მიიღეს განსხვავებული გამოცდილებები. ამიტომ, კვლევისათვის მნიშვნელოვანი იყო, იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეიცვალნენ ეს ადამიანები და როგორ ახასიათებენ საკუთარ თავსდღეს, 2008 წლის ომის წინანდელ პერიოდთან შედარებით. აღმოჩნდა, რომ ამ გამოცდილებამ გამოკითხულთა 85,8% უფრო ძლიერი გახადა ვიდრე ისინი ადრე იყვნენ. ამის საწინააღმდეგოდ ამ 10-მა წელმა უფრო სუსტი მხოლოდ 7,1% გახადა (იხ. დიაგრამა N12).

დიაგრამა12: დღეს მე, 2008 წლის ომის წინანდელ პერიოდთან შედარებით, გავხდი უფრო ძლიერი თუ სუსტი (N-240) (%)



ასევე, ცვლილება განიცადა სამიზნე ჯგუფის რწმენის საკითხმა. 65,5%-ის რწმენა უფრო გაძლიერდა, მაშინ როცა რწმენა შეერყა და უფრო არა-მორწმუნე გახდა მხოლოდ 15%. რაც შეეხება სხვა პიროვნულ მაჩვენებლებს, უფრო თანამგრძნობი გახდა 86,7 %, ამ მხრივ არ შეცვლილა 11,7%. წინანდელთან შედარებით უფრო ტოლერანტია73,4%. ტოლერანტულობის მხრივ არ შეცვლილა 24,2 %. რაც შეეხება პესიმიზმსა და ოპტიმიზს, ამ მხრივ უცვლელობა სხვა თვისებებთან შედარებით უფრო მეტად შეიმჩნევა.

ოპტიმიზმისკენ მხოლოდ 51,7%, ხოლო პესიმიზმისკენ 16,7% გადაიხარა. (სხვა პროცენტული მაჩვენებლები შეგიძლიათ იხილოთ დანართში„ზ“)

მოლოდინები

ჩვენი კვლევის დასასრულს მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო, თუ რა მოლოდინები აქვს იძულებით გადაადგილებულ პირებს და მათი აზრით როგორი შეიძლება იყოს მომავალი 10 წელი. შედეგად 31.7% იმედი აქვს, რომ მომავალში გაუმჯობესდება სოციალურ-ეკონომიკური პირობები, აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 25.4%-ი იმედს იტოვებს დაბრუნდება პირვანდელ საცხოვრებელ ადგილას, ხოლო 15.4%-ი მომავლის მიმართ პესიმისტურადაა განწყობილი და თვლის, რომ შესაძლებელია არაფერი შეიცვალოს. აღნიშნულ კითხვაზე 20.4% უჭირდა პასუხის გაცემა, ხოლო 2.9%-მა კითვაზე პასუხის გაცემისგან თავიშეიკავა.

თვისებრივი კვლევის ანალიზი

კვლევის თვისებრივი ნაწილი, განხორციელდა რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მონაცემების მოპოვებისა და გაანალიზების შემდგომ, რათა თვისებრივი კვლევის დახმარებით მომხდარიყო რაოდენობრივი კვლევის შედეგების ანალიზი. თვისებრივი კვლევა ატარებდა ექსპერტული კვლევის სახეს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საკითხში გათვითცნობიერებულმა ხუთმა სპეციალისტმა. თითოულ მათგანს სხვადასხვა დროს უმუშავიათ დევნილ მოსახლეობასთან და გათვითცნობიერებულები არიან ამ თემის ფსიქო - სოციალურ საჭიროებებში. კვლევაში მონაწილეთა ნაწილი სოციალური მუშაკია, რომელსაც ამ პროფესიით მუშაობს ან უმუშავია დევნილ მოსახლეობასთან. ნაწილი კი მუშაობს ან მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციებში, რომლებიც დევნილ მოსახლეობას, ფსიქო-სოციალურ სერვისებს აწვდის. მათ შორის არიან სპეციალისტები სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სექტორიდან. სპეციალისტი, რომელიც მუშაობს მთლიანად დევნილ თემთან, დევნილთა შორის გამოყოფილ ქვე-ჯგუფთან, მაგალითად ბავშებთან ან ქალებთან, ან დევნილთა თემთან, როგორც რამდენიმედან ერთ-ერთ მიზნობრივ ჯგუფთან.

ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ 2008 წლის ომის შემდგომ, საცხოვრებლის მიღებამდე კრიზისულ პერიოდში, არსებობდა დიდი რაოდენობით

ფსიქო-სოციალური სერვისები, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირებს მიეწოდებოდათ. კვლევაში მონაწილე რამდენიმე სპეციალისტი თავადვე აწოდებდა ამ სერვისებს მათ. ასევე აღსანიშნავია, რომ კრიზისულ პერიოდში თემთან ხორციელდებოდა სოციალური მუშაობა და სახეზე იყო სოციალური მუშაკის ჩართულობა. კრიზისისას სხვადასხვა სერვისების მიწოდების ხარისხითა და რაოდენობით ექსპერტები კმაყოფილებას გამოთქვამენ. მათი თქმით, ეს სერვისები იყო იმ დროისათვის რესურსების გამართლებული ხარჯვა და დევნილი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ მიმართულლი ნაბიჯი. ეს სერვისები ამ ათი წლის განმავლობაში ყველაზე დიდ საჭიროებას სწორედ კრიზისულ პერიოდში წარმოადგენდნენ, ამიტომაა ექსპერტთა აზრით, რომ ეს სერვისები ნელნელა შემცირდა, დაიხურა ბევრი პირველ პერიოდში მომუშავე პროექტი და დღეს სპეციალურად დევნილ მოსახლეობასთან და მათ საჭიროებებზე მომუშავე სერვისები და ორგანიზაციები მინიმუმამდეა დასული. თუმცა, ექსპერტთა აზრით, ეს ლოგიკური მდგომარეობაა. „ეს ლოგიკურიც არის კრიზისის დროს გვჭირდება ბევრი რესურსის მობილიზება, მერე ეტაპობრივად მოხდა ამ ორგანიზაციების გადინება, როგორც ჩვენი ორგანიზაციის შემთხვევა შიდაიხურა. ასევე მოხდა დანარჩენი ორგანიზაციების შემთხვევაშიცდა როგორც ეხლა მაქვს ინფორმაცია უკვე ადგილობრივი ორგანიზაციები მუშაობენ იქ, რაც ალბათ ლოგიკურიც არის“ (ექსპერტი N1). მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში კრიზისულ პერიოდში მიწოდებული სერვისებით ექსპერტთა კმაყოფილება იგრძნობა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი ექსპერტი ამ სერვისთა გაფანტულობასა და მოუწესრიგებლობაზე საუბრობს: „იმ პერიოდში ძალიან ბევრი დახმარება იყო, თუმცა იმის დრო არ იყო რაიმე კვლევაზე დაფუძვნებული ყოფილიყო. იყო უფრო ქაოსური. იყო შემთხვევები, როდესაც რაღაცა ჯგუფი დევნილებისა ყველანაირ დახმარებას იღებდა და ვიღაც უყურადღებოდ რჩებოდა“ (ექსპერტი N4). შესაძლებელია, სწორედ ამ ექსპერტის თვალსაზრისი ხსნის რაოდენობრივი მონაცემების შედეგებს, რომლის მიხედვითაც, ზემოთ ნახსენები ფსიქო-სოციალური სერვისები გამოკითხულთა უმრავლესობას არ მიუღია. შესაბამისად, შეგვიძლია ვივრაუდოთ, რომ კრიზისულ პერიოდში არსებობდა გარკვეული რაოდენობით პროგრამები და სერვისები დევნილთა ფსიქო-სოციალური

კეთილდღეობაზე მიმართული, თუმცა ისინი ვერ ფარავდა სამიზნე ჯგუფის უმრავლესობას, ან დევნილები ამ სერვისებს იღებდნენ, მაგრამ ათი წლის შემდგომ არ მიიჩნევენ ამ სერვისებს იმდენად მნიშვნელოვნად, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში აღნიშნონ.

რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ სტატისტიკურად დევნილთა მიერ ყველაზე მეტად მიღებული სერვისი კრიზისულ პერიოდში იყო ჰუმანიტარული დახმარება საკვების სახით. კვების და სხვა ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილება ადამიანისთვის ერთ-ერთი უპირველესი მიზანია. ამიტომ კვლევის ფარგლებში ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, გაგვეგო ექსპერტთა დამოკიდებულებები, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის ფსიქო-სოციალური სერვისების მიწოდება ისეთ კრიზისულ პერიოდში, როცა მათ ასევე უწევთ ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის ბრძოლა. აღმოჩნდა, რომ თითოეული ექსპერტი თვლის, რომ ბაზისურ საჭიროებებზე არანაკლებ მნიშვნელოვანი სწორედ მათ ფსიქოლოგიურ და სოციალური მდგომარეობაზე კონცენტრირება იყო. ერთ-ერთი ექსპერტი, რომელიც დევნილ ბავშვებთან მუშაობს ხაზს უსვამს, რომ „ჩვენ როგორც დავაკვირდით და გამოცდილების შედეგად შემიძლია ვთქვა, ის ფსიქო-სოციალური სერვისები უფრო საჭირო იყოდა ზოგადად სიტყვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ხო, სიტყვით შეიქმნა მთელი სამყარო. ეს ბავშვები მოვიდნენ სულ სხვანაირები და წავიდნენ აბსოლიტურად განსხვავებულები. მერე იცით რა არის? ზოგ ბავშვს აგრესიაც ჰქონდა ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ზოგიერთი ოჯახური ძალადობის მსხვერპლიც იყო, მოვახერხეთ რომ ეს ყველაფერი ძალიან კარგად და მშვიდობიანად დარაც მთავარია, ძალდაუტანებლად მოგვარებულიყო“ (ექსპერტი N3). ექსპერტი, რომელიც კრიზისულ პერიოდში დევნილებთან სოციალურ მუშაკად მუშაობდა ასევე იმავე შეხედულებისაა. „სიმართლე გითხრათ ამ საკითხზე მაშინ, როცა სოციალურ მუშაკად ვმუშაობდი ნაკლებად ვაკეთებდი სწორ რეფლექსიას. მერე დავფიქრდი რა იყო მნიშვნელოვანი. მაშინ ხანდახან მიმაჩნდა, რომ ამ ადამიანებთან რააღაცეებს არასწორად ხომ არ ვაკეთებდი, იმიტომ რომ ამ ადამიანებს უფრო მეტი მატერიალური მხარდაჭერა სჭირდებოდათ. ხშირად უბრალოდ ვიჯექი და ვუსმენდი მათ ისტორიებს, მაგრამ ისინი მაინც მელოდებოდნენროდის მივიდოდი. არც მატერიალური დახმარება არ მიმქონდა.

მერე აღმოვაჩინე რომ სწორედ ეს იყო ჩემი მხრიდან გატარებული სოციალური მუშაობა, თუნდაც ის, რომ მათ ისტორიებს ვიზიარებდი, ვისმენდი, ამ ადამიანებს ვაძლევდი თავიანთ განცდების, ემოციების გამოხატვის შესაძლებლობას“ (ექსპერტი N1).

ზემოთ მოყვანილი ინფორმაციით, რომელიც ხაზს უსვამს ფსიქო-სოციალური სერვისების საჭიროებას კრიზისის პერიოდში, შეგვიძლია დასკვნა გავაკეთოთ მხარდამჭერი ქსელის შესახებაც. ფსიქო-სოციალური სერვისების მიწოდება, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის თანამშრომლობა დევნილ მოსახლეობასთან, მათ გარშემო წესით ფორმალურ მხარდამჭერ ქსელს უნდა უყალიბებდეს. თუმცა, რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ მხარდამჭერ ქსელს დევნილთათვის, ძირითადად, ოჯახის წევრები წარმოადგენენ, არ ფიგურირებს ფორმალური მხარდამჭერი ქსელის მათთვის მნიშვნელოვნება. თუმცა, საპირისპიროს აჩვენებს ექსპერტთა მოსაზრებები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ომის შედეგად არ მოხდა ერთი სოფლიდან ან რაიონიდან გამოდინებული ხალხის ერთმანეთისგან დაშორება, რადგან ისინი კომპაქტურ დასახლებებში ერთმანეთის ახლობლად სახლობენ. შესაბამისად, დევნილ მოსალეობას სოციალური ურთიერთობების მთლიანად თავიდან აგება არ დასჭირვებიათ და ერთმანეთის მხარდაჭერა კვლავ აქვთ. თუმცა ექსპერტთა აზრით, ფორმალური მხარდაჭერა მაინც მნიშვნელოვანია. „მაინც ყველას თავისი გასჭირვებოდა და ყველა მაინც საკუთარ გადარჩენაზე იყო ბუნებრივად ორიენტირებული. მე ვერ ვიტყვი რომ ერთმანეთს მიმართ მხარდაჭერა არ ჰქოდათ, მაგრამ ფორმალური სახის მხარდაჭერა როცა შედის, გარედან როცა შედის ადამიანი, რომელიც მათ უსმენს და ხანდახან ყველაზე ახლობელს რომ ვერ ეუბნებიან ისეთ ფიქრებს, განცდებს და ემოციებს გიზიარებენ, ეს ისედაც სჭირდება ადამიანს, სულ რომ კარგ გარემოში იყოს“ (ექსპერტი N1). შესაძლებელია პროფესიონალთა მხარდაჭერა უფრო მასობრივი იყო კრიზისულ პერიოდში, მაგრამ როგორც აღინიშნა, დღეს დევნილებთან მომუშავე ორგანიზაციებმა და სერვისებმა იკლეს. შესაბამისად, მათი არაფორმალური თანადგომა სოციალური ურთიერთობების დადებითი, პოზიტიური მახასიათებელია. ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ დევნილთა ამ გარემოში, ერთმანეთთან ახლოს დასახლება შემთხვევითი არ არისდა ეს ძალიან დიდი განხილვების შემდეგ გადაწდა, რათა

საბოლოო გადაწყვეტილებას გაეტარებინა დევნილთა საუკეთესო ინტერესები. „იყო საუბრები, რომ დავტოვოთ დევნილები იქ, სადაც ნაცნობი პირობებია, სადაც იგივე დიალექტია, სადაც ბევრი ნაცნობები ეყოლებათ და სადაც მიწებიც ექნებათ, ანუ სადაც ცხოვრება დიდად არ განსხვავდება და შევუქმნათ შედარებით მსგავსი პირობები“ (ექსპერტი N5). რაც შეეხება საკუთრივ სოციალური მუშაკის როგორც მხარდამჭერის როლს, აქ ექსპერტთა შორის სრულიად განსხვავებულ შეხედულებებს ვხვდებით. მაგალითად, ერთ-ერთი ექსპერტი თვლის, რომ „ვერ აღიქვამენ ნამდვილად, რომ თუნდაც სოციალური მუშაკი არის მათთვის დამხმარე, ხშირ შემთხვევაში აი ალბათ არც აქვთ ინფორმაცია, სოც.მუშაკის პროფესიის შესახებ. იმიტომ, რომ თავშიც ვთქვი არ გვაქვს ისეთი შეხება მათთან, მხოლოდ ერთეულ ოჯახებთან ვინც მოგვმართავს და აი გარკვევით არ იციან რას ემსახურება სოციალური მუშაობა“ (ექსპერტი N2). სრულიად განსხვავებული გამოცდილება აქვს მეორე ექსპერტს, რომელიც ხაზს უსვამს, რომსოციალური მუშაკს თემში დიდი მიმღებლობა ჰქონდა, რადგან ის არ ასოცირდებოდა დიაგნოზთან, სტიგმასთან. სოციალური მუშაკი მათთვის იყო ნეიტრალური ადამიანი, რომლის გავლითაც ხდებოდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვა სპეციალისტებთან გადამისამართება. მთლიანობაში გამოიკვეთა, რომ არაფორმალური სოციალური და მხარდამჭერი ქსელის არსებობა სამიზნე ჯგუფის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესია, ასევე პოზიტიური ცვლილებების მომტანი იქნება ფორმალური მხარდამჭერი ქსელის ჩართულობაც, თუმცა მათ არსებობაზე დევნილების გამოკითხვის შედეგად უარყოფითი შედეგები მივიღეთ. რაც შეეხება ექსპერტთა აზრს, შედეგები აქაც განსხვავებულია. ზოგი ამ ქსელის არსებობაზე მიუთითებს, ზოგი კი საპირისპირო მდგომარეობაზე მიუთითებს.

კრიზისული პერიოდის გავლის შემდეგ სამიზნე ჯგუფის ცხოვრებაში შეგვიძლია გამოვყოთ ახალ საცხოვრებელში დასახლება, როგორც მათი ცხოვრების ახალი ეტაპი. კომპაქტური დასახლების მიმართ, სადაც დევნილები ერთმანეთის მსგავს კოტეჯის ტიპის სახლებში ცხოვრობენ ექსპერტთა დამოკიდებულებები თითქმის ერთნაირია. ეს კრიზისის დასაძლევად იყო შესაძლო ვარანტებიდან ყველაზე უკეთესი, სჯობდა ყველა ალტერნატივას, რომელიც იმ დროს სახელმწიფოს შეეძლო დევნილათათვის შეეთავაზებინა, თუმცა არ იყო საუკეთესო გამოსავალი. „დასაწყისში რა თქმა უნდა

უცბად რაღაცა მალე უნდა გაკეთებულიყო და ამ ადამიანების გადაყვანა მომხდარიყო. იმ წუთში ეს იყო ძალიან კარგი გამოსავალი“ (ექსპერტი N1); „მე ვფიქრობ რომ როდესაც ეს ხალხი დევნილებად იქცა და უცებ მოახერხა ხელისუფლებამ რომ მათ სახლები მისცედა თან პირობებიც ჰქონდათ, მაშინ ეს გამართლებული იყო, კარვებში ცხოვრებასდა სადმე შეჭრილად ყოფნას ჯობდა. თან თავისიანებთან ერთად არიან, მერე ხე გააშენეს, ხეხილი , ფრინველი გაიჩინეს, ჩემი აზრით ცუდი არ არის. თან ეს ყველაფერი ხომ ძალიან მალე მოხდა, უცებ გაუჩინეს საბინაო პირობები“ (ექსპერტი N3) ; „ალბათ ესაც შედარებითია, მე ვთვლი რომ მაინც არაუშავს, ხარისხი რა თქმა უნდა იყო განსხვავებული. მაგრამ, იმის გათვალისწინებით რომ ორ თვეში მოხდა, ალბათ ესაც კარგი იყო, 2008 წლის ბოლოს უკვე ხალხი ცხოვრობდა იქ, საკმაოდ მოკლე პერიოდში გადაეცათ ბინები. ისე სწრაფად მოხდა რომ რა თქმა უნდა ხარისხთან იყო პრობლემები“ (ექსპერიN4). თითოეული ეს მოსაზრება მიუთითებს, საბინაო პირობების დამაკმაყოფილებლობაზე და სახლების დევნილთათვის გადაცემის სისწრაფეზე, თუმცა მეორე საკითხი რაც კვლევისათვის მნიშვნელოვანია ამ დასახლებასთან დაკავშირებული სტიგმაა. რაოდენობრივმა კვლევამ გამოავლინა, რომ თავად დევნილებთა უმეტესობა არ გრძნობს თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად და არც რაიმე პრობლემის გამოყოფა შეუძლიათ, რომელიც ამ დასახლებაში ცხოვრებამ შეუქმნა. თუმცა ექსპერტები ამ ერთფეროვან, გამოყოფილ, განცალკევებულ გარემოს მაინც მიიჩნევენ სტიგმის მატარებელს. ერთ-ერთი ექსპერტი საუბრობს შემდეგ საკითხზე „პირველ ეტაპზე, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ეს სახლები გადმოგვცემოდა ასე ძალიან მოკლე დროში და ოცი წლის მერე აქ დაბადებული ბავშვი რომ კიდევ თითით საჩვენებელი იქნება, რომ ბანაკში ცხოვრობს ეს რამდენად კარგი იქნება უკვე აღარ ვიცი“. ეს ციტატა, ისევე როგორც დანარჩენი ექსპერტების მოსაზრებები მიგვითითებს, რომ ასეთი ხილული, სტატუსის გამომავლინებელი გარემო, არ აძლევს როგორც ადგილობრივ, ასევე დევნილ მოსახლეობას საშუალებას ი.გ.პ სტატუსის გარეშე აღიქვასდა თითქოს ყველას, თუნდაც ომის შემდგომ დაბადებულ ადამიანსაც, ერთმევა საშუალება დაივიწყოს გადატანილი ტრამვადა ინტეგრირდეს ადგილობრივ გარემოსთან. ამის შესაძლებლობას კი არ აძლევს

საცხოვრებელი, რომელიც პირდაპირ ხაზს უსვამს, რომ ადამიანი არის იძულებით გადაადგილებული პირი.

ასევე, ზემოთ ნახსენები კოტეჯური ტიპის, ერთფეროვანი დასახლების გარეშეც, სტიგმის არსებობა სახეზეა ზოგადად სტატუსი „დევნილის“ მიმართაც. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივმა კვლევამ არ აჩვენა ამ საკითხის პრობლემურობა დევნილ მოსახლეობაში, განსხვავებული შეხედულება აქვთ საკითხში გათვითცნობიერებულ პროფესიონალებს. ერთ-ერთი მათგანის აზრით, სტიგმა უფრო და უფრო ნაკლებად სახასიათოა საზოგადოების განვითარებასთან და დევნილის ფენომენთან უფრო აქტიურ შეხებასთან ერთად. მისი აზრით, ეს საკითხი უფრო მწვავედ იდგა დევნილი თემის 2008 წლამდე არსებულ ტალღებში, თუმცა ის და სხვა ექსპერტები სტიგმის არსებობას დღევანდელობაშიც ხაზს უსვამენ. „სტიგმა არსებობს რა თქმა უნდა და ძალიან ხშირად ახალგაზრდები ცდილობენ, რომ არ გააჟღერონ რომ დევნილთა ოჯახებიდან არიან, ეს სტიგმა დაკავშირებულია დახმარებებთანაც. იმიტომ, რომ საზოგადოებაში ძირითადად ნეგატიური განწყობილებაა და ხშირად ამბობენ, ამ დევნილებმა შეგვჭამეს“ (ექსპერტი N5). გარდა ამისა, სტიგმა და ნეგატიური დამოკიდებულებები დაკავშირებულია დასაქმების ბაზარზე კონკურენციის გაზრდასთან, ბიუჯეტიდან დევნილებისათვის განკუთვნილი თანხის გამოყოფასთან, სკოლაში ბავშვების მიმღებლობასთან და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ გადატანილმა ომმა ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე იმოქმედა და თანაგანცდა ძალიან მაღალი იყო, სტიგმისგან გაქცევა ვერც ამ შემთხვევაში მოხდა მაშინ, როცა დევნილობის საკითხი დანარჩენ მოასხლეობას უკვე პირადად შეეხოდა თუნდაც მათ შემოსავალზე და რესურსებზე გავლენა მოახდინა. რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციას, ეს დასახლებები იმდენად გამოყოფილია ადგილობრივი მოსახლეობისგან, რომ ექსპერტთა აზრით ასეთი პრობლემების გამოვლენა თითქმის შეუძლებელია. ზოგიერთი მსგავსი დასახლებიდან ტრანსპორტირება და ახლო-მახლო ქალაქებში ჩასვლაც კი პრობლემებს წარმოადგენს. ზოგი დასახლება დღეს ისეა განვითარებული, რომ ყველა საჭირო ორგანიზაცია და ცენტრი დასახლებაშივეა. პრობლემები იყო მანამდე, მაგალითად სკოლებში ამ დასახლებებიდან ბავშვების მიმღებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ დღეს ძირითადად ისინი თავისივე

დასახლებაში სწავლობენ, მუშაობენ და ამ სახის ურთიერთობებიც შეიზღუდა ადგილობრივებთან. თუმცა, ეს არ მიუთითებს პრობლემის არ არსებობაზე, უფრო მეტად ხაზს უსვამს ამ თემის ჩაკეტილობაზე და დასახლებაში მცხოვრებთა არაინტეგრირებულობაზე დანარჩენ მოსახლეობასთან.

კიდევ ცალკე საკითხად შეგვიძლია განვიხილოთ დასაქმება. დასაქმების ბაზარზე დევნილი მოსახლეობის შემომატებით გაზრდილი კონკურენცია, როგორც ავღნიშნეთ, დევნილთა მიმართ ადგილობრივთა ნეგატიური დამოკიდებულებების ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორია. თუმცა რეალურად რამდენად არიან დასაქმებულები და მართლა ზრდიან თუ არა ბაზარზე კონკურენციას ეს უკვე სხვა საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარი დასაქმებულია, უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ მას და მისი ოჯახის წევრებს დასაქმების მხრივ ძირითადად არავინ ეხმარებოდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ექსპერთა უმეტესობა ერთხმად თანხმდება, რომ დასაქმება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი დევნილთა კეთილდღეობისთვის, დამოუკიდებლობისთვის და ახალ საცხოვრებელ ადგილას დამკვიდრებისთვის. რაც შეეხება დასაქმების ხელშეწყობას, ექსპერტები ხაზს უსვამენქვეყანაში გარკვეული დასაქმების პროგრამების არსებობას, თუმცა ამ პროგრამების სამიზნე ჯგუფი ზოგადად საზოგადოება და არა კონკრეტულად დევნილი მოსახლეობაა. „დასაქმების პროგრამა სახელმწიფოს მხრიდან უკვე შექმნილია. დასაქმების პორტალი „worknet“ არსებობს კიდეც, სადაც იდება ვაკანსიები და შეუძლიათ დარეგისტრირება ნებისმიერ მოქალაქეს. ასევე, ჩვენთანსააგენტოში დასაქმების კონსულტანტები მუშაობენ და თვითონაც შეუძლიათ მათთან გაიარონ კონსულტაცია და შეავსონ განაცხადი შესაბამის ვაკანსიაზე. არის კიდევ გადამზადებები, ტრენინგებიც უტარდებათ ხოლმე, სხვადასხვა კურსებს სთავაზობს ეს პროგრამა, თუმცა უშუალოდ დევნილთათვს არ არის, თუმცა მათაც შეუძლიათ ამ პროგრამით სარგებლობა“ (ექსპერტი N2). მიუხედავად ამისა, შეთავაზებული პროგრამები არ არის სრულყოფილი და დევნილ მოსახელობას დღესაც უჭირს სამსახურის მოძიება, განსაკუთრებით კი მათ, რომლებიც დედაქალაქიდან მოშორებით დასახლებულ პუნქტებში ცხოვრობს. ექსპერტულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომდევნილთათვის დასაქმების პროგრამების არსებობა აუცილებლობას წარმოადგენს,

როგორც კრიზისულ პერიოდში ისევე დღეს. „აუცილებლად უნდა იყოს ისეთი პროგრამები, უშუალოდ ამ სამიზნე ჯგუფზე მორგებული. სოციალური საწარმოების სახით, ან დასაქმების ხელშეწყობის და ეკონომიური გააქტიურების ხაზით. სოციალური საწარმოები, ალბათ ერთ-ერთი ყველაზე კარგი ხელშეწყობა იქნებოდა ამ ადამიანებისთვის, და ასევე მათ მიერ მცირე ბიზნესის წამოწყების ან მცირე ბიზნესის წამოწყების, მოკლედ სტარტაპების მხარდაჭერაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნებოდა, რომ ეკონომიკურად კიდევ უფრო გააქტიურდნენ“ (ექსპერტი N1); „სოფლის მეურნეობასთან იყო მოლაპარაკებები რამდენჯერმე რომ შეიქმნას კოოპერატივები და თუ საერთოდ 5 ადამიანი უნდა იყოს, დევნილებისთვის შეიძლებოდა 3 ადამიანისგან რომ იყოს, რომ ადამიანებს უფრო მეტი ხელმისაწვდომობა ქონდეთ, თუ არ ვცდები სამი წლის განმავლობაში დევნილებს უფასოდ ურიგდებოდა სოფლის მეურნეობის სამუშაოების დაფინანსება, მოხვნა და ა.შ. შემდეგ უკვე ვაუჩერებს აძლევდნენ ვთქვათ საწვავზე, თესლებზე“ (ექსპერტი N5). აქედან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფომ და სხვადასხვა ორგანიზაციებმა შექმნან დასაქმების პროგრამები, სერვისები, რომლებიც ხელს შეუწყობს და გაზრდის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმებას მათი კეთილდღეობისთვის.

დასაქმების გარდა, ასევე, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ზოგადად სახელმწიფოს მიდგომა იძულებით გადაადგილებულ პირებთან მიმართებაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებობს პროგრამები, რომლების მუშაობს დევნილთა თემთან. თუმცა, როგორც ექსპერტთა გამოკითხვიდან ჩანს სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს სრულად დევნილთა საჭიროებებს და ვერ აწარმოებს მიზანმიმართულ პროგრამებს. „სახელმწიფო პოლიტიკა ვფიქრობ, რომ სუსტია და არ არის ნათელი, მე მგონია რომ უფრო პირველ რიგში უნდა ჩაატაროს კვლევა და გამოკვეთოს რა საჭიროებები არსებობს და ჯგუფები კრიტერიუმების მიხედვით გადაამზადოს, ვიღაცას შეიძლება ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებოდეს ან ვიღაცას შეიძლება პროფესიული გადამზადება სჭირდებოდეს, რეალურად ყველას უნდა მოარგო შენი დახმარება, ვიღაცას შეიძლება საერთოდ არ სჭირდებოდეს“ (ექსპერტი N4). თუმცა რა თქმა უნდა ექსპერტები დადებით ქმედებებსაც ხაზს უსვამენ და აღნიშნავენ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ის რაც უკვე გაკეთდა. ერთ-ერთი ექსპერტი, რომელიც აქტიურად

მუშაობდა და დღესაც მუშაობს 2008 წლის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებთან, სახელმწიფოს მიდგომასთან და საქმიანობასთან დაკავშირებით ამბობს, რომ „2008 წელს განხორციელებული პროგრამები იყო ნამდვილად უნიკალური, თავისი მასშტაბით, თავისი ჩართულობით, ბევრი რამ იყო გაკეთებული, წლების განმავლობაში კარგად გრძელდებოდა მუშაობა ამ ორწლიან სამოქმედო გეგმაზე. რაც მახსოვს დევნილთა სამინისტრო ყოველთვის ყველაზე ღია სამინისტრო იყო, ჩვენ არასამთავრობო სექტორს ყოველთვის გვქონდა შესაძლებლობა ვიმუშაოთ ამ სამინისტროსთან. მაგალითად ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იქ იყო შექნილი სამეთვალყურეო საბჭო და ამ საბჭოში ყოველთვის იყო ერთი ადგილი არასამთავრობოსთვის“ (ექსპერტი N5). შესაბამისად, გამოიხატება კმაყოფილება იმით რაც აქამდე გაკეთდა, თუმცა ხაზი ესმევა პოლიტიკის და სერვისების დახვეწის და მიზნობრიობის საჭიროებას.

რაც შეეხება დევნილთა დღევანდელობას, რა საკვირველია ცვლილებები სახეზეა კრიზისულ პერიოდთან შედარებით. ადამიანები უკვე შეეგუვნენ გარემოს, თითქმის სრულად მოხდა მათი რეაბილიტაცია და დაძლიეს ფსიქოლოგიურად რთულად გადასალახი პრობლემები, მაგრამ დარჩა ეკონომიური პრობლემები. ექსპერტთა აზრით, 10 წელი არ არის ის დრო, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს ხელახლა შეექმნათ ის, რაც ომის გამო ყოფილ საცხოვრებელ ადგილას დატოვეს, იქნება ეს მატერილური თუ სოციალური კაპიტალი. შესაბამისად, მათი საჭიროებების დაკმაყოფილების პრობლემა დღესაც დგას დღის წესრიგში. ექსპერტთა აზრით კი 45 ლარიანი დევნილთა შემწეობა საკმარისი არაა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს უმუშევრობასთანაც. შეღავათებისა და მიზნობრივი პროგრამების არსებობა დღესაც საჭიროებას წარმოადგენს. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, დევნილთა და განსახლების სამინისტროს შესაძლო გაუქმება სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ დევნილთა თემი აღარ აღიქმება მოწყვლად და პრიორიტეტების მინიჭების საჭიროების მქონე ჯგუფად. ამის აღქმა პოზიტიურადაც შეგვიძლია და ნეგატიურადაც. პოზიტიურად აღქმისას, ხაზი ესმევა რომ ეს ჯგუფი უკვე საზოგადოების სრულყოფილი წევრია და აღარ არიან „განსხვავებულები“. თუმცა მეორე მხრივ, რეალურად ისინი ჯერ კიდევ არ არიან სრულად ინტეგრირებულნი ახალ საცხოვრებელ

გარემოში და საჭიროებენ მხარდაჭერას. „10 წელიც არ არის ის დრო რომ მოახდინონ ადაპტაცია ესე მთელი მთელი თავისი ცხოვრების მიტოვება მოუხდათ და სხვადან დაიწყეს ნულიდან ცხოვრება და მითუმეტეს ეს ხდება რთულ პირობებში და არ არის მარტივი ამის გაკეთება, არც ფინანსური თვალსაზრისითაც, საცხოვრებელი, დასაქმებაც, ყველაფერი მიბმული არის ერთმანეთზე“ (ექსპერტი N2). ამ ყველაფრის ფონზე კი სამინისტროს გაუქმება მათთვის დადებითი შედეგის მომტანი არ იქნება.

და ბოლოს, გვინდა ვისაუბროთ სოციალური მუშაობის პრაქტიკის საჭიროებაზე ომიდან 10 წლის შემდგომ და ამ პროფესიის მომავალზე იძულებით გადაადგილებულ პირთა თემთან. ექსპერტები აღნიშნავენ რომ სოციალური მუშაკების როლი უდიდესი იყო კრიზისულ პერიოდში, თუმცა საჭიროება დღესაცაა. ერთადერთი ცვლილება, რაც ამ ათმა წელმა შეიძლება მოიტანა ისაა, რომ უნდა შეიცვალოს სოც.მუშაკის როლი, მიდგომა ამ თემთან. თუ ადრე სოც.მუშაკი მათთან ბაზისური დაკმაყოფილების დონეზე მიკრო პრაქტიკას ატარებდნენ, ექსპერტთა აზრით, დღეს უფრო საგულისხმო იქნება თემთან მეზო ან მაკრო პრაქტიკის, ხოლო მიკრო დონეზე კლინიკური სოციალური მუშაობის გატარება. სოციალური მუშაკი ასევე უნდა იყოს სახელმწიფოსთვის სწორი ხედვის ჩამოყალიბებაში დამხმარე პირი, ხოლო დევნილთათვის პროფესიონალი, რომელიც მათ ინტეგრაციაში შეიტანს წვლილს.

რაც შეეხება პროფესიის მომავალს, რაიდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ სოციალური მუშაობა ჯერ კიდევ ყალიბდება და ფეხს იკიდებს იძულებით გადაადგილებულ პირებთან. თემში დაბალია ამ პროფესიისადმი ინფორმირებულობის დონეც. ექსპერტები ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია გაიზარდოს ინფორმირებულობა და ამ პროფესიის პოპულარიზაცია მოხდეს დევნილებში, რათა მოსახლეობას გაუჩნდეს საჭიროების შემთხვევაში სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობის ნება და სურვილი. გარდა ამისა, საჭიროა სახელმწიფოს ჩართულობაც, „სოცილაური მუშაობა რომ განვითარდეს დევნილ მოსახლეობაში სახელმწიფომ უნდა გამოთქვას ნება, შეიქმნას პროგრამები, რომლებშიც დასაქმდებიან სოციალური მუშაკები და მიაწვდიან მომსახურებას მათ. პროგრამები რომლებიც უშუალოდ დევნილებზე იქნება მიმართული. (ექსპერტი N2)“ თუმცა, ექსპერტებში იმედს იწვევს, სოციალური მუშაობის შესახებ ახალი კანონის ამოქმედება, რომელიც

მათ აზრით, სოციალური მუშაკის ჩართულობას დევნილ მოსახლეობაში საგრძნობლად გაზრდის.

მთლიანობაში, ექსპერტთა მოსაზრებების მიხედვით, დევნილთა თემთან ფსიქო-სოციალური დერვისების მიწოდება აუცილებლობას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისულ თუ შემდგომ პერიოდში ამ ადამიანებს ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე უწევთ ზრუნვა და ასევე საჭიროა მათი მატერიალური მხარდაჭერა, მათი კეთილდღეობისთვის ასევე აუცილებელია ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციაზე ზრუნვა და ისეთი პროფესიონალების ჩართვა, როგორიცაა სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი. სხვადასხვა სერვისების მიწოდება უფრო მეტად მნიშვნელოვანია კრიზისულ პერიოდში, თუმცა საჭიროება დღესაცაა. რაც შეეხება სოციალურ მუშაობას, ამ სერვისის მიწოდება უფრო აქტიურად ხორციელდებოდა ომიდან უახლოეს პერიოდში. დღეს მათთან სოციალური მუშაკები როგორც მიზნობრივ ჯგუფთან არ მუშაობენ და მათი თანამშრომლობა შემოიფარგლება იმავე ჩარჩოთი, რომლითაც სოციალური მუშაკები მუშაობენ დანარჩენ საზოგადოებასთან. მიუხედავად ამისა, ექსპერტები თვლიან რომ საჭიროა არსებობდნენ სოციალური მუშაკები, რომელთა მთავარი სამიზნე ჯგუფი დევნილი მოსახლეობა იქნება და გამოთქვამენ სურვილს და ასევე იმედს, რომ მომავალში ეს პროფესია ამ თემთან განვითარდება.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევაში გამოყენებული რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომების შედეგად ერთიანი გაანალიზების შედეგად, აღმოჩნდა, რომ 2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში იძულებით გადაადგილებული პირები მრავალი გამოწვევის წინაშე იდგნენ, მათ შორის იყო მატერიალური, ეკონომიკური, სოციალური, ემოციური თუ ფსიქოლოგიური. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ამ დროს, ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილება იყო. ამ მხრივ დევნილები დახმარებას სხვადასხვა საშუალებებიდან იღებდნენ. მაგალითად 60,5% იღებდა ჰუმანიტარულ დახმარებას, 40 % ეხმარებოდა ნათესავები და მეგობრები, ასევე 40 % იყენებდა თავის დანაზოგსაც. თუმცა მიუხედავად ამისა, სრულყოფილად საჭიროებების დაკმაყოფილება მაინც არ ხორციელდებოდა. მაგალითად, სრულყოფილად კვებით საჭიროებებს, მხოლოდ 9,2% იკმაყოფილებდა. ჰიგიენის

შემთხვევაში სრულყოფილად საჭიროების დაკმაყოფილება 14,2-მა. სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილების შემთხვევაში 9,6% თვლის რომ, საერთოდ ვერ იკმაყოფილებდა მათ. მთლიანობაში ბაზისური საჭიროებები საშუალო დონეზე კმაყოფილდებოდა და ამაში დიდი წვლილი სწორედ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს შეჰქონდა. თუმცა რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა რომ მიღებული სერვისები უფრო მეტად მატერიალურ სახეს ატარებდა და მაგალითად, ფსიქოლოგიური დახმარების მიღებაზე მხოლოდ 5% საუბრობს. ამის საპიროსპიროდ ექსპერტები საუბრობენ სხვადასხვა არა მატერიალურ, არამედ ფსიქო-სოციალური სერვისებზე, რომლებიც კრიზისულ პერიოდში მიეწოდებოდათ იძულებით გადაადგილებულ პირებს. მათ შორის სახელდება როგორც ფსიქოლოგის, ასევე სოციალური მუშაკის ჩართულობა და დევნილთა რეაბილიტაციისთვის საჭირო რესურსების მიწოდება. ასეთი განხვავებული შედეგები შეიძლება აიხსნას მიწოდებული სერვისების გაფანტულობით და სიმცირით, ან დევნილ თემში გაწეული ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის არამნიშვნელოვნად ჩათვლით და კვლევაში არ აღნიშვნით. თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლებ სავარაუდოა რადგან რაოდენობრივი კვლევის მიხედვით გამოვლინდა, რომ დევნილი მოსახლეობის 66,3%-ს სურვილი ექნებოდა მისი ინტერესები კრიზისულ პერიოდში პროფესიონალებს დაეცვათ. გარდა ამისა ისინი სურვილს გამოთქვემდნენ ომიდან საცხოვრებლის მიღებამდე მიეღოთ ჩვენი ჩამოთვლილი სხვადასხვა სოციალური სერვისები, რომლის მიწოდებაც მათთვის სოციალური მუშაკს შეეძლო. მაგალითად მსგავსი პრობლემის მქონე ადამიანებთან შეხვედრას და გადატანილი ტრამვის გაზიარებას პროფესიონალის თანდასწრებით გამოკითხულთა 55%-ს ეფექტიან ღონისძიებად მიიჩნევს. ასევე ეფექტიანად თვლიან დახმარებას ბიუროკრატული პროცესების გამარტივებაში (72.5%), დახმარებას პრობლემების გამკლავების დასწავლაში (71,3%) და ა.შ. იმავე აზრზე არიანექსპერტებიც. მათი აზრით სოციალური სერვისების მიწოდება კრიზისულ პერიოდში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებისადმი მიმართული სერვისებისა.

ექსპერტები ხაზს უსვამენ როგორც არასამთავრობო ასევე სამთავრობო სექტორის ჩართულობას, როგორც მატერიალური ასევე სოციალური სერვისების მიწოდებისას. მათი თქმით, 2008 წლის ომის შემდგომ დევნილ მოსახლეობას გაეწია სხვადასხვა სახის

დახმარებები, როგორიც იყო კონსულტაციები ფსიქოლოგთან, სოციალურ მუშაკთან, ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებაში ხელშეწყობა, არსებობდა გარკვეული შეღავათები და შემდგომ მოხდა მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფა. თუმცა აღსანიშნავია ის, რომ ექსპერტთა უმეტესი ნაწილი გაცემულ დახმარებებს, სერვისებსა და პროგრამებს არ მიიჩნევს საკმარისად და აცხადებს, რომ სახელმწიფომ უნდა გასწიოს მეტად მიზანმიმართული და ერთიანი პოლიტიკა, რომელიც უფრო შედეგიანი და სასიკეთო იქნებადევნილთა თემისათვის.

რაც შეეხება, ი.გ.პ-თა რეოდენობრივ კვლევას, აღმოჩნდა რომ თუ სახელმწიფოს ეფექტურ დამხმარე წყაროს კრიზისულ პერიოდში 91,7% თვლიდა, იგივე დამოკიდებულება არასამთავრობო სექტორისადმი მხოლოდ 18,8%-აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს თუ რამდენად ეფექტურია ამ შემთხვევაში ნათესაობის როლი და მათი გაწეული დახმარება, ასევე ისინი წარმოადგენდნენ დევნილთათვის ოჯახის წევრებითნ შემდგომ სწორედ ისინი იყვნენ უმრავლესობისთვის (57,7%) მხარდამჭერი ქსელის წარმომადენლები. მხარდამჭერ ქსელში არ ფიგურირებენ დევნილთათვის პროფესიონალები. ექსპერტთა აზრით კი იმ პერიოდში როცა თითოეულ მათგან თავისი პრობლემები აქვს და თავის გამოწვევებთან უწევს გამკლავება, საჭიროა ფორმალური მხარდამჭერი ქსელი, რომელსაც შესაძლოა უფრო მეტად გაანდო ის, რასაც აარიდებ შენს არაფორმალურ მხარდამჭერ ქსელს. როგორც რაოდენობრივნა, ისე თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ 2008 წლის ომის შედეგად კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები და საჭიროებები დღესაც ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. კვლევამ ცხადყო, რომ ეს თემი როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ისე არასამთავრობო და სხვადასხვა მხარდამჭერი რგოლებისგან საჭიროებენ ხელშეწყობას.

დღეს, იძულებით გადაადგილებული პირები ძირითადად იღებენ სახელმწიფოს მიერ დანიშნულ დახმარებას, რომელიც არ უზრუნველყოფს მათ მოთხოვნებს და არ არის საკმარისი, ამიტომ კვლევის შედეგად ამ ადამიანებმა დაასახელეს სხვა სერვისებიც, რომელთა მიღებასაც ისურვებდნენ, მაგალითად: შეღავათები კომუნალურებზე, რომელიც ნამდვილად დიდ პრობლემას წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, ასევე შეღავათები სამედიცინო მომსახურებაზე,

შეღავათები განათლებაზე და მონეტარული (ფულადი) დახმარება. იმავე შეხედულება აქვთ ექსპერტებსაც, რომლებიც თვლიან, რომ ათი წელი ის დრო არ არის რომელშიც იძულებით გადაადგილებულ პირებს შეუძლიათ ცხოვრების ჩვეულ რიტმში წარმართვა და ყველაფრის ხელახლა დაწყება. მთლიანობაში, მართალია ბოლო ათი წლის განმავლობაში დევნილთა მდგომარეობა გაუმჯობესდა, მოხდა მათ ბაზისური საჭიროებებით კმაყოფილების დონის გაუმჯობესება, ინტეგრაცია ახალ საცხოვრებელ გარემოსთან, გამოწვევები ჯერ კიდევ არსებობს. ამ გამოწვევებზე საუბრობენ როგორც დევნილები ასევე ექსპერტები. მათ შორის ერთ-ერთი მნიშნელოვანია დასაქმება, მაღალი კომუნალური გადასახადები, ჯანდაცვასა და განათლებაზე ხელმიუწვდომლობა და მომავლის ხედვის ბუნდოვანება.

და ბოლოს, რაც შეეხება სოციალური მუშაობის როლს იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრებაში, გამოიკვეთა რომ საჭიროება ფართოა, თუმცა ჩართულობა არც ისე დიდი. მიუხედავად იმისა, რომ, იძულებით გადაადგილებულ პირთა 70,4 % აღნიშნავს, რომ სმენია სოციალური მუშაკის შესახებ, რეალურად მათგან 38,5% სოციალური მუშაკს სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან აიგივებდა, რაც საგრძნობლად ამცირებს პროფესიის ცნობადობის დონეს. იგივე შეიძლება ითქვას თანამშრომლობასთან დაკავშირებითაც. გამოკითხულთა 28%-მა აღნიშნა, რომ უთანამშრომლია სოციალურ მუშაკთან. რეალურად კი ამ 28% ის მხოლოდ 15%-მა ითანამშრომლა სოციალურ მუშაკთან. დანარჩენ შემთხვევებში კი მათ ან შეხება ჰქონდათ სოციალურ აგენტებთან, ან ინტერვიურებთან, რომლებიც მათთან სოციოლოგიურ კვლევას ატარებდნენ. ეს შედეგებიც ეხება თანამშრომლობას მთლიანობაში, ათი წლის განმავლობაში და არა მხოლოდ დროის მცირე პერიოდს.

რაც შეეხებათ ექსპერტებს, ისინი ერთხმად თანხმდებიან სოციალური მუშაობის საჭიროებაზე იძულებით გადაადგილებულ პირებთან მუშაობისას. მათი ინფორმაციით, ეს პროფესია ჩართული იყო თემთან კრიზისულ პერიოდში და სოციალური მუშაკები თანამშრომლობდნენ იძულებით გადაადგილებულ პირებთან. დღეს პროფესიის ჩართულობამ იკლო, და მუშაობა ხდება მხოლოდ დევნილთა თემში გარკვეულ მიზნობრივ ჯგუფებთან, მაგალითად ბავშვებთან, ხანდაზმულებთან, შშმ პირებთან, ძალადობის მსხვერპლებთან. ეს ის მიზნობრივი ჯგუფებია, რომელთანაც სოციალური

მუშაობა გატარდებოდა დევნილის სტატუსის გარეშეც. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ დღეს სახეზე ნაკლებად გვაქვს, ექსპერტები საკუთრივ ამ თემთან სოციალური მუშაობის საჭიროებაზე დღესაც მიუთითებენ. მათ აზრით დღეს საჭიროება უფრო მეტად მეზო და მაკრო დონეებზეა, და იმედს გამოთქვემენ, რომ ეს პროფესია უფრო მეტად მოიკიდებს ფეხს იძლებით გადაადგილებულ პირთა თემში, სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერითა და პროფესიის აქტიურობით.

ანგარიშის ბოლოს, იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის რაოდენობრივი კვლევისა და ექსპერტთა მოსაზრებებზე დაყრდნობით, ვთვლით რომ, რეკომენდირებული იქნება:

- ომის შემდგომ, პირველ კრიზისულ პერიოდში ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვასთან ერთად, დევნილთათვის ფსიქო-სოციალური სერვისების უფრო მასშტაბური შეთავაზება, როგორც სახელმწიფოს, ასევე არასამთავრობო სექტორის მხრიდან;
- არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის მიერ გაწეული დახმარებების ერთიან სისტემაში მოქცევა და სერვისების ნაკლებად გაფანტული სახის არსებობა;
- დევნილი მოსახლეობისათვის კვლევებზე დაყრდნობით, მიზნობრივი, საჭიროებებზე მორგებული პროგრამების შემოშავება.
- საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება, დევნილთა მიმართ სტიგმისა ნეგატიური დამოკიდებულებების შესამცირებლად და ახალ საცხოვრებელ გარემოში ინტეგრირებულობის მაღალი დონის მისაღწევად.
- სოციალური მუშაობის მეტი ჩართულობა კრიზისის პერიოდში, როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო სექტორიდან. გარდა ამისა, სოციალური მუშაობის გაძლიერება კრიზისული პერიოდის შემდგომ, გრძელვადიან მომავალში.
- სოციალური მუშაობის ვიწრო სპეციალიზაცია იძულებით გადაადგილებულ პირთა თემთან და მუშაობა მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე სამიზნე ჯგუფის კეთილდღეობისათვის.

ბიბლიოგრაფია:

დემოკრატიის ინსტიტუტი. (2016). *სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული გადაადგილებას დაქვემდებარებული (ეკომიგრანტი) ოჯახები: სახელმწიფო მხარდაჭერა და აღრიცხვა, ამომწურავად:* ბათუმი, აჭარა, საქართველო.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია. *ლტოლვილები და თავშესაფარი.* Retrieved From http://migration.commission.ge/index.php?article_id=19&clang=0

ნამიჭეიშვილი & მგელიაშვილი. (2010). *სოციალური მუშაობის პრაქტიკის საფუძვლები.*

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. (2010). *კოტეჯური ტიპის დასახლებები ახალი დევნილებისთვის საქართველოში: ანგარიშვალდებულება დახმარებისა და მშენებლობის პროცესში.*

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი. (2016). *ექსპერტული კვლევა და საჭიროებების მონაწილეობითი ანალიზი სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ.* თბილისი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2017) *გრძანება N 745* Retrieved From http://mes.gov.ge/uploads/745.pdf

საქართველოს მთავრობა. (2013). *განკარგულება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ ზოგიერთი ღონისძიებების გატარების თაობაზე.* Retrieved From https://matsne.gov.ge/ka/document/view/2212217

საქართველოს მთავრობა. (2013). *იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიერ კომპაქტურად განსახლების ობიექტებში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დავალიანების ანაზღაურების შესახებ.* Retrieved From https://matsne.gov.ge/ka/document/view/2197648

საქართველოს მთავრობის განკარგულება. (2017). *იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2017-2018 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის*

*განხორციელების სამოქმედო გეგმა.*Retrieved From http://mra.gov.ge/res/docs/2017022718021215542.pdf

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. *დევნილთა სტატისტიკა* Retrieved From http://www.mra.gov.ge/geo/static/55

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. *ერთჯერადი ფულადი დახმარებები.* Retrieved From http://mra.gov.ge/geo/static/2665

საქართველოს პარლამენტი. (2014). *საქართველოს კანონი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ.* მუხლი 16.

საქართველოს პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი. (2016). *ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის პრეზენტაცია წეროვანის დევნილთა დასახლებაში.* პრესრელიზი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2017. *საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა.* Retrieved From http://www.moh.gov.ge/ka/529/

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი. (2015). *დევნილთა დამოკიდებულების კვლევა გრძელვადიანი გადაწყვეტილებების შესახებ: საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მოსაზრებების გაჟღერება.* საქართველო.

ქირია, მ. *დევნილები და მათი უფლებები საქართველოში.* Retrieved From https://bloggba.wordpress.com/2014/06/10/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94/

Amnesty International. (2010). *In the Waiting Room; Internally Displaced People In Georgia.* Retrieved From http://www.refworld.org/pdfid/4c5fc1952.pdf (Page 10)

Armed Forces Communications and Electronics Association International (2012). *The Russo-Georgian War 2008: The Role of the cyber attacks in the conflict.* Retrieved From https://www.afcea.org/committees/cyber/documents/therusso-georgianwar2008.pdf (PP 7-8)

Besthorn, F.H&Meyer, E.E. (2010).*Environmentally Displaced Persons: Broadening Social Work's Helping Imperative.* An Inter disciplinary Journal Dedicated to Social Justice. Retrieved From http://www1.uwindsor.ca/criticalsocialwork/environmentally-displaced-persons-broadening-social-work%E2%80%99s-helping-imperative

Bundy, C. (2016). *Migrants, refugees, history and precedents.* Retrieved From http://www.fmreview.org/sites/fmr/files/FMRdownloads/en/destination-europe/bundy.pdf (PP 5-6)

Carrillo, A.C. (2009). *Internal displacement in Colombia: humanitarian, economic and social consequences in urban settings and current challenges.* Page 538; 540. International Review of the Red Cross. Retrieved From https://www.icrc.org/en/international-review/article/internal-displacement-colombia-humanitarian-economic-and-social (PP 538; 540)

Cohen, A.& Hamilton, R.E. (2011). *The Russian Military and the Georgia War: Lessons and Implications.* Foreword. Retrieved From http://ssi.armywarcollege.edu/pdffiles/pub1069.pdf

Cornell, S.E., Popjanevski, J., & Nilsson, N. (2008). *Russia's War in Georgia: Causes and Implications for Georgia and the World.* Retrieved From https://silkroadstudies.org/resources/pdf/SilkRoadPapers/2008_08_PP_CornellPopjanevskiNillson_Russia-Georgia.pdf (PP 5-16)

Diaconu, M., Racovita-Szilagyi, L., & Bryan, B.A. (2016). *The Social Worker 's Role in the Context of Forced Migration: A Global Perspective.* Interdisciplinary Journal of Best Practices in Global Development. Retrieved From https://knowledge.e.southern.edu/cgi/viewcontent.cgi?referer=https://www.google.ge/&httpsredir=1&article=1021&context=ijbpgd (PP 6-7)

Dowling, M. & Sextone, P. (2010). *Refugees and asylum seekers: the social work role.* Retrieved From http://oro.open.ac.uk/20911/2/6377DE5.pdf (PP.119)

El-Bushra, J., & Fish, K. *Refugees and Internally Displaced Persons*. Retrieved From https://www.inclusivesecurity.org/wp-content/uploads/2012/04/40_refugees.pdf (Page 1)

Enwereji, E.E. (2009). *Assessing interventions available to internally displaced persons in Abia state, Nigeria.*Libyan Journal of Medicine.Retrieved From https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3066705/

Getanda, E.M., Papadopoulos, C., & Evans, H. (2015).*The mental health, quality of life and life satisfaction of internally displaced persons living in Nakuru County, Kenya*. Retrieved Fromhttps://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4527222/

Gwynn, R. (2008). *Huguenots in English Sea Port Towns in the Late Seventeenth Century.* Retrieved From http://www.lib.kobe-u.ac.jp/repository/81000029.pdf (PP 16-17)

Haruna, H., Mary, G., Chukwu, E.O., Ahmadu, I., Hamina, D., Babaji, M., et al. (2017).*Assessment of Psychosocial Effects of Insurgency Among Internally Displaced Persons (IDPS) in Wulari Camp, Maiduguri.*Retrieved From http://article.sciencepublishinggroup.com/pdf/10.11648.j.ipa.20170101.11.pdf (Page 20)

International Federation of Social Workers. (2012). *Displaced Persons.* Retrieved From https://www.ifsw.org/displaced-persons/

Internal Displacement Monitoring Centre & Norwegian Refugee Council. (2018). *Global Report on Internal Displacement.*Key Findings. Retrieved From http://www.internal-displacement.org/global-report/grid2018/downloads/2018-GRID.pdf

Internal Displacement Monitoring Centre & Norwegian Refugee Council.(2016).*IDPs face significant challenges as instability and political transition continue.*Retrieved From http://www.refworld.org/pdfid/556c2a8a4.pdf(Page 6)

Internal Displacement Monitoring Centre & Norwegian Refugee Council. *Who is an Internally Displaced Person.* Retrieved From http://idp-key-resources.org/documents/0000/d04393/000.pdf (page 2)

Mchedlishvili, N. (2014). *Internally Displaced Person in Georgia: Gaps in Law and Practice.* Retrieved From http://lup.lub.lu.se/luur/download?func=downloadFile&recordOId=4588405&fileOId=4588406(Page 12)

Mesić, M. (1995). *Types of Refugees – Croatian and Bosnian-Herzegovinian Experiences.* Retrieved From https://hrcak.srce.hr/file/51511 (Page 661)

Musau, J. & Wasanga, C.M. (2011) *Psychosocial Challenges Faced by Internally Displaced Persons at Maai Mahiu Camp in Rift Valley Province, Kenya.* Kenyan Journal of Guidance, Counselling and Psychlogy. Retrieved From http://ir-library.ku.ac.ke/bitstream/handle/123456789/7978/Psychosocial%20Challenges%20faced....pdf?sequence=4&isAllowed=y

Odhiambo-Abuya, E. (2003). *Refugees and Internally Displaced Persons: Examining Overlapping Institutional Mandates of the ICRC and the UN High Commissioner For Refugees.* Singapore Journal of International & Comparative Law. Retrieved From http://www.commonlii.org/sg/journals/SGJlIntCompLaw/2003/11.pdf (Page 237)

Rajput.S.G. (2013). *Internal Displacement: Simplifying a Complex Social Phenomenon* Retrieved From https://www.beyondintractability.org/rajput-internal-displacement

Semigina, T. (2015).*"It is important to give people responsibility for their own lives": Social Work and Internally Displaced People in Ukraine*. Retrieved from https://www.researchgate.net/publication/303357880_It_is_important_to_give_people_r

esponsibility_for_their_own_lives_Social_Work_and_Internally_Displaced_People_in_Ukraine (PP 28-29)

Shultz, J.M., Garfin, D.R., Espinel, Z., Araya, R., Oquendo, M.A., Wainberg, M.L., et al. (2014). *Internally Displaced "Victims of Armed Conflict" in Colombia: The Trajectory and Trauma Signature of Forced Migration.* Retrieved Fromhttps://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4765495/

The UN Refugee Agency.(2010). *Handbook for the protection of internally displaced persons.* Retrieved from http://www.unhcr.org/4794b5592.pdf(PP 269-270)

University of Bern. (2008). *Protecting Internally Displaced Persons: A Manual for Law and Policymakers.*Retrieved Fromhttp://www.unhcr.org/50f955599.pdf (pp 129-130)

Wainwright, M. (2011).*Hadrian's Wall dig unearths Roman refugee camp.* Retrieved From https://www.theguardian.com/science/2011/jun/20/hadrians-wall-roman-britain-refugee-camp

World Bank. (2016). *Georgia Transitioning from Status to Needs Based Assistance for IDPs.;A Poverty and Social Impact Analysis.*Retrieved From http://documents.worldbank.org/curated/en/493981468030331770/pdf/IDP-PSIA-Georgia-revised-Feb-2016.pdf (PP 14, 20,27,32)

დანართები

დანართი „ა „ სიღრმისეული ინტერვიუს გზამკვლევი

მოგესალმებით, უპირველეს ყოვლისა დიდ მადლობას მოგახსენებთ კვლევაში მონაწილეობისათვის. მოცემული კვლევა ტარდება თსუ-ს სოციალური მუშაობის სამაგისტრო ნაშრომის „2008 წლის ომის შედეგად კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური საჭიროებების და სოციალური მუშაკის როლის კვლევა 2008 წლის ომიდან დღემდე“ ფარგლებში. კვლევის ძირითადი მიზანია 2008 წლის ომიდან დღემდე იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური საჭიროებების შესწავლა და სოციალური მუშაობის საჭიროებების კვლევა მათ ცხოვრებაში. კვლევას ვატარებთ ნინო მჭედლიშვილი და სალომე მაცაბერიძე. კვლევის ხელმძღვანელია თეონა მატარაძე, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. ნებისმიერი კითხვის შემთხვევაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კვლევის ხელმძღვანელს: teona.mataradze@tsu.ge.

ინტერვიუ დაახლოებით 30-50 წუთს გასტანს. ინტერვიუს პროცესში, ნებისმიერ დროს შეგიძლიათ შეწყვიტოთ კვლევაში მონაწილეობა, ასევე არ უპასუხოთ თქვენთვის არასასურველ კითხვას.

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას კვლევაში მონაწილეობისათვის.

- რა ფორმით თანამშრომლობთ ან თანაშრომლობდით დევნილ მოსახლეობასთან;
- თქვენი ინფორმაციით ვინ და რა ფორმით მუშაობს ომის პერიოდში ადამიანებთან, რომლებიც კონფლიქტის ზონაში ცხოვრობენ;
- რა სახის დახმარებები ეწევა ი.გ.პ. საცხოვრებლის დატოვებიდან უახლოეს კრიზისულ პერიოდში, რის საფუძველზე ირჩევა ეს დახმარებები და სერვისები;
- როგორ ფიქრობთ, რამდენად ეფექტური დახმარება გაეწიათ 2008 წლის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს საცხოვრებლის მიღებამდე (სახელმწიფოსგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისგან და სხვა.);
- რამდენად ახერხებენ კრიზისულ პერიოდში ი.გ.პ.-ები ამ სერვისებით ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებას (კვების, ჰიგიენის, სამედიცინო საჭიროებების და ა.შ.);
- რამდენად მნიშვნელოვანია დევნილთათვის ფსიქო-სოციალური და ემოციური მხარდაჭერა კრიზისულ პერიოდში, ბაზისურ საჭიროებების დაკმაყოფილებასთან შედარებით;
- ვინ წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მხარდამჭერ/გვერდში მდგომ ქსელს კრიზისულ პერიოდში? ჰყავთ თუ არა მათ

ფორმალური მხარდამჭერი ქსელი და არის თუ არა, ზოგადად ფორმალური მხარდამჭერი ქსელის საჭიროება;

- თქვენი აზრით, რა ძირითადი საჭიროებები (ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური) აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირებს და რამდენად უკმაყოფილდებათ ეს საჭიროებები დღეს;
- თუ არსებობს რაიმე პროგრამა, რომელიც განკუთვნილია იძულებით გადაადგილებისას ადამიანთა ფსიქო-სოციალური მდგომარეობის შესამსუბუქებლად და რაში მდგომარეობს ეს პროგრამები;
- როგორ ფიქრობთ, რა ღონისძიებები, სერვისები და პროგრამები უნდა გაატაროს სახელმწიფომ დამატებით, რათა იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებები შემცირდეს;
- როგორ შეაფასებდით სახელმწიფოს მიდგომას, პოლიტიკას იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ;
- როგორ ფიქრობთ, რამდენად ადაპტირებულია ის საცხოვრებელი ადგილები, სადაც ცხოვრობენ იძულებით გადაადგილებული პირები, რამდენად არსებობს მსგავსი ტიპის ჩასახლებების მიერ სტიგმის გამოწვევის შესაძლებლობა;
- თქვენი აზრით, არსებობს თუ არა ზოგადად ჩვენს საზოგადოებაში სტიგმა - დევნილი;
- როგორ ფიქრობთ, რა როლს უნდა ასრულებდეს სოციალური მუშაკი დევნილებთან მიმართებაში;
- დღეს რამდენად არის სოციალური მუშაკი ჩართული იძულებით გადაადგილებულ პირებთან მუშაობაში, რამდენადაა სოციალური მუშაკის ჩართულობა საჭირო ომიდან 10 წლის შემდგომაც;
- რამდენად არის ჩართული სახელმწიფო დასაქმების საკითხში ი.გ.პ.-თვის;
- როგორ ფიქრობთ, რა მოლოდინები აქვთ იძულებით გადაადგილებულ პირებს მომავლის მიმართ;
- როგორ ფიქრობთ, რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს როგორც ქვეყანაში, ასევე პროფესიაში, რომ სოციალური მუშაობა დევნილ მოსახლეობასთან უფრო მეტად განვითარდეს.

დანართი „ბ“ - ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი

D1.სქესი

1) ქალი 2) კაცი

D2. ასაკი _____

D3. სად ცხოვრობდით 2008 წლის ომამდე? (მიუთითეთ ქალაქი,სოფელი)

_____

D4. ოჯახური მდგომარეობა

1) დაუოჯახებელი 2) დაოჯახებული 3) განქორწინებული

4) ქვრივი 5) თანაცხოვრებაში

D5. თქვენი ეთნიკური კუთვნილება

_____

D6. თქვენი რელიგიური მრწამსი

1) მართლმადიდებელი 2) სხვა_____

	2008 წლის ომამდე	დღეს
D7. გაქვთ თუ არა სტაბილური ანაზღაურებადი სამსახური	1. დიახ 2. არა	1. დიახ 2. არა
D8. შინამეურნეობის წევრების ოდენობა		
D9. თქვენს საკუთრებაში არსებული მიწების რაოდენობა (კვ.მ)		

D10. რა იყო თქვენი შემოსავლის ძირითადი წყარო 2008 წლის ომამდე? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

1. სოფლის მეურნეობა
2. სტაბილური ანაზღაურებადი სამსახური
3. მიგრანტთა გზავნილები
4. პენსია
5. თვითდასაქმება
6. სახელმწიფო დახმარება

77. სხვა _____

D11. რა არის თქვენი შემოსავლის ძირითადი წყარო ახლა ? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

1. სოფლის მეურნეობა
2. სტაბილური ანაზღაურებადი სამსახური
3. მიგრანტთა გზავნილები
4. პენსია
5. თვითდასაქმება
6. სახელმწიფო დახმარება
77. სხვა _____

A1. როდის დატოვეთ თქვენი ომამდელი საცხოვრებელი ადგილი

1. 8 აგვისტომდე
2. 8 დან 12 აგვისტოს ჩათვლით
3. 12 აგვისტოს შემდეგ

A2. რამ გაიძულათ სახლის დატოვება?

1. მტრის ჯარის შემოსვლამ ჩემ საცხოვრებელ ტერიტორიაზე
2. მტრის ჯარის შესვლამ მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში
3. აფეთქებით გამოწვეული სახლის ნგრევა
4. ქართული სამხედრო ძალების მითითებამ ტერიტორიის დატოვებაზე
77. სხვა _____
99. მიჭირს პასუხის გაცემა

A3. ვისთან ერთად დატოვეთ საცხოვრებელი ადგილი? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

1. ოჯახის წევრებთან ერთად
2. ნათესავებთან/ახლობლებთან ერთად
3. მეზობლებთან ერთად
4. მარტო
77. სხვა _____

A4. რომელ და რა ტიპის ტერიტორიულ ერთეულში (ქალაქში/სოფელში) ცხოვრობდით ომამდელი საცხოვრებელი ადგილის დატოვების შემდეგ ამ დასახლებაში გადმოსვლამდე? (A4.2 კითხვის სავარაუდო პასუხები იხილეთ ბარათზე N1)

	A4.1 ტერიტორიული ერთეული	A4.2 საცხოვრებლის ტიპი
I საცხოვრებელი		
II საცხოვრებელი		
III საცხოვრებელი		
IV საცხოვრებელი		

A5. რა იყო თქვენი საარსებო წყარო ომიდან და სახლის დატოვებიდან პირველი თვის განმავლობაში? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

1. ჩემი დანაზოგი
2. ახლობლებისა და ნათესავების დახმარება
3. ჰუმანიტარული დახმარება
4. სახელმწიფოს მიერ გაცემული თანხა
5. კერძო პირების დახმარება
6. ჩემი გამომუშავებული თანხა
77. სხვა _____

A6. რა სახის დახმარებას იღებდით სახელმწიფოსაგან სახლის დატოვებიდან პირველი თვის განმავლობაში? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

1. მონეტარული (ფულადი)
2. საკვები
3. ტანსაცმელი
4. ფსიქოლოგიური დახმარება
5. საცხოვრებლის დაფინანსება
6. სამედიცინო მომსახურება (მაგ: მედიკამენტები და სხვა)
77. სხვა _____
88. არანაირს

A7. რა სახის დახმარებას იღებდით არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან სახლის დატოვებიდან პირველი თვის განმავლობაში? (შეგიძლიათ დააფიქსიროთ რამდენიმე პასუხი)

1. მონეტარული (ფულადი)
2. საკვები
3. ტანსაცმელი
4. ფსიქოლოგიური დახმარება
5. საცხოვრებლის დაფინანსება
6. სამედიცინო მომსახურება (მაგ: მედიკამენტები და სხვა)
77. სხვა _____
88. არანაირს

A8. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, ვინ აღმოგიჩინათ ყველაზე ეფექტიანი დახმარება? (ჩამოთვლილი პასუხები დააალაგეთ პრიორიტეტების მიხედვით, დაუწერეთ 1 ქულა თქვენთვის ყველაზე ეფექტიან წყაროს; მომდევნო ეფექტიან წყაროს 2 ქულა და ა.შ. თუ ჩამოთვლილთაგან რომელიმე წყაროს თქვენთვის საერთოდ არ გაუწევია დახმარება დაუწერეთ მას 0 ქულა)

სახელმწიფო	
არასამთავრობოები	
ნათესავები	
მეზობლები ჩემი პირვანდელი საცხოვრებელი ადგილიდან	
მეზობლები ჩემი ახალი საცხოვრებელი ადგილიდან	
უცნობი ადამიანები	

კერძო სექტორი	
მეგობრები	

A9. მიღებული დახმარებით რამდენად ახერხებდით თქვენთვის აუცილებელი ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებას შემდეგი მიმართულებებით?

	საერთოდ ვერ ვიკმაყოფილებ	საშუალოზე ცუდად	საშუალოზე კარგად	სრულყოფილად
კვება	1	2	3	4
ჰიგიენა	1	2	3	4
სამედიცინო საჭიროებები	1	2	3	4
ტანსაცმლით უზრუნველყოფა	1	2	3	4
თავშესაფრით უზრუნველყოფა	1	2	3	4

A10. პირველი ერთი თვის განმავლობაში მიგიღიათ თუ არა ჩამოთვლილთაგან რომელიმე პროფესიონალის დახმარება? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

1. ფსიქოლოგის
2. სოც მუშაკის
3. იურისტის
4. სხვა პროფესიონალის (დაასახელეთ) _____

88. არა, არ მიმიღია

A11. გყავდათ თუ არა ამ პერიოდში მხარდამჭერი ქსელი/გვერდში მდგომი ადამიანები?

1. დიახ
2. არა (გამოტოვეთ შემდეგი კითხვა)

A12. ვინ წარმოადგენდა თქვენ მხარდამჭერ ქსელს/გვერდში მდგომ ადამიანებს? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

1. ოჯახის წევრები
2. ნათესავები
3. მეგობრები
4. ძველი მეზობლები
5. ახალი მეზობლები
6. ახალი ნაცნობები
7. პროფესიონალები

77. სხვა _____

A13. პირველი ერთი თვის განმავლობაში რა სიხშირის ურთიერთობები გქონდათ ნაცნობებსა და მეზობლებთან თქვენი ომამდელი საცხოვრებელი ადგილიდან? (კითხვის სავარაუდო პასუხები იხილეთ ბარათზე N2-ზე)

ურთიერთობის სახე	ურთიერთობის სიხშირე
პირადად	
სატელეფონო	
ვირტუალური	

A14. რა არის თქვენთვის ყველაზე მტკივნეული საკითხი ჩამოთვლილთაგან. (ჩამოთვლილი პასუხები დააალაგეთ პრიორიტეტების მიხედვით, დაუწერეთ 1 ქულა თქვენთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხს; მომდევნოს - 2 ქულა და ა.შ; თუ ჩამოთვლილთაგან რომელიმე საკითხითქვენთვის არაა მტკივნეული, დაუწერეთ მას 0 ქულა; თუ რომელიმე საკითხი თქვენ არ შეგხებიათ დაწერეთ მის გასწვრივ 55)

სახლის დაკარგვა	
მიწის, როგორც შემოსავლის წყაროს დაკარგვა	
გარემოს ცვლილება	
ახალ ადამიანებთან ურთიერთობა	
სტატუსის ცვლილება	
ახლობელი ადამიანის დაკარგვა	

B1. ვისგან მიიღეთ ინფორმაცია ამ დასახლების მშენებლობის შესახებ

1. სახელმწიფოსაგან
2. ტელევიზიით
3. ყოფილი თანასოფლელებისაგან
4. ახალი ნაცნობებისაგან
5. სოციალური მუშაკისაგან

77. სხვა _____

B2. ჩამოთვლილი ვარიანტებიდან შეგიქმნათ თუ არა რომელიმემ შეფერხება საცხოვრებლის მიღებაში? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

1. საბუთების შეგროვება
2. ინფორმაციის ნაკლებობა
3. გადასაცემი სახლების რაოდენობის სიმცირე

77. სხვა _____

88. არანაირი შეფერხება არ მქონია (გამოტოვეთ **B3** კითხვა)

B3. ვინ დაგეხმარათ არსებული შეფერხებების დაძლევაში?

1. თავშესაფრის მაძიებელი სხვა ადამიანი
2. სახელმწიფო სტრუქტურები
3. არასამთავრობო ორგანიზაციები
4. მეგობრები
5. პროფესიონალები
77. სხვა _____
88. არავინ არ დამხმარებია

B4. ისურვებდით თუ არა, რომ პროფესიონალებს თქვენი ინტერესები და უფლებები დაეცვა 2008 წლის ომიდან, საცხოვრებლის მიღებამდე ?

1. დიახ, ვისურვებდი
2. უფრო ვისურვებდი, ვიდრე არ ვისურვებდი
3. უფრო არ ვისურვებდი, ვიდრე ვისურვებდი
4. არ ვისურვებდი

B5. რა სახის დახმარებები მიგიღიათ უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

1. დევნილთათვის განკუთვნილი დახმარება
2. სახელმწიფოს მიერ გაცემული სხვა სახის დახმარება
3. არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გაცემული მონეტარული ან ჰუმანიტარულიდახმარება
4. კერძო პირების მიერ გაცემული დახმარება
5. შეღავათები კომუნალურ გადასახადებზე
6. შეღავათები ჯანდაცვაზე
7. შეღავათები განათლებაზე
8. ფსიქოლოგის კონსულტაცია
77. სხვა _____
88. არანაირი დახმარება არ მიმიღია

B6. დაგეხმარათ თუ არა ვინმე სამსახურის მოძიების პროცესში? (თქვენ ან თქვენი ოჯახის რომელიმე წევრს)

1. დიახ
2. არა (გამოტოვეთ შემდეგი კითხვა)

B7. ვინ გეხმარებოდათ სამსახურის მოძიების პროცესში? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

1. სახელმწიფო
2. ახლობელი, ნათესავი
3. არასამთავრობო სექტორი
4. სხვა _____

B8. რამდენად ახერხებთ ქვემოთ ჩამოთვლილი საჭიროებების დაკმაყოფილებას დღეს?

	საერთოდ ვერ ვიკმაყოფილებ	საშუალოზე ცუდად	საშუალოზე კარგად	სრულყოფილად
კვება	1	2	3	4
ჰიგიენა	1	2	3	4
სამედიცინო დახმარება	1	2	3	4
ტანსაცმლით უზრუნველყოფა	1	2	3	4

B9. რა სახის დახმარების მიღება გსურთ დამატებით? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)

1. მონეტარული (ფულადი)
2. საკვებით უზრუნველყოფა
3. შეღავათები განათლებაზე
4. შეღავათები ჯანდაცვაზე
5. შეღავათები კომუნალურ გადასახადებზე
6. ფსიქოლოგიური დახმარება

77. სხვა _____

88. არანაირი დახმარების მიღება არ მსურს

B10. გახსენდებათ თუ არა შემთხვევა, როცა თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს ამ დასახლებაში ცხოვრებამ პრობლემა შეგიქმნათ?

1. დიახ
2. არა (გამოტოვეთ შემდეგი კითხვა)

B11. კერძოდ რა პრობლემა შეგექმნათ თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს ამ დასახლებაში ცხოვრების გამო?

_____

_____

B12. როგორ დაახასიათებდით თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების ურთიერთობას მეზობლებთან თქვენს დასახლებაში?

1. ნათესაური
2. მეგობრული
3. ახლობლური
4. დისტანციური
5. კონფლიქტური

77. სხვა _____

88. არანაირი ურთიერთობა არ მაქვს

B13. რამდენად ხშირად მიმართავთ თქვენ/თქვენი ოჯახის წევრები მეზობლებს დახმარებისათვის? (იგულისხმება ნებიემიერი რამ, პურის, შაქრის თუ სხვა ტექნიკური დახმარების თხოვნა)

1. ყოველდღიურად
2. კვირაში ერთხელ
3. თვეში ერთხელ
4. 3 თვეში ერთხელ
5. წელიწადში ერთხელ
6. უფრო იშვიათად

88. არასდროს
99. მიჭირს პასუხის გაცემა

B14. უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში რა სიხშირის ურთიერთობები გაქვთ ნაცნობებსა და მეზობლებთან თქვენი ომამდელი საცხოვრებელი ადგილიდან? (კითხვის სავარაუდო პასუხები იხილეთ ბარათზე N2-ზე)

ურთიერთობის სახე	ურთიერთობის სიხშირე
პირადად	
სატელეფონო	
ვირტუალური	

B15. გთხოვთ დაასრულეთ წინადადებები:

1. ჩემი დასახლება არის .....,
2. ჩემი დასახლება ჩემთვის ნიშნავს .....
3. ჩემი დასახლება ძველთან შედარებით არის .....
4. ჩემს დასახლებაში თავს ვგრძნობ ...
5. ჩემი დასახლება მომავალში იქნება ...

C1. განვლილი ათი წლის განმავლობაში გამოგიცდიათ თუ არა ჩამოთვლილთაგან რომელიმე სიტუაცია ან მდგომარეობა? (თუ ყველგან დააფიქსირებთ უარყოფით პასუხს, გამოტოვეთ შემდეგი კითხვა)

დისკრიმინაცია	1. დიახ2. არა
ეკონომიური პრობლემები	1. დიახ2. არა
კულტურული შეუთავსებლობა ახალ საცხოვრებელ ადგილას	1. დიახ 2. არა
სოციალური ურთიერთობების ნაკლებობა	1. დიახ 2. არა
კომუნიკაციის სურვილის ნაკლებობა	1. დიახ 2. არა
მარტოსულობა	1. დიახ 2. არა
შიში	1. დიახ 2. არა
მომავლის ხედვისბუნდოვნება	1. დიახ 2. არა

C2. ვის თხოვდით დახმარებას ან რჩევას ამ მდგომარეობების შესამსუბუქებლად?

_____

C3. გსმენით თუ არა სოციალური მუშაკის შესახებ?

1. დიახ
2. არა

C4. როგორ ფიქრობთ რა ფუნქციებს უნდა ასრულებდეს სოციალური მუშაკი (შეგიძლიათ დააფიქსიროთ რამდენიმე პასუხი)

1. ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა
2. ბენეფიციარის უფლებების დაცვა
3. ბენეფიციარის უნარების გაუმჯობესება
4. საბუთებთან მუშაობა

77. სხვა_____

88. ჩამოთვლილთაგან არცერთი

C5.1. გითანამშრომლიათ თუ არა სოციალურ მუშაკთან?

1. დიახ
2. არა (გამოტოვეთ შემდეგი კითხვა)

C5.2. რა ფორმით გითანამშრომლიათ სოციალური მუშაკთან ?

_____

_____

C6. თქვენი აზრით,ჩამოთვლილთაგან რომელი ღონისძიება იქნებოდა და იქნება ეფექტური თქვენი მდგომარეების გაუმჯობესებისათვის

	საცხოვრებელის მიღებამდე	დღეს
მსგავსი პრობლემის მქონე ადამიანებთან შეხვედრა და გადატანილი ტრამვის გაზიარება	1.დიახ 2. არა	1.დიახ 2. არა
დახმარება ბიუროკრატიული პროცესების გამარტივებაში	1.დიახ 2. არა	1.დიახ 2. არა
პრობლემებთან გამკლავების უნარების დასწავლაში დახმარება	1.დიახ 2. არა	1.დიახ 2. არა
კუთვნილი დახმარების მიღებაში დახმარება	1.დიახ 2. არა	1.დიახ 2. არა

E1. დღეს მე, 2008 წლის ომის წინანდელ პერიოდთან შედარებით, გავხდი უფრო ....

	დიახ	უფრო კი, ვიდრე არა	უფრო არა, ვიდრე კი	არა
ძლიერი	1	2	3	4
სუსტი	1	2	3	4
მორწმუნე	1	2	3	4
თანამგრძნობი	1	2	3	4
ტოლერანტული	1	2	3	4
ოპტიმისტი	1	2	3	4
პესიმისტი	1	2	3	4
ურწმუნო	1	2	3	4

E2. გთხოვთ დაასრულოთ წინადადება: მე დღეს თავს ვგრძნობ ..... (შეგიძლიათ დააფიქსიროთ რამდენიმე პასუხი)

1. დაცულად
2. დაუცველად
3. კომფორტულად
4. არაკომფორტულად
5. ჩამოუყალიბებლად
6. საზოგადოებისაგან გარიყულად
7. საზოგადოების ნაწილად

77. სხვა _____

E3. როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება თქვენი ცხოვრება ზუსტად 10 წლის შემდეგ? (გთხოვთ გადმოსცეთ მაქსიმუმ 2 წინადადებით)

_____
_____
_____
_____

მადლობა თანამშრომლობისათვის!

ბარათი N1

1. ჩემს (ან ოჯახის) კუთვნილებაში არსებულ სახლში კონფლიქტის ზონის გარეთ
2. ახლობლის ან ნათესავის სახლში
3. ნაქირავებ ფართში
4. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ფართში
5. კერძო პირის მიერ გამოყოფილ ფართში
6. კერძო სექტორის მიერ გამოყოფილ ფართში
7. არასამთავრობო ირგანიზაციების მიერ გამოყოფილ ფართში
8. თვითნებურად დაკავებულ ფართში

77. სხვა _____

ბარათი N2

1. ყოველდღიური
2. კვირაში 2-3 ჯერ
3. კვირაში ერთხელ
4. თვეში ერთხელ
5. არ მქონია კავშირი

დანართი „გ“ - დემოგრაფიული მონაცემები

დიაგრამა N13: ასაკობრივი ჯგუფები (N=240) (%)



დიაგრამა N14: სქესი (N=240) (%)



დიაგრამა N15: ოჯახური მდგომარეობა (N=240) (%)



დიაგრამა N16: თქვენი ეთნიკური კუთვნილება (N=240) (%)



დიაგრამა N17: თქვენი რელიგიური მრწამსი (N=240) (%)



დიაგრამა N18: სტაბილური ანაზღაურებადი სამსახური 2008 წლის ომამდე და ამჟამად (N=240) (%)



დიაგრამა N19: რა იყო თქვენი შემოსავლის ძირითადი წყარო 2008 წლის ომამდე? (N=240) (%)



დიაგრამა N20: თქვენს საკუთრებაში არსებული მიწების რაოდენობა 2008 წლის ომამდე და ამჟამად? (N=240) (%)



დანართი "დ"

დიაგრამა N21: რამდენად სრულყოფილად იკმაყოფილებენ რესპონდენტები კვებით საჭიროებებს დევნილობის პირველი 1 თვის განმავლობაში და ამჟამად (N =240) (%)



დიაგრამა N 22: რამდენად სრულყოფილად იკმაყოფილებენ რესპონდენტები ჰიგიენის საჭიროებებს დევნილობის პირველი 1 თვის განმავლობაში და ამჟამად (N =240) (%)



დიაგრამა N 23: რამდენად სრულყოფილად იკმაყოფილებენ რესპონდენტები სამედიცინო საჭიროებებს დევნილობის პირველი 1 თვის განმავლობაში და ამჟამად (N =240) (%)



დიაგრამა N 24: რამდენად სრულყოფილად იკმაყოფილებენ რესპონდენტები ტანსაცმლის საჭიროებებს დევნილობის პირველი 1 თვის განმავლობაში და ამჟამად (N =240) (%)



დანართი „ე“

დიაგრამა N25: კავშირი მხარდამჭერი ქსელის ყოლასა და პროფესიონალის დახმარების სურვილს შორის (N=240) (%)



დანართი „ვ“

დიაგრამა N26: რა სიხშირის ურთიერთობები გაქვთ პირადად ნაცნობებსა და მეზობლებთან თქვენი ომამდელი საცხოვრებელი ადგილიდან, უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში?



დიაგრამა N27: რა სიხშირის სატელეფონო ურთიერთობები გაქვთ ნაცნობებსა და მეზობლებთან თქვენი ომამდელი საცხოვრებელი ადგილიდან უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში?



დიაგრამა N28: რა სიხშირის ვირტუალური ურთიერთობები გაქვთ ნაცნობებსა და მეზობლებთან თქვენი ომამდელი საცხოვრებელი ადგილიდან უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში?



დანართი „ზ“

დიაგრამა N29: დღეს მე, 2008 წლის ომის წინანდელ პერიოდთან შედარებით გავხდი უფრო მორწმუნე თუ არა მოწმუნე (N=240) (%)



დიაგრამა N30: დღეს მე, 2008 წლის ომის წინანდელ პერიოდთან შედარებით გავხდი უფრო თანამგრძნობი, ტოლერანტული (N=240) (%)



დიაგრამა N31: დღეს მე, 2008 წლის ომის წინანდელ პერიოდთან შედარებით გავხდი უფრო ოპტიმისტი თუ პესიმისტი (N240) (%)


დიახ
უფრო კი, ვიდრე არა
უფრო არა, ვიდრე კი
არა
34.6%
17.1%
2.9%
45.4%
8.8%
7.9%
10.8%
72.5%
ოპტიმისტი
პესიმისტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Social and Political Sciences

MA program - Social Work

Salome Matsaberidze

Nino Mchedlishvili

Research of social needs of internally displaced people of august 2008 war, living in compact settlements from 2008 year till now and the role of Social work

Master's thesis is submitted to obtain Master's degree in Social Work

Supervisor: Teona Mataradze

Associate Professor

Tbilisi, 2018